

შ.პ.ს. „ლისი ლეიქ დეველოპმენტ“



ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსი ქალაქი „LISI VILAS“ მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი

(ქალაქი თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის
მარჯვენა მხარეს, საკაღ. კოდეზი: №01.10.18.005.038; 01.10.18.005.050;
01.10.18.006.228; 01.10.18.007.006)

სკრინინგის ანგარიში

შინაარსი

1	შესავალი-----	3
2	დაგეგმილი საქმიანობის აღწერა -----	4
2.1	დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობა-----	4
2.2	დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა -----	27
2.2.1	დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი დახასიათება -----	27
2.2.2	სამშენებლო სამუშაოების ორგანიზაცია-----	47
2.2.3	დაგეგმილი საქმიანობისათვის საჭირო ბუნებრივი რესურსები-----	48
3	გარემოზე შესაძლო ზემოქმედებების დახასიათება -----	48
3.1	ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელება -----	49
3.2	ზემოქმედება ზედაპირული წყლების ხარისხზე-----	49
3.3	ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე -----	50
3.4	ზემოქმედება ნიადაგზე და გეოლოგიურ პირობებზე-----	51
3.5	ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება-----	52
3.6	ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე -----	52
3.7	ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება-----	52
3.8	ზემოქმედება კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე-----	53
3.9	ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე-----	53
3.10	კუმულაციური ზემოქმედება -----	54
4	გარემოზე შესაძლო ზემოქმედებების შეფასება -----	55
5	დანართები -----	58
	დანართი 5.1. საჯარო რეესტრიდან ამონაწერები და საკადასტრო გეგმები დანართი 5.2. საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა დანართი 5.3. შპს "ტყე და მეტყევე"-ს დასკვნა №21 23/05/2019 დანართი 5.4. გამწვანების დროს გამოყენებული მცენარეები სახეობები დანართი 5.5. შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-ს წერილი №0G19-0248165 13/05/2019 დანართი 5.6. შპს "ყაბტრანსგაზ-თბილისი"-ს წერილი №04-04-04-01/1572 24/05/2019 დანართი 5.7. ს/ს "თელასი"-ს წერილი №0530/148/19 30/05/2019	

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შ.პ.ს. „ლისი ლეიქ დეველოპმენტ“-ის (ს/კ 404857534) ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელი ლისისაკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, 27,466 ჰა ფართობზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის ქალაქი „LISI VILAS“-ს (შემდგომში - სანარმო) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიშს.

შ.პ.ს. „ლისი ლეიქ დეველოპმენტ“-ი (ს/კ 404857534) გეგმავს ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელი ლისისაკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, 27,466 ჰა ფართობზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის ქალაქი „LISI VILAS“-ს მშენებლობას და ექსპლუატაციას.

შ.პ.ს. „ლისი ლეიქ დეველოპმენტ“-ის დაგეგმილი საქმიანობა მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 9.2 პუნქტით (10 პექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი. მათ შორის, სავაჭრო ცენტრისა და 1000 ავტომობილის ტევადობის ავტოპარკის მონყობა) გათვალისწინებულ საქმიანობას და ამ საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით ხორციელდება სკრინინგის პროცედურა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელი ლისისაკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, 27,466 ჰა ფართობზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის ქალაქი „LISI VILAS“-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, მომზადდა სკრინინგის განცხადება.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად შედგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, მოიცავს:

- ა) მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;
- ბ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

2. დაგეგმილი საქმიანობის აღწერა

2.1. დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობა


შ.პ.ს. „ლისი ლეიქ დეველოპმენტ“-ის (ს/კ 404857534) მიერ ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის ქალაქი „LISI VILAS“-ს მშენებლობა და ექსპლუატაცია დაგეგმილია ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელი ლისისაკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები: №01.10.18.005.038; №01.10.18.005.050; №01.10.18.006.228), საერთო ფართობით 17,4584 ჰა და შ.პ.ს. „ფროფერთი დეველოპმენტ ჰოლდინგი“-ს (ს/კ 205244190) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდი: №01.10.18.007.006), ფართობით 10,0082 ჰა (საჯარო რეესტრიდან ამონაწერები და საკადასტრო გეგმები იხ. წინამდებარე ანგარიშის დანართში 5.1).

საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობი შეადგენს 274 666 (30000+43672+100912+100082) კვ.მ-ს. ნაკვეთს სამხრეთით ემიჯნება ახალი საცხოვრებელი უბანი "ლისი ვილას" პირველი უბანი, ხოლო დანარჩენი მხრიდან ცარიელი განსაზღვრებული არეალია.

საპროექტო არეალი ლოგიკური გაგრძელებაა ახალი საცხოვრებელი კომპლექსის „ლისი ვილას“ პირველი უბნის, რომლის გრგ შეთანხმებულია AR1533308 №3820648 (13/02/2017) და მიზნად ისახავს დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი უბნის შექმნას.

არსებული შეთანხმებული გრგ არეალში წარმოდგენილია ნახაზზე 2.1.1, ხოლო ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების გეგმა ნახაზზე 2.1.2.

ნახაზი 2.1.2. ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების გეგმა



როგორც უკვე აღინიშნა ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის ქალაქი „LISI VILAS“-ს მშენებლობა და ექსპლუატაცია დაგეგმილია ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელი ლისისაკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები: №01.10.18.005.038; №01.10.18.005.050; №01.10.18.006.228, №01.10.18.007.006).

საპროექტო ტერიტორიას სამხრეთით ემიჯნება ახალი საცხოვრებელი უბანი "ლისი ვილას" პირველი უბანი, ხოლო დანარჩენი მხრიდან ცარიელი განსავითარებელი არეალია.

შპს „ლისი ლეიქ დეველოპმენტთან“ 2018 წლის ოქტომბერში დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შ.პ.ს. „საინჟინრო“-მ 2018 წლის ოქტომბერში ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ „ვილების უბანი 2“-ის ტერიტორიაზე (საკად. კოდები: №01.10.18.005.040; №01.10.18.005.038; №01.14.17.001.218 და №01.14.17.001.196) ჩაატარა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, რომელიც მოიცავდა ბურღვით სამუშაოებს, გზების სარეკოვნოსცირო-აღწერილობით გამოკვლევებს და რომელიც მიზნად ისახავდა ტერიტორიაზე გზების საინჟინრო-გეოლოგიური პირობების განსაზღვრას, გზების პროფილების ლითოლოგიური ჭრილების დადგენას და გზების გრძივი პროფილების საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილების აგებას (დეტალური მონაცემები საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებისა და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ იხ. წინამდებარე ანგარიშის დანართში 5.2).

ზემოაღნიშნული მიზნების გადასაწყვეტად, ჩატარებული იქნა შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები: საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიზნით მოხდა ტერიტორიის დეტალური დათვალიერება, გზების ლითოლოგიური ჭრილების დასაზუსტებლად დასადგენად დამკვეთის მიერ მონიშნულ წერტილებში გაიბურღა 19 ჭაბურღილი; ბურღვა მიმდინარეობდა მექანიკური სვეტური მეთოდით, საბურღი დანადგარით „УГБ-1BC“, 127 და 108 მმ-იანი დიამეტრებით, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით.

ჭაბურღილის რაოდენობა და სიღრმეები განისაზღვრა ტექნიკური დავალების და ს. ნ. და წ. 1.02.07-87-ის (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის) პგ. პგ. 3.35 და 3.64-ის შესაბამისად და შეადგინა 5.0 მეტრი თითოეულში. ცხრამეტივე გამონამუშევრის მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 95 გრძ. მეტრი.

გავრცელებული გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესასწავლად ჭაბურღილებიდან აღებული იქნა გრუნტის დაურღვეველი სტრუქტურის 9 (3 თიხოვანი და 6 ძირითადი ქანებიდან) ნიმუში. პარალელურად ხდებოდა დაკვირვება გრუნტის წყლის შესაძლო გამოვლენებზე, ბურღვის პროცესზე, კერნის ფიზიკური მდგომარეობის შესწავლაზე.

აღებული თიხოვანი გრუნტების ნიმუშების ლაბორატორიული გამოკვლევა ჩატარდა შ.პ.ს. „საინჟინრო“-ს გრუნტების და წყლის კვლევის ლაბორატორიაში, ხოლო ძირითადი ქანების ნიმუშების – წულუკიძის სახელობის სამთო ინსტიტუტის ლაბორატორიაში.


საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა შედგენილია საველე სამუშაოების, ლაბორატორიული კვლევის შედეგების, საარქივო მასალების და ლიტერატურული წყაროების გადამუშავების შედეგად, საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების (სავალდებულო) შესაბამისად – ს. ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო-გამოკვლევები მშენებლობისათვის), ს.ნ. და წ. 36 02.01-08 (შენობა-ნაგებობათა ფუძეები) ს.ნ. და წ. 36 01.01-09 (სეისმომედეგი მშენებლობა) და 36 01.05-08 (სამშენებლო კლიმატოლოგია); სახსტანდარტი 25100-82 (გრუნტები) და თანახმად გაცემული ტექნიკური დავალებისა, დასკვნის ტექსტს თან ახლავს უბნის ტოპოგრაფიული გეგმა 1:1340 მასშტაბში (ამობეჭდვის) გზების და ჭაბურღილების

განლაგებით, ჭაბურღილის სვეტები, გზების გრძივი პროფილების საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები (სრული საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა იხ. წინამდებარე ანგარიშის დანართში 1).

გეოლოგიური აგებულება. გამოკვლეული უბანი განლაგებულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთ დაძირვის ზონაში და ხასიათდება პალეოგენური ფლიშური-დანალექი და ვულკანოგენური ნალექების განვითარებით.

გზების გაყვანის ფარგლებში ისინი წარმოდგენილია შუა და ზედა ოლიგოცენური ასაკის (P_3^{2+3}) ფლიშური დანალექი ქანებით – შრეებრივი ქვიშაქვებით, ალევროლიტებით და არგილითებით (ალევროლიტები და ქვიშაქვები 55%, არგილითები 45%), რომელიც მთლიანობაში წარმოადგენს მოყავისფრო-მოცისფრო-მოშავო შრეებრივ ქანს, ზედაპირთან ახლოს ძლიერ გამოფიტულს, ძლიერ დანაპრალებულს, ბევრგან დაშლილს ღორღად და ხვინჭად. მათ ნაწილობრივ შენარჩუნებული აქვთ ამ ქანებისთვის დამახასიათებელი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები. ისინი გახსნილია ჩვენს მიერ გაბურღულ ცხრამეტივე ჭაბურღილში 0.1-2.3 მეტრიდან. მათ ქვემოდან ესაზღვრება სუსტად გამოფიტული იგივე ასაკის ძირითადი ქანები, რომელთაც მთლიანობაში შენარჩუნებული აქვთ ამ ქანებისთვის დამახასიათებელი ყველა ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებელი. ისინი განლაგებულია 2.3-4.0 მ სიღრმიდან. მათი ვარდნის აზიმუტი ჩა 20-30°, ვადრნის კუთხე 15-24° უმეტესად თანხვედრილია ფერდობის გრძივ დახრასთან. ამ ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ ქანს ზემოდან ზოგან ადევს უმნიშვნელო სიმძლავრის დელუვიურ-პროლუვიური გენეზისის ნიადაგის ფენის (dpQ_{IV}) და ტექნოგენური (tQ_{IV}) გრუნტები (იხ. ჭაბურღილების სვეტები);

ნახაზი 2.1.3. გეოლოგიური რუკა(ამონარიდი დ. პაპავას, ე. დევდარიანის და ვ. აგვევის მიერ 1971 წელს შედგენილი აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთი ნაწილის 1:25000 მასშტაბის გეოლოგიური რუკიდან)



P_3^{2+3} - შუა და ზედა ოლიგოცენი; თიხოვანი და ქვიშიან-თიხოვანი ქანები.

ქანების წოლის ელემენტები; ქვიშაქვების მარკირებული დასტები.

ჰიდროგეოლოგიური აგებულება. საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით გამოკვლეული ტერიტორია შედის თბილისის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყალწნევიანი სისტემის ფარგლებში, სადაც გავრცელებულია როგორც ღრმა, ასევე არაღრმა ცირკულაციის წყლები.

აქ გრუნტის წყლების ფორმირება, მოძრაობა და გავრცელება განისაზღვრება უპირველესად ლისის ქედის გეომორფოლოგიით, აგებულებით და ფიზიკო-გეოგრაფიული პირობებით.

სუსტი წყალშემცველებია ტერიტორიის უმეტეს ნაწილში გავრცელებული ოლიგოცენური ნალექები. მათთვის დამახასიათებელი უნდა იყოს სუსტი და დროებითი მინისქვემა წყლების ნაკადების სპორადული გავრცელება, რომელთა მიმართულებები უნდა ემთხვეოდეს ქანების დაშრევაბას. გამოკვლევის დროს მინისქვემა წყლების ბუნებრივი გამოსავალები ტერიტორიის

ფარგლებში და მის მიმდებარედ არ დაფიქსირებულა. დაღმავალი წყაროების იშვიათი გამოსავალები და განაჟონები აღინიშნება ქალაქის ფარგლებში ჰიფსომეტრიულად გაცილებით დაბლა.

მინისქვემა წყლების კვება ძირითადად ხორციელდება ატმოსფერული ნალექების ან ფერდის ზედა ნაწილებიდან მომდინარე სუსტი და სემონური ნაკადების ინფილტრაციით, ნაწილობრივ ჰაერში არსებული ორთქლის კონდენსაციითაც, ხოლო განტვირთვა - ფერდობების ძირების გასწვრივ და მდ. მტკვრის კალაპოტში.

გრუნტების სუსტი წყალშემცველობა უპირველესად განპირობებულია ნალექების მცირე რაოდენობით, ფერდის ყოველმხრივი და სწრაფი დრენირებით და მათი ლითოლოგიური შემადგენლობის თავისებურებებით (საფონდო მონაცემებით წყლები 50-70 მეტრზე და უფრო ღრმად არიან განლაგებულნი). რაც შეეხება ხევ-ხრამთა სისტემებს ისინი წლის უმეტეს პერიოდში უწყლო და მშრალეებია.

მინისქვემა წყლები ცირკულაციის მიხედვით ნაპრალოვანი ტიპისაა, ქიმიური შემადგენლობით ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმ-კალციუმიანია, საერთო მინერალიზაციით 0.5 გ/ლ, მტკნარი და არ ავლენს აგრესიულობას არც ერთი მარკის წყალშეუღწევადი ბეტონის მიმართ.

გამოკვლეულ უბანზე გრუნტის წყლები არ გამოვლენილა არცერთ გაყვანილ ცხრამეტივე გამონამუშევარში 5 მეტრ სიღრმემდეც. საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში შესაძლებელია უმნიშვნელო რაოდენობის გრუნტის წყლების გამოვლენა, ისიც ხანგრძლივი ატმოსფერული ნალექების შემდგომ პერიოდებში.

ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგებიდან გამომდინარე, განაშენიანებისთვის გამოყოფილი ტერიტორია ხასიათდება შემდეგი საინჟინრო-გეოლოგიური პირობებით:

1. საპროექტო „ვილების უბანი 2“-ის ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ: შუა და ზედა ოლიგოცენის (P_3^{2+3}) ქვიშაქვების ალევროლიტებთან და არგილითებთან მორიგეობით (55:45) წარმოდგენილი ძირითადი ქანები, რომლებიც ზემოდან დაფარულნი არიან უმნიშვნელო სიმძლავრის დელუვიურ-პროლუვიური გენეზისის ნიადაგის ფენის (dpQ_{IV}) და ტექნოგენური (tQ_{IV}) გრუნტებით;

2. გამოკვლეულ ტერიტორიაზე გამოყოფილია 4 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (ს.გ.ე.):

- I ს.გ.ე. (ფენა №1) - ტექნოგენური გრუნტი;
- II ს.გ.ე. (ფენა №2) - ნიადაგის ფენა - თიხნარი;
- III ს.გ.ე. (ფენა №3) გამოფიტული ძირითადი ქანების - ქვიშაქვების ალევროლიტებთან და არგილითებთან მორიგეობა (55:45);
- IV ს.გ.ე. (ფენა №4) სუსტად გამოფიტული ძირითადი ქანების - ქვიშაქვების ალევროლიტებთან და არგილითებთან მორიგეობა (55:45).

ქვემოთ ცხრილში 2.1.1 მოცემულია ოთხივე ს.გ.ე.-ის გრუნტების საანგარიშო- ნორმატიული ფიზიკურ-მექანიკური მნიშვნელობები, მიღებული როგორც ჩატარებული ლაბორატორიული გამოკვლევებით, ასევე პნ 02.01-08 დანართი 2-ის და 3-ის შესაბამისი ცხრილების მიხედვით.

ცხრილი 2.1.1.

№	გრუნტების მახასიათებლები	საანგარიშო მნიშვნელობები				
		I სვე ფენა №1	II სვე ფენა №2	III სვე ფენა №3	IV სვე ფენა №4	
1	სიმკვრივე, ρ გ/სმ ³	1.80	1.72	2.36	2.38	
2	ხვედრითი შეჭიდულობა, C კპა (კგძ/სმ ²)		16(0.16)	-	-	
3	შიგა ხახუნის კუთხე, φ°		21	-	-	
4	დეფორმაციის ოდელი, E მპა (კგძ/სმ ²)		16(160)	-	-	
5	საანგარიშო წინალობა, R ₀ კპა (კგძ/სმ ²)	180(1.8)	220(2.2)	-	-	
6	წყალგატარებულ მდგომარეობაში მყოფი გრუნტის ზღვრული სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე R _კ (კგძ/სმ ²)	-	-	85	198	
7	დრეკადობის მოდული ერთღერძა კუმშვაზე წყალნატერ მდგომარეობაში, E მპა	ქვიშ.	-	-	2624	4318
		არგ.	-	-	917	1633

შენიშვნა: სიმტკიცის მახასიათებლების (C, φ) საანგარიშო მნიშვნელობები მიღებულია ს.ნ. და ნ. პნ 02.01-08 მუხლი 7-ის №7 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით

3. საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გამოკვეთილია 3 უსახელო ზრდასრული ხევის კონტურები – პირველი ჩრდილოეთ ნაწილში, დანარჩენი ორი კი სამხრეთში მოქცეული.

საპროექტო ვაკისების დამპროექტებელს ძირითადად ძალიან მაღალპროფესიულად აცილებელი აქვთ მათი ტალღეები და ფერდობები. ზოგან კი - განსაკუთრებით მათ სათავეებთან რომლებიც ზრდასრულებია და მათი ჩადაბლებები უხვი მცენარეული საფარითაა დაფარული – შეხება მაინც მოუხდათ. ამიტომაც ზოგან ისინი იძულებულნი იყვნენ ამოეცნოთ ეს ჩადაბლებები (გზა №5; გზა №8; გზა №2) ტექნოგენური – ნაყარი გრუნტით, რომელიც არანაირად არ დააზიანებს არსებულ ლანდშაფტურ გარემოს და არ იქნება ნეგატიური ეროზიული პროცესების მაპროვოცირებელი. თითოეული გზის კომპლექსურ აღწერაში ეს ყველაფერი ასახულია დეტალურად კონკრეტული შემთხვევებისთვის; ამავდროულად მიზანშეწონილია იმ ღონისძიებების განხორციელება რომელიც რეკომენდებულია ცალკეული გზების ხეების გადაკვეთის ადგილებში გასატარებლად. საჭირო მიზანშეწონილი ღონისძიებების ჩამონათვალი მოცემულია თითოეული გზის კომპლექსური აღწერის ბოლო პუნქტში (იხ. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა წინამდებარე ანგარიშის დანართში 5.2).

მთლიანობაში კი ეს ხეები ზრდასრულებია, გამოხატული მათი ძირების და ფერდობების უხვი მცენარეული საფარით. ნეგატიური ეროზიული ფაქტორი – რომელსაც ზედაპირული წყლები განაპირობებენ როგორც სიღრმული, ასევე გვერდული ამ მონაკვეთებზე არ შეინიშნება და არც არის მათ აქტივიზაციის წინაპირობა. ამავდროულად არ შეიძლება სახეცვლილ კლიმატურ პირობებში დენუდაციური (სიბრტყითი გადარეცხვები) პროცესების უგულვებლყოფა რომელიც არსებულ სახეცვლილ ლანდშაფტურ გარემოში მოითხოვს ზედაპირული წყლების ნეგატიური ფაქტორის გათვალისწინებას არა მარტო უწყლო ზრდასრული წყალსადინარებთან (ხეებთან), არამედ გზების ვაკისების გაყვანის შედეგად წარმოქმნილ საფეხურებთან მიმართებაშიც. ეს გულისხმობს მოხერხებულ ადგილებში მათ მოქცევას საყრდენ- დეკორატიულ კედლებში და

რომლებსაც ექნება არა მარტო წარეცხვების შემკავებელი არამედ დეკორატიული ფუნქცია – დანიშნულებაც. ამით საბოლოოდ მოიხსენებოდა ფერდული მდგრადობის ყველაზე საჭირობოროტო საკითხი არსებული სახეცვლილი ლანდშაფტური გარემო – პირობებისთვის.

4. გამოკვლეულ უბანზე გრუნტის წყლები არ გამოვლენილა არცერთ გაყვანილ ცხრამეტივე გამონამუშევარში 5 მეტრ სიღრმემდეც. საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში შესაძლებელია უმნიშვნელო რაოდენობის გრუნტის წყლების გამოვლენა, ისიც ხანგრძლივი ატმოსფერული ნალექების შემდგომ პერიოდებში.

ამრიგად ტერიტორიის ამგები ქანები ზედა ნაწილში პრაქტიკულად არ შეიცავენ მიწისქვეშა წყლებს და მშენებლობისათვის რაიმე სახის ხელისშემშლელ ფაქტორს არ წარმოადგენენ.

5. საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში (გაყვნილი და გასაყვანი გზის ვაკისების ფარგლებში და მათ მიმდებარედ), მათი შესწავლის საფუძველზე თანამედროვე საშიში გეოდინამიკური პროცესების გამოვლენა, მათ მიერ დატოვებული ან საგრძნობლად შეცვლილი რელიეფის ფორმები არ დაფიქსირდა და არც მომავალშია მათი ჩასახვა- განვითარების წინაპირობა. ტერიტორია დღეისათვის გამოირჩევა მდგრადობის საკმაოდ მაღალი ხარისხით, განპირობებული როგორც რელიეფური ასევე მისი შემადგენელი გრუნტების ფიზიკური თვისებებით, რომელიც უდავოდ სოლიდური პოზიტივია სამშენებლო თვალსაზრისით.

6. ძირითადი ქანების დაქანების აბიშუტი ჩა 20-30°, დაქანების კუთხე 30° თანხვედრილია ან სუბთანხვედრილია ფერდობის ექსპოზიციურ გრძივ დახრასთან, მაგრამ არ ითვლება მშენებლობისათვის ხელისშემშლელ ფაქტორად, რადგან ქანები უწყლოა და არ ხასიათდება პლასტიკური თვისებებით. ამავდროულად მომავალი ნაგებობები (გზის ვაკისები, შენობები) და მათი პერიმეტრი ყოველმხრივ უნდა იყოს დაცული ზედმეტი ზედაპირული წყლებისაგან შესაბამისი წყალსარინი საშუალებების მეშვეობით.

7. არსებულ ტერიტორიაზე შენობების დაფუძნება წერტილოვან საძირკვლებზე ყველაზე ოპტიმალური და საიმედოა განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ სუსტად გამოფიტულ ძირითად ქანებზე (ს.გ.ე. IV – ფენა №4), ამავდროულად ცალკეულ შემთხვევებში სრულიად დასაშვებია ამ მიზნებისთვის გამოფიტული ძირითადი ქანების (III ს.გ.ე. – ფენა №3) გამოყენება. რაც შეეხება საპროექტო გზების ვაკისებს – ძირითადი ქანების ორივე ფენის გრუნტები საიმედო ქვენაფენია გზების საფარი შემადგენელისთვის (ასფალტი – ინერტული მასალა).

8. ქვაბულის ფერდოს მაქსიმალური დასაშვები დახრა მიღებულ იქნას ს.ნ. და წ. 3.02.01-87 პპ 3.11, 3.12, 3.15 და ს.ნ. და წ. III-4-80 მე-9 თავის მოთხოვნათა მიხედვით.

9. ს.ნ. და წ. - "სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.01.-09)-ის მიხედვით უბანი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას, სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტით $A=0.17$. იმავე ნორმატიული დოკუმენტის ცხრილი №1-ის თანახმად, სეისმური თვისებების მიხედვით სამშენებლო ფართზე გავრცელებული გრუნტები მიეკუთვნებიან:

ა) ტექნოგენური გრუნტი – ნატეხოვანი მასალა, თიხნარი (ფენა №1) – II კატეგორიას;

ბ) ნიადაგის ფენა – თიხნარი (ფენა №2) – II კატეგორიას;

გ) გამოფიტული ქვიშაქვები, ალევროლიტები და არგილითები (ფენა №3) – II კატეგორიას;

დ) სუსტად გამოფიტული ქვიშაქვები, ალევროლიტები და არგილითები (ფენა №4) – უმეტესად II, ნაკლებად I - კატეგორიას.

აღნიშნულიდან გამომდინარე სამშენებლო მოედნის საანგარიშო სეისმურობა მთლიანობაში განისაზღვროს 8 ბალით.

10. უბნის ამგები გრუნტები დამუშავების სიძნელის მიხედვით ს.ნ. და წ. IV-2-82-ის ცხრ.#1-ის თანახმად მიეკუთვნებიან:

ფენა №1 – ტექნოგენური გრუნტი – ყველა სახის დამუშავებისას – II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1800 კგ/მ³ (რიგ. №24ა);

ფენა №2 - ნიადაგის ფენა – თიხნარი – ყველა სახის დამუშავებისას - I ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1700 კგ/მ³ (რიგ. №33ა);


ფენა №3 - გამოფიტული ქვიშაქვები, ალევროლიტები და არგილითები – დასამუშავებელი მოცემულობის 55% ერთციცხვიანი ექსკავატორით – V ჯგუფს, ხელით VI ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 2200 კგ/მ³ (რიგ. №28ა); 45% - ერთციცხვიანი ექსკავატორით IV ჯგუფს, ხელით V ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 2000 კგ/მ³ (რიგ. №3ა);

ფენა №4 - სუსტად გამოფიტული ქვიშაქვები, ალევროლიტები და არგილითები - დასამუშავებელი მოცემულობის 55% ერთციცხვიანი ექსკავატორით – VI, ხელით VII ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 2300 კგ/მ³ (რიგ. №28ბ); 45% - ერთციცხვიანი ექსკავატორით V ჯგუფს, ხელით VI ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 2000 კგ/მ³ (რიგ. №3ა).

თბილისისა და მისი შემოგარენის ჰიდროლოგიური მახასიათებლები განპირობებულია მდინარე მტკვრის აღმოსავლეთ დეპრესიის სპეციფიური კლიმატური, ტოპოგრაფიული და გეოლოგიური პირობებით. მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების განსხვავებული რელიეფი განაპირობებს განსხვავებულობას ჰიდროლოგიურ რეჟიმებში.

მარჯვენა სანაპიროს შედარებით დიდი დახრილობისა და მთა-გორიანი რელიეფი უხვი ნალექების დროს, შედარებით დიდ წყალმოვარდნებს იწვევს. ნაკლები დახრილობა მარცხენა სანაპიროზე განაპირობებს დაბლობის ნაკადებისა და მშრალი ხევების წარმოქმნას. თბილისი მთლიანობაში მტკვრის აუზს წარმოადგენს. ქალაქის ტერიტორიაზე მიედინება 50 ზე მეტი მცირე მდინარე. თბილისში მტკვრის ყველაზე დიდ შენაკადებია დიღმისწყალი და ვერე - მარჯვენა სანაპიროზე, გლდანისხევი და ხევძმარი - მარცხენა სანაპიროზე. ასევე, აღსანიშნავია სხვა მცირე მდინარეები: ლელვთახევი, შინდისხევი ხევძმარა, ლოჭინი, ორხევი და სხვ.

ნახაზი 2.1.4. თბილისის ჰიდროგრაფიის რუკა



გარდა მდინარეებისა, თბილისში გვხვდება ბუნებრივი ტბები, (ლისის ტბა, გლდანის ტბა, კუს ტბა და ა.შ) რომელთაც მნიშვნელოვანი სარეკრეაციო დატვირთვა აქვთ. თბილისის ხელოვნური წყალსაცავი (სამგორის წყალსაცავი) რომელიც სამი მლაშე ტბის დატბორვის შედეგად იქნა მიღებული, ქ.თბილისის სასმელი წყლის მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს.


საკვლევი ტერიტორიისათვის უახლოესი წყალსატევია ლისის ტბა, რომელიც თბილისში და მის შემოგარენში არსებული ბუნებრივი ტბებიდან უდიდესია. იგი მდებარეობს თრიალეთის ქედის ერთ-ერთ დაბოლოვებაზე, 624 მ-ზე ზღვის დონიდან. ლისის ტბის ზედაპირის ფართობია 0.47 კმ², აუზის ფართობი – 16 კმ²; მაქსიმალური სიღრმე – 4მ; მოცულობა – 1.22 მლნ. მ³. ტბა, საზრდობს მინისქვეშა წყლებით და ნალექებით. აღსანიშნავია, რომ ლისის ტბის სანაპიროებზე შემორჩენილია მტკნარი წყლის ჭაობების ჰაბიტატის ფრაგმენტები.

საკვლევი ტერიტორიისათვის დამახასიათებელია სახეცვლილი ლანდშაფტური გარემო. ჩამოყალიბებულია ტიპური ანთროპოგენური ლანდშაფტი. საკვლევი ტერიტორიის ხედები წარმოდგენილია ქვემოთ სურათზე 2.1.1.

თბილისის ტერიტორია, მიუხედავად ძლიერი სახეცვლილებისა რომელიც ძირითადად ხანგრძლივმა ანთროპოგენულმა ზემოქმედებამ გამოიწვია, მდიდარია ცოცხალი სამყაროს სახეობრივი მრავალფეროვნებით. აღნიშნულის განმაპირობებელია როგორც რელიეფური და კლიმატური მრავალფეროვნება, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ასევე, უფრო ფართო მასშტაბით საქართველოს და კავკასიის ბიოლოგიური მრავალფეროვნების სიმდიდრე. რეგიონი წარმოადგენს მხოფლიო მასშტაბით აღიარებულ ბიოლოგიური მრავალფეროვნების „ცხელ წერტილს“, სხვადასხვა ორგანიზაციათა სხვადასხვა მეთოდოლოგიით განხორციელებული შეფასებების მიხედვით, როგორც ფლორის, ასევე ფაუნის სახეობათათვის. ამასთან, საქართველოში მდებარეობს წარმოადგენს ევროპისა და აზიის მასშტაბით მნიშვნელოვანი სამიგრაციო დერეფანები გადამფრენი ფრინველთათვის, (მათ შორის, აღმოსავლეთ საქართველოში, მტკვრის ხეობაში).

თბილისი უშუალოდ ესაზღვრება მისივე სახელობის ეროვნულ პარკს, რაც დამატებით მნიშვნელობას ანიჭებს ქალაქის ტერიტორიაზე სახეობათა და მათი საბინადრო გარემოს აღწერასა და დაცვას.

სურათი 2.1.1. საკვლევე ტერიტორიის ხედები








25.01.2019



ქ. თბილისი მდებარეობს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის გეობოტანიკურ რაიონში (იხ. საქართველოს ბოტანიკურ-გეოგრაფიული დარაიონების რუკა ნახაზზე 2.1.5).

ნახაზი 2.1.5. საქართველოს ბოტანიკურ-გეოგრაფიული დარაიონების რუკა



თბილისისა და მისი შემოგარენის მცენარეულობის ცვლილებების დღევანდელი სახე ბუნებრივი განვითარების და ანთროპოგენული ფაქტორების ზეგავლენის სურათს წარმოადგენს.

მცენარეული საფარის დაწვრილებითი შესწავლისას, მასში ისტორიულ პერიოდში ანთროპოგენური და სხვა ფაქტორების მოქმედების შედეგად დადგენილია, რომ მკვეთრად შემცირდა ტყის მასივების ფართობები და ისინი შეიცვალა ტყის შემდგომი ბუჩქნარით და ბალახეული მცენარეულობით.

მცენარეული საფარის ესა თუ ის სახეობა სხვადასხვაგვარად რეაგირებდა ერთსა და იმავე ფაქტორის მიმართ. დღეისათვის თბილისის შემოგარენში გავრცელებულია როგორც მშრალი სტეპების და ჯაგეკლიანების, ისე ტენიანი გარემოს მოყვარული მცენარეულობა, რომელიც მდიდარია არა მარტო მცენარეული ტიპებით, არამედ ფლორისტულადაც. გეობოტანიკური თვალსაზრისით თბილისის შემოგარენის მცენარეული საფარი მიეკუთვნება სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ფლორისტულ რაიონს, რომლის მცენარეულობის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს კოლხეთისა და ჰირკანის ფლორა და ამავე დროს მცირე აზიის ქსეროფიტული ზონები. ეს განაპირობებს აღნიშნული რეგიონის ფლორის კომპლექსების მრავალფეროვნებას, რომელიც მეტად მკვეთრად არის აქ გამოხატული. საქართველოში არსებული მცენარეთა 4032 სახეობიდან განსახილველი რეგიონის ტერიტორიაზე, როგორც მკვლევარები (სახოკია, 1958) აღნიშნავენ, აღწერილია 1643-ზე მეტი სახეობის მცენარე, ე.ი. 40%-მდე, რომელიც 104 ოჯახის და 629 გვარის წარმომადგენელია.

აქ წარმოდგენილია მთელი კავკასიის ოჯახების 79%, გვარების 57% და სახეობების 26%. მათ შემადგენლობაში შედის სამხრეთ კავკასიის მრავალი ენდემური მცენარე.

თბილისის შემოგარენში წარმოდგენილია საქართველოს ტყეების თითქმის ყველა ცენოზი. კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს ტიპური წიფლნარები, წიფლნარები კოლხური

ელემენტებით, ქართული და აღმოსავლეთის მუხნარები, რცხილნარები და ჯაგრცხილნარები, ნაძვნარები და ფიჭვნარები, ღვიიანები, აკაკიანები, სალსალაჯიანები და ა.შ.

მდინარეების: მტკვრის, ვერეს, დიღმისწყლის ნაპირები დაკავებულია ტირიფიანებით, ოფიანებით, ხვალაოიანებით და ჭალის ტყეებისათვის დამახასიათებელი მცენარეულობით. კლდოვან ფერდობებზე გვხვდება: თუთუბოიანები, ძეძვიანები, შავჯაგვიანები, გრაკლიანები და სხვა ქსეროფიტული დაჯგუფებები. თბილისის შემოგარენის ტერიტორიაზე ერთმანეთში შეჭრილია სტეპის და ტყის ფორმაციები, რომელთა საზღვარი წარმოდგენილია მრავალსაფეხურიანი გარდამავალი ზოლით.

სტეპებისათვის დამახასიათებელია აბზინდიანები, უროიანები, ვაციწვერიანები, წივანიანები, ხურხუმოიანები და ა.შ, რომელთა ფონზე, ფერდობებზე გვხვდება ღვიიანები, ჩიტავაშლიანები, ძეძვიანები, იაღლუნიაანები და სხვა ქსეროფიტული ბუჩქნარები.

თბილისის შემოგარენის მცენარეული საფარი გენეტურად და სტრუქტურული ორგანიზაციის მიხედვით რთულ სურათს იძლევა. შორეულ წარსულში რეგიონის ტერიტორია - ვაკები, მთისწინები და სერების კალთები თითქმის მთლიანად ტყეებით იყო დაფარული, რომელთა შორის დომინირებდა მუხნარი (*Quercus iberica*), რცხილნარი (*Carpinus caucasica*), წიფლნარი (*Fagus orientalis*), მუხნარ-რცხილნარი, წიფლნარ-რცხილნარი.

ისტორიულ პერიოდში ანთროპოგენული პრესის შედეგად, ტყის საფარი თანდათანობით შემცირდა, ბევრგან (ძირითადად ვაკეებზე) კი მთლიანად განადგურდა.

პრაქტიკულად ასევე მთლიანად განადგურდა მდ. მტკვრის და მის შენაკადთა უახლოეს ტერასებზე განვითარებული ჭალისტყეები. ადრე არსებული ტყეების ადგილას ამჟამად წარმოდგენილია ჰემიქსეროფილური და ქსეროფილური ბუჩქნარები და ბალახეული ცენოზები, ტერიტორიის უმეტესი ნაწილი კი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უჭირავს. მტკვრის ჭალების ფრაგმენტები შემორჩენილია ავჭალისა და დიღმის ჭალების, ასევე, ორთაჭალის და ფონიჭალის მიმდებარე ჭალების სახით.

ჰემიქსეროფიტებში და ქსეროფიტებში დომინირებენ სტეპები. სტეპის მცენარეულობიდან თბილისის შემოგარენში უპირველესად უნდა აღინიშნოს ურო, სამგორის ვაკეზე, ივრის ზეგნის დასავლეთი ფერდობები (თბილისის წყალსაცავის მიდამოები). ურო მეორეული წარმოშობისაა. წმინდა უროიანი სტეპი უფრო მეტად მოსწორებულ და სუსტად დახრილ რელიეფზე გვხვდება. მშრალ ფერდობებზე უფრო ხშირად განვითარებულია ბილომინანტური უროიან-წივანიანი სტეპის (*Bothriochloa ischaemum*, *Festuca sulcata*) დაჯგუფებები, რომელიც გამოხატულია თბილისის წყალსაცავის, მახათას მთის მიდამოებში, გარდა ძირითადი სახეობებისა (ურო და წივანა), აქ აღინიშნება კენწურა, ბურბუშელა და სხვა.

ვაციწვერიანი სტეპი წარმოდგენილია მცირე ფრაგმენტების სახით და ტიპურად არსადაა. იშვიათად გვხვდება, ისიც ნატყევარ მდელოებზე (მამადავითის, ნახშირგორის აღმოსავლეთი ფერდობი და სხვა). ვაციწვერიანების პატარ-პატარა დაჯგუფებანი ზოგ ადგილას აღინიშნება აგრეთვე უროიან სტეპთან, ჯაგეკლიანებთან, კლდეთა ქსეროფიტებს შორის დიდი ლილოს, საცხენისის, ქვემო სამგორის მიდამოებში.

ვაციწვერიანები ძირითადად მთისწინებში 500-700 მ სიმაღლეზე არიან გავრცელებულნი. სტეპის მცენარეულობის ყველაზე მშრალ ვარიანტად მიიჩნევა წივანიან-ვაციწვერიანი სტეპი, რომელიც მშრალ ფერდობებზეა გავრცელებული. ისინი ესაზღვრებიან აბზინდიან ნახევარუდაბნოს (*Artemisia fragrans*) და ხშირადაც მასში გადადიან.

ნახევარუდაბნოს მცენარეულობა თბილისის შემოგარენის სამხრეთით გვხვდება კუმისის ტბის ირგვლივ. იგი ძირითადად წარმოდგენილია აბზინდიით (*Artemisia Meyeriana* Bess), სიმაღლებრივი გავრცელების საზღვარი 600-800 მ. ზ. დ. ურო და აბზინდა ერთად ქმნიან გარდამავალ ცენოზებს ნახევარუდაბნოდან სტეპებზე. ფრაგმენტების სახით ყველაზე მშრალ,

სუსტალ დამლაშებულ ადგილებზე გვხვდება ავშნიან-ყარლანიანი (*Artemisia fragrans*, *Salsola dendroides*), ავშნიან-ჩარანიანი (*Artemisia fragrans*, *Salsola ericoides*).

ფართოდ არის გავრცელებული ჰემიქსეროფილური და ქსეროფილური ბუჩქნარები ჯაგეკლიანების სახით, რომელთაგან უმრავლესობა მეორეული წარმოშობისაა- განვითარებულია რა ვაკის, ჭალის ტყეების, მთისწინების, აგრეთვე სერების, დაბალმთიანეთის ტყეების (მუხნარების, რცხილნარების და სხვ.) გადაგვარების შედეგად.

აღსანიშნავია, რომ ჯაგეკლიანი სტეპები პირველად ატარებდნენ იმ ცენოზის ელემენტებს, რომლის გადაგვარების შედეგად წარმოიშვნენ, შემდეგ მათი საერთო იერი უთანაბრდება უროიან სტეპს. მთისწინების ზედა ნაწილში (600-900 მ) დამახასიათებელის ჯაგეკლიანი ქსეროფილური ბუჩქნარი ძეძვის (*Paliurus spina Christi*) გაბატონებით. აგრეთვე შავჯაგიანი (*Rhamnus pallasii*), გვხვდება აგრეთვე გრაკლა (*Spiraea prunifolia*), თრიმლი (*Cotinus coggygria*), თუთუბო (*Rhus coriaria*), კუნელი (*Crataegus Hyrtostyla*), ცხრატყავა (*Lonicera Caucasicca*), კვრინჩხი (*Prunus spinosa*), ჩიტავაშლა (*Cotoneaster racemiflora*) და სხვ. მთისწინების ზემო ნაწილში ძეძვს ემატება მუხა და ჯაგრცხილა. ზოგან ძეძვი ერთმანეთისგან დაშორებულია და მათ შორის კორდს ქმნის ურო, წივანა. წმინდა ძეძვიანი იშვიათად გვხვდება. თავისთავად წმინდა ძეძვიანი განვითარებულია კუმისის მახლობლად, სადაც დიდ ფართობებზე ტყის ელემენტები არ შეინიშნება. სხვა ბუჩქნარებიც და ბალახეულობას ქსეროფიტულია.

ყველაზე ხშირ ადგილსამყოფელებში სამხრეთ ექსპოზიციის თხელნიადგიან და ქვა-ლორღიან ნიადაგებზე განვითარებულია ქსეროფილური ნარეკლიანები - გლერძიანები (*Astragalus microcephalus*), ზღარბიანები (*Acantholimon lepturoides*), ურციანები და სხვ.

გლერძიანები დიდი რაოდენობითაა კარსანის მიდამოებში, სამხრეთ ექსპოზიციის ფერდობებზე. კლდეთა ქსეროფიტები, რომლებიც ხშირად ნარეკლიანებში გადადის, მკაფიოდ არის გამოსახული მდ. ვერეს ხეობაში, კუმისის მიდამოებში სამხრეთ ფერდობებზე, თელეთის ქედის სამხრეთ ექსპოზიციის ფერდობებზე და სხვ.

ჯაგეკლიან სტეპებს თანდათანობით ცვლის ტყეები, რომელნიც წარსულში უფრო ფართოდ იყვნენ გავრცელებულნი. ეს ყოველი ნიშნით დასტურდება. ისტორიული წყაროები, ტყის ელემენტები ჯაგეკლიანებში და სტეპის ფრაგმენტებში, ტყის ნიადაგების ელემენტების არსებობდა სტეპის და ჯაგეკლიანების გავრცელების არეში და სხვ. თანამედროვე უტყეობა მეორადი მოვლენაა. ადამიანის ჩარევით ტყეები ბარშიც და მთაშიც გაჩანაგდა. ამგვარად, ტყის უკანდახევა და მისი ადგილებზე სტეპის მცენარეულობის დამკვიდრება დიდწილად ადამიანის საქმიანობითაა გამოწვეული.

მდელოს მცენარეები თბილისის მიდამოებში დაბლობ ადგილებში მდინარეთა ტერასების ალუვიურ ნიადაგებზე წარმოდგენილია გლერძით, ფართოფოთლოვანი მარცვლოვნებით. კოჭრის, ბევრეთის, ტაბარუკის მიდამოებში. საგურამო-იალნოს ქედებზე მეორადი სუბალპური მდელოებია სკიპალოს, კენკეშას და მთის ბარისპირას მონაწილეობით.

ჭაობის მცენარეულობა დაკავშირებულია ჭალის ტყეებთან ან სარწყავ არხებთან. კუმისის, ლისის, კუს ტბის, ნოდორეთის და სხვათა ნაპირებზე. ჭაობის მცენარეულობის დაჯგუფებაში უმთავრესად მარცვლოვანი მცენარეები მონაწილეობენ: *Phragmites communis glauca* M. B., *Heliocharis pelr* და სხვ.

თბილისის შემოგარენის ტყეების დიდი ნაწილი, ადამიანის ხანგრძლივი ზეგავლენის შედეგად, მნიშვნელოვნად შეცვლილია. ტყეები უმთავრესად თრიალეთის და საგურამო-იალნოს, დიდგორის, ნათლისმცემლის, ლომისსერის, არმაზის ქედების კალთებზეა გავრცელებული. გავრცელებული სახეობებია: წიფელი, რცხილა, ქართული მუხა, ნეკერჩხალი, ბოყვი, თრიმლი და ა. შ. ქვეტყეში - თხილი, შინდი და სხვ.

თბილისის შემოგარენში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემორჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს ტყეებისათვის დამახასიათებელი ტყის ყველა ცენოზი.

საგურამოს ქედის ზედა ნაწილში, ჩრდილო ექსპოზიციის ფერდობებზე გავრცელებულია წიფლნარი, რომლის ქვეტყეში აღინიშნება კოლხური ელემენტები: იელი (*Rhododendron luteum*), ბზა (*Buxus colchica*), ბაძგი (*Ilex aquifolium*), მაჭალვერი (*Daphne caucasica* Pall), მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), კოლხური სურო (*Hedera colchica*).

საგურამოს ტყეები თბილისის შემოგარენის სხვა ტყეებისგან განსხვავებით უფრო მეზოფილურ ხასიათს ატარებს და ადვილად ხდება ძველი კოლხური ელემენტების (მაგ: ბზა) აღდგენა. წიფლნარები გვხვდება აგრეთვე დიდგორის, ნათლისმცემლის, ლომისსერის ქედებზე.

თბილისითან უახლოეს ადგილებში (კოჯორი, წოდორეთი) წიფლნარები უფრო გაღარიბებულია ვიდრე საგურამოს ქედზე. კოლხური ელემენტები ადამიანის ზეგავლენის გამო აქ ისე დამახასიათებელი არაა, როგორც საგურამოს ქედზე. რცხილნარების განვითარების ოპტიმალური საზღვრებია 800-1000 მ-დან 1100-1200 მ-მდე. ამ ფარგლებში ტიპური პირველადი რცხილნარები ვითარდება. რცხილა ადვილად იჭერს წიფლნარის ადგილს. თბილისის შემოგარენის რცხილნარები (კოჯორი, წოდორეთი, დიდგორი) ძირითადად წიფლნარების შემდგომ არიან განვითარებულნი. რცხილნარებს ქვევით ზონალურად მუხნარი ტყეებია გავრცელებულ, რომელთაგან ნაწილს ადამიანის ზეგავლენის შედეგად რცხილნარების გავრცელების ადგილი უკავია. მაგალითად, წინათ არსებული რცხილნარ-მუხნარები შემდგომ მუხნარებად განვითარდნენ და გაჯაგდნენ. (წყნეთი, დიდგორი, საგურამოს მთისწინები, წოდორეთი და სხვ.).

მუხნარებს აქ საკმაოდ ფართო გავრცელება აქვთ. მათ უჭირავთ ის სარტყელი, რომელიც რცხილნარებს და ჭალის ტყეებს შორის მდებარეობს. ხშირად მუხნარში აქა იქ შემოჭრილია ნათელი ტყე (კარსანის სამხრეთისაკენ მიქცეული ფერდობები). მუხნარებს უკავიათ თრიალეთის ქედის წინაკალთები, თელეთის ქედი, მუხათგვერდის, წყნეთის, თელოვანის და სხვ. მიდამოები. მუხნარებმა შეცვალეს რცხილნარებიც და წიფლნარებიც თრიალეთის ქედზე კოჯორის მიდამოებში. აქ ძირითადად გაბატონებულია ქართული მუხა (*Quercus iberica*).

ტყის ზემო საზღვარზე გავრცელებულია აღმოსავლური ნაძვი ლომისსერის მთის კალთაზე ბევრეთის, წოდორეთის მიდამოებში. ძალზე მცირე ფრაგმენტებად შემორჩენილია ნათელი ტყეები. ისინი უმთავრესად მუხნარებს და მუხნარ-რცხილნარებს ესაზღვრება. ან მათ შორის შესაძლოა სტეპური ფორმაციებიც (სამგორი) იყოს წარმოდგენილი. ნათელი ტყეების მცირე ფრაგმენტები შემონახულია კარსანში, არმაზის ქედზე, ზემო ავჭალაში, მთა მთავარმონწყალეს მიდამოებში. აქ დაბალი ბუჩქნარის სახით გაბატონებულია უმთავრესად ღვიიანი ნათელი ტიპის ტყე. ნათელ ტყეებში მონაწილეობს აგრეთვე ქართული მუხა, საკმლის ხე, აკაკი, ბერყენა, ქართული ნეკერჩხალი, ჯაგრცხილა, თელა. თბილისის მიდამოებში არსებული ნათელი ტყეების შემქმნელი ღვიებიდან აღსანიშნავია: (*Juniperus Sabina*, *J. Oblonga*).

თბილისის შემოგარენში წარსულში ფართოდ იყო გავრცელებული ჭალის (ტუგაის) ტყეები. ამ ტიპის ტყეების ნაშთები მხოლოდ მდინარე მტკვრის კალაპოტშია შემონახული, მის გამლილ, ჯებირით შემოუსაზღვრავ ნაწილებში, ასევე მტკვარში შემორჩენილ კუნძულებზე. ჭალის ტყეები მცირე ფრაგმენტების სახით არის შემორჩენილი ზაჰვისის, ქვემო ავჭალის, დიდმის, ფონიჭალის, ნავთლულის მიდამოებში მდ. მტკვრის გასწვრივ. ძირითადად I ტერასის ტყეებია, II ტერასის ტყეები აღარაა შემორჩენილი. ჭალის ტყეებში ძირითადია ტირიფი, შავი ცერხვი, ოფი, ხვალო, თუთა. ქვეტყიდან იალლუნი (*Tamarix ramosissima*), ქაცვი (*Hippophae rhamnoides*) და სხვა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, თბილისის უშუალო სიახლოვეს ბუნებრივად გავრცელებული ტყეების დიდი ნაწილი ისტორიულ წარსულში განადგურდა. ამჟამად, თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების მიმდებარედ არსებული ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი

ხელოვნურად გაშენებულ ტყეებს უკავია. ტყეების ხელოვნური გაშენება მეცხრამეტე და განსაკუთრებით - მეოცე საუკუნეში მიმდინარეობდა. ძირითად ირგვებოდა ფიჭვის სახეობები (ძირითადად, ელდარის ფიჭვი, (*Pinus Eldarica*), კავკასიური ფიჭვი (*Pinus Sosnowskyi*) და შავი ფიჭვი (*Pinus Nigra*) ასევე, შედარებით მცირე რაოდენობით, სხვა სახეობების ხე-მცენარეები. რადგან ფიჭვი სხვა ხე-მცენარეებთან შედარებით ადვილად ეგუება ექსტრემალურ პირობებს, ფიჭვნარების გაშენება ხდებოდა მწირ, ეროზირებულ ნიადაგებზე, კლდოვან სუბსტრაქტებზე.

ამჟამად, ხელოვნურად განაშენიანებულ ფიჭვნარებს მთლიანად უკავია თბილისის ურბანული ნაწილთან ყველაზე ახლოს მდებარე მთისწინები. ფიჭვნარები 40- 60 წლისაა, შემდგომში მათი მართვის მიზნით, მაღალი სიმჭიდროვით გაშენებული, თუმცა ამ ტყეების მოვლა-პატრონობა და მართვა ბოლო ათწლეულების მანძილზე არ ხდებოდა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ფიჭვნარებმა ქალაქის თითქმის ყველა უბანზე ხმოზა დაიწყეს. ქ. თბილისის 2015-2020 წ.წ. გარემოსდაცვითი სტრატეგიის მიხედვით, ხმოზის მიზეზები კომპლექსურია: დარგვის პერიოდში დარღვეულმა აგრო-ტექნიკურ პირობებმა, ნიადაგების სიმწირემ და გლობალურმა კლიმატურმა ცვლილებამ დააქვეითა მცენარეების გამძლეობა. შესაბამისად, ფიჭვები მონყვლადნი გახდნენ სხვადასხვა მაგნიტუდის - დაავადებების მიმართ. ბოლო ათწლეულებია არ ხდება აღნიშნული ტყეების სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ზრუნვა, გავრცელებული დაავადებების აღსაკვეთად დროული რეაგირებები არ განხორციელებულა, შესაბამისად, წინვონების ხმოზამ მასიური ხასიათი მიიღო. აღსანიშნავია, რომ ხელოვნურად გაშენებული სახეობების ნაწილი არ წარმოადგენს ადგილობრივ სახეობებს (მაგ. შავი ფიჭვი) და ამ სახეობებისგან შემდგარი წმინდა კორომები არატიპურია თბილისისათვის, რაც მათი დეგრადაციის ერთ-ერთ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს.


ამგვარად, თბილისის მიდამოების ბუნებრივი მცენარეული საფარი მნიშვნელოვნად არის შეცვლილი. ზოგიერთი დაჯგუფების, მაგ: ჭალის და ნათელი ტყეების შემცირების ხარჯზე წარმოიქმნენ სხვა დაჯგუფებები: ჯაგეკლიანი სტეპები. ბევრგან პირველადი, ბუნებრივი მცენარეულობა კულტურული ლანდშაფტებით შეიცვალა. თბილისის მწვანე საფრის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს გასულ საუკუნეში ხელოვნურად გაშენებული, (ძირითადად ფიჭვის) ტყეები.

2018 წლის 4 – 22 დეკემბერს ქ. თბილისში, ლისის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ ტერიტორიაზე შპს "ტყე და მეტყევე"-ს მიერ ჩატარდა დენდროლოგიური კვლევა, რომლის შედეგად დადგინდა, რომ ტერიტორიაზე განლაგებულია 5820 ძირი 15 სახეობის მწვანე ნარგავი. ამათგან 5245 ძირი ხილ-კენკროვანია. კერძო სახლების ასაშენებელ ეზოებში განლაგებული ხე-მცენარეები სახეობები, მათი ფიზიკური მდგომარეობა, დიამეტრები მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე და მათზე განსახორციელებელი სატყეო სამეურნეო ღონისძიებები მოცემულია შპს "ტყე და მეტყევე"-ს დასკვნაში №19 25/12/2018 (იხილეთ წინამდებარე ანგარიშის დანართი 5.3).

საკვლევი ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების გენ-გეგმა წარმოდგენილია ქვემოთ ნახაზზე 2.1.6.

ეს ნარგავები განთავსებულია კერძო სახლების ასაშენებელ ეზოებში, ამიტომ ამ ეტაპზე შეუძლებელია იმ ხე-მცენარეების ზუსტად დადგენა, რომლებიც უნდა დარჩეს ადგილებზე ან უნდა გადაირგას. მას შემდეგ რაც კერძო სახლის ამშენებელი გადაწყვეტს ასაშენებელი სახლის განთავსების ადგილს, შესაძლებელი იქნება ზუსტად განსაზღვრა იმ ხე-მცენარებისა, რომლებიც უნდა მოიჭრას, გადაირგას, თუ დარჩეს ადგილზე.

ნახაზი 2.1.6. საკვლევ ტერიტორიის არსებული მწვანე ნარგავების გენ-გეგმა.



თბილისი და მისი შემოგარენი ათვისებულია ადამიანის მიერ და საუკუნეების განმავლობაში ძლიერ ანთროპოგენულ პრესს განიცდის, მაგრამ, მიუხედავად ამისა აქ ფაუნის საკმაოდ დიდი მრავალფეროვნება გვხვდება. ლიტერატურული წყაროებიდან ირკვევა, რომ 50-იან წლებში თბილისის შემოგარენში ზოლებიანი აფთარი გვხვდებოდა. გავრცელებული იყო ირემი, ხოლო უფრო ადრე თბილისის მიდამოებში ჯიქი (*Panthera pardus*) და ვეფხვიც კი არის დაფიქსირებული. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იან წლებში თბილისის მიდამოებში ბინადრობდა ქურციკი (*Gazella subgutturosa*) - სამგორის, გარდაბნის და ვაზიანის მახლობლად, „სამხრეთ არის ველი ყარაიისა საესე ქურციკითა, რომელსა მონადირეობენ მეფენი წლითი წლად- მოგვითხრობს ვახუშტი.

გამომდინარე იქიდან, რომ თბილისის შემოგარენის ფაუნასთან დაკავშირებით ინფორმაცია ფრაგმენტირებულია და ხშირ შემთხვევაში ძველ, ათწლეულების ხანგრძლივობის წყაროებს ეყრდნობა, ამ სახეობების მდგომარეობისა და რიცხოვნების შესახებ ზუსტი ინფორმაცია ამჟამად არ არსებობს.

დროთა განმავლობაში, ქალაქის გაფართოებასთან და განვითარებასთან ერთად, იცვლება მისი ბუნებრივი გარემოც, რაც ხშირ შემთხვევაში ველური სახეობების არეალის შევიწროვებას და გაქრობას იწვევს. მიუხედავად ამისა, თბილისის ფაუნა საკმაოდ მრავალფეროვანია: შემოგარენში მხოლოდ ხერხემლიანი ცხოველების 300 ზე მეტი სახეობა გვხვდება: მწერიჭამიების 8, ხელფრთიანების 20, მღრღნელების 17, მტაცებლების 10, წყვილჩლიქოსნების 2 და კურდღლისნაირთა ერთი სახეობა. აქ, სხვადასხვა ჰაბიტატებში, გვხვდება გველების, ხვლიკებისა და ამფიბიების 32, ხოლო ფრინველთა 200 ზე მეტი სახეობა. უხერხემლოთა სახეობების რიცხოვნებასა და გავრცელების არეალთან დაკავშირებით კი საკვლევი ობიექტების სიმრავლიდან გამომდინარე ინფორმაცია მწირი და ფრაგმენტირებულია. მაგალითად, თბილისის ქვაბულში გვხვდება ობობების 252 სახეობა.

თბილისის სიახლოვეს, ფაუნის „ცხელ წერტილად- თბილისის ეროვნული პარკი შეიძლება ჩაითვალოს. თბილისის ეროვნულ პარკში ქვეწარმავლების 12, ასევე წვრილი ძუძუმწოვრების 46 სახეობაა დაცული.

თბილისის ფაუნის მრავალფეროვნება განაპირობებულია მისი ლანდშაფტებისა და ჰაბიტატების მრავალფეროვნებით. აქ სხვადასხვა ადგილებზე გვხვდება როგორც ასევე ტენიანი, ჭაობების, მდინარეების, ტბების, ტყეებისა და ნახევარუდაბნოების მობინადრეთათვის ხელსაყრელი გარემო. თბილისის ფაუნის მრავალფეროვნება მთლიანად დამოკიდებულია აღნიშნული ჰაბიტატების მათ დაცვასა და შენარჩუნებაზე.

თბილისის მიდამოებში გვხვდება ძუძუმწოვრების 60 მდე სახეობა: მტაცებლებიდან, საგურამოს ნაკრძალში გვხვდება ფოცხვერი (*Lynx lynx*), გავრცელებულია მგელი (*Canis lupus*), მელა (*Vulpes vulpes*) შესაძლოა წავკისი-კოჯორი წყნეთის ტერიტორიაზეც. ლელიანის კატა (*Felis chaus*) გვხვდებოდა მტკვრის ჭალებში, თუმცა მათი დეგრადაციის შემდეგ სახეობის გავრცელების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს. თბილისის ტყეებში გვხვდებოდა ტყის კატა (*Felis silvestris*). თბილისის შემოგარენის ტყეებში გავრცელებულია ამიერკავკასიური მაჩვი (*Meles meles*), თეთრყელა კვერნა (*Martes foina*), დედოფალა (*Mustela nivalis*), ასევე წითელი ნუსხის სახეობები, ჭრელტყავა (*Peregusna Peregusna*). თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, ბინადრობს დათვი (*Ursus arctos*).

წყვილჩლიქოსნებიდან თბილისის მიდამოებში (ძირითადად, ეროვნულ პარკში) გავრცელებულია შველი (*Capreolus capreolus*) და გარეული ღორი (*Sus scrofa*).

მღრღნელები (*Grires*) თბილისის მიდამოებში მრავლად არიან გავრცელებული. გვხვდება როგორც წითელი ნუსხის სახეობა - ამიერკავკასიური ციყვი (*Sciurus anomalus*), ასევე ინვაზიური - ტელუტური ციყვი (*Sciurus vulgaris*). ზედაბნის, ბეთანიის, კოჯორი, სამგორის, მარტყოფის მიდამოებში გავრცელებულია ჩვეულებრივი ძილგუდა (*Glis glis*) და ღნავი (*Dryomys nitedula*),

თბილისში გავრცელებულია რუხი და შავი ვირთაგვები (*Rattus norvegicus*; *R. Rattus*), სახლის და ველის თაგვები (*Mus musculus*, *M. macedonicus*). ნახევარუდაბნოს ჰაბიტატებში, რუსთავის, გარდაბნის ველებზე, გვხვდება წითელი ნუსხის სახეობა, მცირეაზიური მექვიშა (*Meriones tristrami*). წყალსატევებთან გავრცელებულია წყლის მემინდვრია (*Arvicola amphibius*). წყნეთში, კოჯორში, დიღომში, სამგორის ველზე, გვხვდება ამიერკავკასიური ჩვეულებრივი მემინდვრია (*Microtus arvalis*). თბილისის მიდამოებში ასევე გავრცელებული არიან სოციალური მემინდვრია (*Microtus socialis*), ბრანდტის ზაზუნა (*Mesocricetus brandti*), ნაცრისფერი ზაზუნელა (*Cricetulus migratoris*), წითელქუდა მექვიშა (*Meriones libycus*), მცირე თაგვი (*Apodemus uralensis*), პონტოს თაგვი (*Apodemus flavicollis*). (ბუხნიკაშვილი, 2004). კურდღლისნაირებიდან თბილისის მიდამოებში გავრცელებულია ამიერკავკასიური კურდღელი (*Lepus europaeus*).

ხელფრთიანები (*chiroptera*) თბილისის შემოგარენში ფართოდ არიან გავრცელებულები. გვხვდება წითელი ნუსხის სახეობებიც: მეჭელისეული ცხვირნალა (*Rhinolophus mehelyi*) რომელიც გავრცელებულია მცხეთის მისადგომებთან და თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე და მაჩქათელა (*Barbastella barbastellus*).

მწერიჭამიების (*Insectivora*) რვა სახეობა: ზღარბი (*Erinaceus conocolor*) გვხვდება თბილისის ეროვნულ პარკში, მარტყოფის, ნორიოს, კუს ტბის, თბილისის ზღვის, ვაზიანის ველის მიდამოებში, კავკასიური თხუნელა (*Talpa caucasica*) აღწერილია მარტყოფის, კოჭრის მიდამოებში, ავჭალის ტერიტორიაზე. კავკასიური ბიგა (*Sorex satunini*) გვხვდება თბილისის ერ. პარკში. თბილისის მიდამოებში ასევე გავრცელებულია ლევანტისის თხუნელა (*Talpa levantis*), გულდენშტადტის თეთრკბილა (*Crocidura gueldenstaedti*), სპარსული თეთრმუცელა კბილეთორა (*Crocidura leucodon*), ფულუ (*Suncus etruscus*) და ბიგა (*sorex volnuchini*).

საკარეუბნო ზონის მიდამოებში იქმნება მეტად მრავალფეროვანი პირობები ორნითოფაუნის გავრცელებისთვის. ფრინველებიდან ბიოტოპური განაწილების მხრივ აქ გვხვდება მეტად ქსეროფილური და ძლიერ მეზოფილური სახეობები. ველისა და ნახევარუდაბნოების, კლდე-ლორღიანების და ფლატეების ფრინველები. ტყისა და ბუჩქნარების ფრინველები შეადგენენ 55,8%. სულ თბილისში გვხვდება მობინადრე, მობუდარი, მიმომტრენი, მოზამთრე და იშვიათად ან შემთხვევით შემომტრენი 200 ზე მეტი სახეობის ფრინველი. ქვემოთ აღწერილია თბილისის ტერიტორიაზე დაფიქსირებული ზოგიერთი სახეობა.

ველსა და მინდვრებზე გვხვდება მწყერი (*Coturnix coturnix*), სამხრეთ კავკასიური გნოლი (*Perdix perdix carenses*). მთაწმინდისა და თაბორის ქედთა კალთებზე, თელეთის ქედის მიმართულებით ყველგან გვხვდება კავკასიური კაკაბი (*Alectoris graeca*), ტყისპირებსა და ბაღებში ყაპყაპი (*Coracias garrulus*), მწვანე კოდალა (*Picus viridis*), ჩვეულებრივი კირკიტა (*Falco tinnuculus*). ხშირია ჭილყვავი (*C. frugiegus*). თითქმის ყველგან გვხვდება აღმოსავლურ ევროპული კაჭკაჭი (*Pica pica*). იგი ბინადრობს ბუჩქნარებში, ტყის პირებსა და ჭალებში. რუხი ყვავი (*Corvus corne*). ტყითა და ბუჩქნარით დაფარულ ადგილებში ხშირია მეფეტვია (*Emberiza calendra*).

თბილისის მიდამოების გატყვევებამ დადებითად იმოქმედა ფრინველთა რიცხვის საერთო ზრდაზე. საგრძნობლად გაიზარდა დენდროფილთა წილი ორნითოფაუნაში. პირველ რიგში აღსანიშნავია სკვინჩა (*Fringilla coelebs*), რომელიც ყველა ტიპის ტყესა და ანდროპოგენურ ლანდშაფტში ბინადრობს. აგრეთვე ჩიტბატონა (*Carduelis carduelis*), მწვანელა (*Chloris chloris*).

თბილისის ზღვის მახლობლად, უწინ არსებულ ველებზე გაშენებულმა დენდროლოგიურმა პარკმა დიდი რაოდენობით მოიზიდა ტყე-ბუჩქნართა ისეთი ფრინველები, როგორცაა: შაშვი (*Turdus merula*), ჩხართვი (*T. viscivervus*), ბოლოშავი (*T. pilaris*), ყარანა (*Phylloscopus collylistis*) და ყვითელთავა ნარჩიტა (*Regulus regulus*). ასპუჭაკი (*Sylceia hotensis*), ჩხართვი (*T. viscivervus*), დიდი წივნივა (*Perus major*). მინაზე მობუდარე ფრინველები: მწყერჩიტა (*Anthus campestris*), მინდვრის ტოროლას (*Aleuda arvensis*) და ველის ტოროლას (*Mela Corhupha aelandra*) და ა.შ

წყალსაცავთა მახლობლად ხშირია წყალწყალა (*Notacila alba*), ბგენვია (*M. ciperea*), ბოლოქანქალა (*M. flava*), ალკუნი (*Alecedo atthis*). ზამთრის პერიოდში იზრდება წყალმცურავი ფრინველების სახეობათა რაოდენობა. მათგან აღსანიშნავია (*Columbus ruficolus*), გარეული იხვი (*Tadorna ferruginea*). ბოლო დროს მდინარე მტკვარზე და თბილისის ზღვაზე გვხვდებიან თოლიები.

თბილისი საკმაოდ მდიდარია ჰერპენტოფაუნით. აქ აღწერილია ამფიბიებისა და რეპტილიების 30-ზე მეტი სახეობა.

გველები: წითელმუცელა მცურავი (*Coluber jugularis*), ფერადი მცურავი (*Coluber ravergieri*), წნგოსფერი მცურავი (*Coluber najadum*), ამიერკავკასიური მცურავი (*Elaphe hohenackeri*), ოთხზოლიანი მცურავი (*Elaphe quatorlineata*), კატისვალა გველი (*Telescopus fallax*), ბობმეჭა (*Anguis fragilis*), წელის ანკარა (*Natrix tessellata*), სპილენძა (*Coronella austriaca*), ესკულაპის გველი (*Elaphe longissima*), ჩვეულებრივი ანკარა (*Natrix natrix*), ჩვეულებრივი გველბრუსა (*Typholops vermicularis*), დასავლეთის მახრჩობელა (*Eryx jaculus*), წყნარი ეირენისი (*Eirenis modestus*), ცხვირრქოსანი გველგესლა (*Vipera transcaucasiana*), დინიკის გველგესლა (*Vipera dinniki*).

ხვლიკებიდან გვხვდება ზოლიანი ხვლიკი (*Lacerta strigata*), მტკვრის ხვლიკი (*Darevskia portschinskii*), რადეს ხვლიკი (*Darevskia raddei*).

თბილისის მიდამოების ჭარბწყლიან ჰაბიტატებში მრავლად არიან ამფიბიები: მცირეაზიური ტრიტონი (*Ommatotriton ophryticus*), აღმოსავლური სავარცხლიანი ტრიტონი (*Triturus karelinii*), ჩვეულებრივი ვასაკა (*Hyla arborea*), კავკასიური გომბემო (*Bufo verrucosissimus*), მწვანე გომბემო (*Bufo viridis*), ტბორის ბაყაყი (*Rana ridibunda*), სირიული მყვარი (*Pelobates syriacus*).

კლდოვან ადგილებში მრავლადაა კავკასიური ჯოჯო (*Laudakia caucasica*), ასევე გავრცელებულია გველხოკერა (*Ophysaurus apodus*).

კუმისის, ავჭალის, წყნეთის, კოჯრის ტერიტორიაზე გვხვდება ხმელთაშუაზღვის კუ (*Testudo graeca*), ჭაობის კუ (*Emys orbicularis*) გავრცელებულია წყალსატევებისა და ჭაობის ჰაბიტატებში. თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გვხვდება კასპიური კუ (*Mauremis caspica*).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკვლევი ტერიტორიისათვის დამახასიათებელია სახეცვლილი ლანდშაფტური გარემო და ჩამოყალიბებულია ტიპური ანთროპოგენური ლანდშაფტი. საკვლევ საკვლევი ტერიტორიაზე წითელ წიგნში შეტანილი მცენარეები არ აღინიშნება.

რაც შეეხება ფაუნას, იგივე მიზეზების გამო, ცხოველთა სახეობების მრავალფეროვნება აქ არ არის წარმოდგენილი. საკვლევ ტერიტორიაზე გავრცელებული ძუძუმწოვრების გამოვლენა ვერ მოხერხდა და ვერ იქნა აღმოჩენილი ვერც ცხოველის კვალი, ექსკრემენტები ან სხვა ნიშნები.

2.2. დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა

2.2.1. დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი დახასიათება

შ.პ.ს. „ლისი ლეიქ დეველოპმენტ“-ი პროექტ „მწვანე ქალაქი ლისზე“ ფარგლებში გეგმავს დამატებით ახალი საცხოვრებელი უბნის განვითარებას.

დღეის მდგომარეობით ტერიტორიაზე განვითარებულია სამი უბანი, რომელიც გამოირჩევა მწვანე კონცეფციით 80/20-ზე, რაც გულისხმობს შემდეგს - 20% ეთმობა განაშენიანებას, ხოლო 80%-გამწვანებას, გზებსა და დამხმარე ინფრასტრუქტურას. კომპანიის მიერ პროექტ „მწვანე ქალაქი ლისზე“ და ლისის ტბის მიმდებარედ 37,000-ზე მეტი ხე და სხვადასხვა ტიპის მცენარეები იქნა დარგული და გახარებული. მწვანე საფარზე ზრუნვა კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმოადგენს.

მწვანე კონცეფციის ფარგლებში „ლისი დეველოპმენტი“ პირველი კომპანია იყო, ვინც დაიწყო თავისი უბნის ფარგლებში ნარჩენების სეპარაცია/დახარისხება, ასევე ენერგო ეფექტური მასალების გამოყენება მშენებლობაში და წვიმის წყლის მოგროვება სპეციალურ ავზებში შემდგომში სარწყავად გამოსაყენებლად. ტერიტორიაზე ასევე დამონტაჟებულ იქნა ავტომობილის ელექტრო დამტენები, რათა მოხდეს მაცხოვრებლების მიერ ეკოსისტემაზე ზრუნვის წახალისება და სამომავლოდ ელექტრო ავტომობილების შექმნა.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ და მისი ჯამური ფართობი შეადგენს 274 666 (30000+43672+100912+100082) კვ.მ-ს. ნაკვეთს სამხრეთით ემიჯნება ახალი საცხოვრებელი უბანი "ლისი ვილას" პირველი უბანი, ხოლო დანარჩენი მხრიდან ცარიელი განსავითარებელი არეალია.

საპროექტო არეალი ლოგიკური გაგრძელებაა ახალი საცხოვრებელი კომპლექსის „ლისი ვილას“ პირველი უბნის, რომლის გრგ შეთანხმებულია AR1533308 №3820648 (13/02/2017) და მიზნად ისახავს დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი უბნის შექმნას.

ვილების ახალი უბანი, პირველის მსგავსად, გამოირჩევა შემდეგი მახასიათებლებით - ყველა ღობე მონყობილია მარადმწვანე მცენარისგან, ასევე სრულად მწვანდება სხვადასხვა ტიპის ხეებითა და ნარგავებით საერთო რეკრეაციული ზონები, გზები და საფეხმავლო ბილიკები. აღსანიშნავია, რომ სავალდებულოა ყოველი მყიდველისთვის რელიეფის შენარჩუნება, რაც უზრუნველყოფს მთის რელიეფისა და ნატურალური ვიზუალის შენარჩუნებას.

სივრცით-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტის მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სზ-3, ხოლო შესათანხმებელი პროექტი შემუშავებულია სზ1-ის კიდევ უფრო შეზღუდული ნორმებით, რაც გულისხმობს, რომ პროექტი ითვალისწინებს ბევრად ნაკლებ სამშენებლო ფართს, ვიდრე კანონით არის დაშვებული, კერძოდ: დაგეგმილი სამშენებლო ფართი პროექტის ფარგლებში იქნება 77,000 მ², როდესაც კანონით დაშვებული ოდენობა შეადგენს 295,000 მ²-ს.

საპროექტო ფუნქციური ზონებია:

- სატყეო ზონა;
- საცხოვრებელი ზონა 1 (სზ 1);
- სატრანსპორტო ზონა 1;
- სარეკრეაციო ზონა 2.

საპროექტო ფუნქციური ზონები წარმოდგენილია ნახაზზე 2.2.1.1, ხოლო სიტუაციური გეგმა ნახაზზე 2.2.1.2.

ნახაზი 2.2.1.1. საპროექტო ფუნქციური ზონები



„ლისი ვილას“ მეორე უბანი შედგება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისგან და საზოგადოებრივი სივრცეებისგან. ნაკვეთები არის დაყოფილი სამ ძირითად ჯგუფად:

I) 1200-2000 კვადრატულ მეტრამდე;

II) 2000-3000 კვადრატულ მეტრამდე;

III) 3000 მ² და ზევით;

28 ჰა ტერიტორიაზე გათვალისწინებულია 105 ნაკვეთი / ოჯახი, რაც ქალაქის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე დაბალი სიმჭიდროვეა.

მაქსიმალურად შეზღუდულია შენობა-ნაგებობების სიმაღლეები და კოეფიციენტები. სიმაღლე არ აღემატება 10-12 მეტრს (3 სართული), ხოლო კოეფიციენტები $k_1=0,3/0,4$ -მდე და $k_2=0,4/0,5$ -მდე. მაქსიმალურად გათვალისწინებულია მთის რელიეფი და ყველა ნაკვეთს ექნება უნიკალური ხედი.


საცხოვრებელი კომპლექსის ვიზუალიზაცია წარმოდგენილია სურათზე 2.2.1.1.

ახალ უბნის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია 17 000 ზე მეტი ხის დარგვა საერთაშორისო სტანდარტებით, მაღალი ხარისხის საფეხმავლო ბილიკების, ლობეების, სამანქანე გზებისა და ასევე, მაღალი ხარისხის საინჟინრო ქსელებით უზრუნველყოფა.

ასევე პროექტით ტერიტორიაზე განთავსებულია სკვერები, საფეხმავლო ზონები და პარკი.

გამწვანების დენდროლოგიური გეგმა წარმოდგენილია ნახაზზე 2.2.1.3. ხოლო გამწვანების დროს გამოყენებული მცენარეები სახეობები იხილეთ წინამდებარე ანგარიშის დანართში 5.4.

ნახაზი 2.2.1.3. გამწვანების დენდროლოგიური გეგმა



სურათი 2.2.1.1. საცხოვრებელი კომპლექსის ვიზუალიზაცია



ტერიტორია განთავსებულია ქალაქის პერიფერიულ ნაწილში და უზრუნველყოფილია სამანქანო გზებით, რომლიც ადის საცხოვრებელი კომპლექსი “მწვანე ქალაქი ლისი”-დან. კომუნიკაციები ახალი მონყობილია და ახალი ვილებს უბნის მიერთება მოხდება უშუალოდ საზღვართან მიყვანილ კომუნიკაციების ქსელებზე. ქ. თბილისში ლისის ტბის მიმდებარედ არსებული განაშენიანება "ლისი ვერანდა"-ს სიტუაციური გეგმა მისასვლელი გზებით წარმოდგენილია ნახაზზე 2.2.1.4.


საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა შიდა გზები, რომელთაგან მთავარი გზა იქნება ორმხრივი მოძრაობის. გზების ორივე მხარეს გათვალისწინებულია ტროტუარების მოწყობა. პროექტით გათვალისწინებულია გზის გარშემო ხეივნის მოწყობა და დიდი რაოდენობის ხეების დარგვა.

პროექტის მიხედვით საპროექტო ტერიტორიის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების ჩართვა მოხდება შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-ს არსებულ სისტემებში, შეთანხმებული ტექნიკური პირობის შესაბამისად (იხ. შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-ს წერილი №0G19-0248165 13/05/2019 წინამდებარე ანგარიშის დანართში 5.5)

პროექტის მიხედვით საპროექტო ტერიტორიის ბუნებრივი აირით მომარაგება მოხდება შპს "ყაზტრანსგაზ-თბილისი"-ს არსებული ბუნებრივი აირის ქსელიდან, შეთანხმებული ტექნიკური პირობის შესაბამისად (იხ. შპს "ყაზტრანსგაზ-თბილისი"-ს წერილი №04-04-04-01/1572 24/05/2019 წინამდებარე ანგარიშის დანართში 5.6)

პროექტის მიხედვით საპროექტო ტერიტორიის ელ.მომარაგება, მოთხოვნილი სიმძლავრით 1680 კვტ, მოხდება ს.ს. "თელასი"-ს არსებული ელექტრომომარაგების ქსელიდან, შეთანხმებული ტექნიკური პირობების შესაბამისად. ამასთან, აღნიშნული სიმძლავრის დასაკმაყოფილებლად საჭირო იქნება გამოყოფილი იქნეს მიწის ფართი სატრანსფორმატორო ქვესადგურის დასამონტაჟებლად (იხ. ს.ს. "თელასი"-ს წერილი №0530/148/19 30/05/2019 წინამდებარე ანგარიშის დანართში 5.7)

ნახაზი 2.2.1.4. ქ. თბილისში ლისის ტბის მიმდებარედ არსებული განაშენიანება "ლისი ვერანდა"-ს სიტუაციური გეგმა მისასვლელი გზებით



EDIFICE ART URBAN			ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ განაშენიანება „ლისი ვერანდა“	
დირექტორი		ი. შინიაშვილი	საინჟინრო ნაწილი	სტადია შ.პ.რ
პრ.პროექტი		ი. შინიაშვილი	მისახველელი გზები	ფურცელი
დავარქვება		თ. ბაჩუაური	სიტუაციური გეგმა	გვ-1
			შ. 1:3500	063. №
				A3

ავტოსადგომების რაოდენობა დაანგარიშებულია ერთ საცხოვრებელ ერთეულზე ხუთი ადგილის გათვალისწინებით. აღნიშნული რაოდენობა აღემატება „14-39 დადგენილებით“ განსაზღვრულ ნორმას პერიფერიულ ზონაში.

პროექტი მაქსიმალურად ითვალისწინებს არსებული რელიეფისა და ხე-ნარგავების შენარჩუნებას. „მწვანე ქალაქი ლისზე“ უკვე განხორციელებულ უბნების ნაწილში მწვანე საფარის განვითარებისა და მოვლა-პატრონობის დამატებით შექმნილია პარკი და მაქსიმალურად არის დაცული გარემოს გაუმჯობესების პრინციპი.

საპროექტო მონაცემები მშენებლობის ნებართვის აღებისას შესაძლებელია შეიცვალოს, თუმცა მოქცეული უნდა იყოს „4-13 დადგენილების“ რეგლამენტში. პროექტის მთავარი ამოცანაა ახალი, კომფორტული, მაღალი ხარისხის მწვანე ეკოლოგიურად სუფთა საცხოვრებელი კომპლექსის შექმნა, რაც ახალი სტანდარტი იქნება საქართველოს უძრავი ქონების ბაზრისთვის.

პროექტზე მუშაობისას გათვალისწინებულ იქნა მზარდი ეკონომიკური მოთხოვნა უსაფრთხო საცხოვრებელ კომპლექსში განლაგებულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებზე და ასევე, მეორეს მხრივ, აუთვისებელი და ხრიოკი ტერიტორია ინტეგრირებულ იქნება თბილისის ურბანულ განვითარებაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო საცხოვრებელი კომპლექსის შექმნის მიზნით პროექტით გათვალისწინებულია საპროექტო ტერიტორიაზე გამავალი სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ორჯაჭვიანი 220 კვ. ეგხ „დიდუბე-3,4-ის“ უბნების (№17-21) რეკონსტრუქცია. ორჯაჭვიანი 220 კვ. საჰაერო ელექტროგადაცემის ხაზის „დიდუბე-3,4-ის“ რეკონსტრუქცია განხორციელდება მინისქვეშა საკაბელო ხაზის მშენებლობის გზით, მფლობელთან (სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“) შეთანხმებული შემდეგი ტექნიკური პირობების დაცვით:

1. ორჯაჭვიანი 220 კვ. ეგხ „დიდუბე-3,4-ის“ სარეკონსტრუქციო უბნებისათვის შეირჩეს ორი პარალელური მინისქვეშა საკაბელო ხაზის (220 კვ. სეგხ „დიდუბე-3,4-ის“ სეგხ „დიდუბე-4-სათვის“ და ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის ახალი მარშრუტი. საკაბელო ტრასების დაგეგმარება/დაპროექტება უნდა მოხდეს ორ დამოუკიდებელ სივრცეში, რათა ერთის დაზიანებამ ან/და მასზე საექსპლოატაციო/სარემონტო სამუშაოების წარმოებამ არ გამოიწვიოს მეორე საკაბელო ხაზის დაზიანება, ან/და მისი შეკეთებაში ჩაყენების აუცილებლობა.
2. 220 კვ. საკაბელო ხაზი „დიდუბე-3 და 220 კვ. საკაბელო ხაზი „დიდუბე-4-ის“ სარეკონსტრუქციო უბნების ტრასა უნდა შეირჩეს 220 კვ-ის (და მეტი) ძაბვის მშრალი კაბელების სამონტაჟო სპეციფიკაციების გათვალისწინებით (საკაბელო ტრასაზე მოხრის ადგილების მინიმალური რაოდენობა, მოხრის დასაშვები კუთხეების, დახრილობის და ა.შ) სს „სსე-სთან“ და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან.
3. დიდუბე 3,4-ის საჰაერო და საკაბელო გადამცემი ხაზების გადაბმის ადგილას დაყენდეს მონწყობილობა, რომელიც განსაზღვრავს საკაბელო ხაზზე დაზიანების ადგილს. (მაგალითად როგოვსკის კოჭა (Rogowski coil) ან სხვა მსგავსი). მონწყობილობას უნდა გააჩნდეს ავტონომიურ რეჟიმში მუშაობის შესაძლებლობა და დაკავშირებული იყოს ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელით სსე-ს ქსელთან.
4. დიდუბე 3,4-ის საკაბელო ხაზები და ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელები განთავსდეს ისე რომ ერთ-ერთ მათგანზე ჩასატარებელი სამუშაოები არ იწვევდეს დანარჩენის გამოერთვას.
5. კაბელის შერჩევას გათვალისწინებული იქნას მოკლე შერთვის დენის და დროის პარამეტრები.
6. ორჯაჭვიანი 220 კვ. ეგხ „დიდუბე-3,4-ის“ უბნების რეკონსტრუქციის პროექტი (დიზაინი) უნდა ითვალისწინებდეს, საანკერო მალში ან/და შესაძლებელია შუალედური საყრდენების შეცვლას კუთხურ-ანკერული საყრდენებით და ამ უბნებში) საკაბელო ხაზის


მონტაჟს ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელთან ერთად. სასურველია არსებული საჰაერო ეგზ-ს საკაბელო ეგზ-ზე გადაყვანის დროის მაქსიმალურად შემცირების მიზნით, კაბელის დამაბოლოებლები (შემყვანები) მოენწყოს არსებული ანკერული ანძებისაგან დამოუკიდებელ კონსტრუქციაზე.


7. 220 კვ. საკაბელო ხაზის პროექტირებისას აუცილებლობას წარმოადგენს:
 - ტევადური დენების მნიშვნელობების ანგარიში ნორმალურ რეჟიმში, ასევე ერთფრაზა და სამფაზა განმეორებითი ჩართვის ციკლებში.
 - მოკლე შერთვის დენების მნიშვნელობების ანგარიში ერთფაზა/სამფაზა მოკლე შერთვის რეჟიმში სისტემის მუშაობის მინიმალურ და მაქსიმალურ რეჟიმებში, მიმდებარე ქსელის გადასინჯვის გათვალისწინებით.
 - გადაანგარიშდეს სარელეო დაცვის დანაყები და განისაზღვროს პრინციპები.
 - 220 კვ. ეგზ „დიდუბე-3,4-ის“ ორივე ბოლოში-220 კვ. ქვ. „ლისსა“ და 220 კვ. ქვ. „დიდუბეში“ ანგარიშით შემონმდეს ამ მინაერთებში არსებული მონყობილობების მახასიათებლები და აუცილებლობის შემთხვევაში მოხდეს მათი შეცვლა (ინფორმაციას არსებული მონყობილობების შესახებ მიაწვდის სს „სსე“).
8. 220 კვ. საკაბელო ხაზის ტრასის შერჩევასა და დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმების შემდგომ, უნდა განხორციელდეს ტრასის საინჟინრო-გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, ტოპოგრაფიული, გზმ-ის შეფასების და სხვა შესაბამისი კვლევები, აგრეთვე უნდა მომზადდეს დოკუმენტაცია, რომელიც დადგენილია კანონმდებლობით მშენებლობის ნებართვის მოპოვების მიზნით.
9. საკაბელო ხაზის ტრასაზე საკაბელო ხაზის მშენებლობისათვის არასათანადო პირობების გამოვლენის შემთხვევაში უნდა შეიცვალოს ტრასა ან/და უნდა დაიგეგმოს სტაბილიზაციის სპეციალური ღონისძიებები, რაც დიზაინში აისახება უპირობოდ.
10. 220 კვ. საკაბელო ხაზების მშენებლობისათვის შეირჩეს მშრალი სპილენძის ან/და ალუმინის კაბელი, შესაბამისი ქურობით.
11. 220 კვ. შერჩეული მშრალი კაბელის და გამოყენებული ქურობის ხანგრძლივად დასაშვები დენის სიდიდე უნდა იყოს არანაკლებ 690ა (30%-ით 2 საათით გადათვითვის რეჟიმში მუშაობის შესაძლებლობით) (საჰაერო ხაზზე გამოყენებული ფოლად-ალუმინის სადენის AC 300/48 ექვივალენტური ან/და მეტი), ხოლო ოპტიკურ-ბოჭკოვანი მიწისქვეშა კაბელი უნდა იყოს ამჟამად გამოყენებული ოპტიკური კაბელის შესატყვისი (ITU-TG. 652. D-ტიპის).
12. მშრალი კაბელის გარსი, გამოყენებული ქურობები და ოპტიკურ-ბოჭკოვანი მიწისქვეშა კაბელი შედეგი უნდა იყოს მღრნელების ზემოქმედებისაგან, შესაძლებლობის ფარგლებში მექანიკური დაზიანებისაგან და უნდა გააჩნდეს წყალშეუღწევადი დამცავი ფენა.
13. 220 კვ. მშრალ მიწისქვეშა კაბელს უნდა გააჩნდეს ტემპერატურული კონტროლის გაზომვის და მონაცემების ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის გამოყენებით სსე-თან კავშირის შესაძლებლობა.
14. გრუნტის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელები უნდა იყოს ორმაგი დამცავი შრით და აუცილებლად დიელექტრიკული.
15. პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს რაიონის კლიმატური პირობები და გრუნტის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები.
16. მშრალი კაბელის ხანგრძლივი დასაშვები ტემპერატურა ექსპლუატაციის პირობებში +90°C
17. 220 კვ. მშრალი კაბელის, ქურობის და ოპტიკურ-ბოჭკოვანი მიწისქვეშა კაბელის პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ქარხანა დამამზადებლის მოთხოვნები და რეკომენდაციები.

18. საპროექტო ორგანიზაციას, რომელიც შეასრულებს 220 კვ. საკაბელო ხაზის საპროექტო სამუშაოებს, უნდა გააჩნდეს 220 კვ-ის და მეტი ძაბვის საფეხურზე ანალოგიური საკაბელო ხაზების პროექტირების მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება. პროექტ(ებ)ი უნდა იყოს განხორციელებული (დასრულებული) და საპროექტო ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი და შემკვეთების სარეკომენდაციო წერილები.
19. მშრალი კაბელის შერჩევა განხორციელდეს
- IEG 60228 იზოლირებული კაბელის გამტარი.
 - IEC 60287 ელექტრო კაბელი - ნომინალური დენის გაანგარიშება
 - IEC 60332 ცეცხლის პირობებში ელექტრო კაბელის შემოწმება
 - IEC 60853 კაბელის მაქსიმალური დატვირთვის დენის ანგარიში
 - IEC 62067 შემოწმების მეთოდები და მოთხოვნები ძალოვანი კაბელის, ჯავშნიანი იზოლაციით და მათი აქსესუარებით 150 კვ-იდან ზემოთ 500 კვ-მდე.
 - S-108-720 სტანდარტი ჯავშნიანი იზოლირებული ძალოვანი კაბელის 46 კვ-იდან 345 კვ-მდე.
- ან/და სხვა ანალოგიური სტანდარტების შესაბამისად
20. დიზაინში დეტალურად უნდა იქნას განვრილი: ტექნიკური, უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნები, ლოჯისტიკის და შრომითი ორგანიზაციის საკითხები.
21. დამონტაჟებული ძალოვანი კაბელების და ოპტიკურ-ბოჭკოვანი მიწისქვეშა კაბელის მთელ მარშრუტზე შესაძლებელი უნდა იყოს დაუბრკოლებელი მისვლა ტექნიკით და შესაბამისი აღჭურვილობით, მიმდინარე გეგმიური და ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების ჩასატარებლად. ამავე დროს, საკაბელო უბნების გადაბმის ადგილებში გათვალისწინებული უნდა იყოს (თითოეულ მათგანთან), კაბელის ქურობებთან მისასვლელი (ჩასასვლელი) დამოუკიდებელი მიწისქვეშა ნორმების დაცვით საკაბელო მონაკვეთების შეცვლისათვის და ქურობის აღდგენა/მონტაჟისათვის აუცილებელ და საკმარის პირობებს.

ქვემოთ წარმოდგენილია სარეკონსტრუქციო ეგზ-ის ტრასის ტოპოგრაფიული გეგმა ნახაზზე 2.2.1.5, ეგზ-ის ტრასის სიტუაციური გეგმა ნახაზზე 2.2.1.6, №17 საყრდენის გენგეგმა ნახაზზე 2.2.1.7. და №21 საყრდენის გენგეგმა ნახაზზე 2.2.1.8.

ნახაზი 2.2.1.5. ეგხ -ს ტრასის ტოპოგრაფიული გეგმა








	Dirt road		Water pipe
	Asphalted road		220 kV power cable (Didube 3-4)
	road side		Existing high voltage tower
	Fence line		SUBSTATION GROUPS (BYPASSING AND TRANSFORMERS)
	Water channel		Scale marker


220 kV underground cable "Didube 3" "Didube 4"		
Date	11.01.2018	Topographical map
Checked		
Approved		
Scale 1:1000		Sheet 1 of 2
Format A-2		


ნახაზი 2.2.1.6. ეგზ-ს ტრასის სიტუაციური გეგმა













ნახაზი 2.2.1.7. №17 საყრდენის გენგეგმა



ნახაზი 2.2.1.8. №21 საყრდენის გენგეგმა



220 kV under ground cable "Didube 3" "Didube 4"		PLAN OF CONCRETE WALL NEAR TOWER #21
Date	04.01.2019	
Drawn		
Checked		
Approved	IC Consulting Group	

2.2.2. სამშენებლო სამუშაოების ორგანიზაცია

პროექტის განხორციელება იგეგმება რამოდენიმე ეტაპად და გაგრძელდება 2 წელი.

I ეტაპი - გზისა და კომუნიკაციების მონყობა;

II ეტაპი - ტერიტორიაზე გამწვანებული ღობეების, პარკებისა და სკვერების მონყობა;

III ეტაპი - ვინაიდან ნაკვეთები მომავალში იქნება კერძო საკუთრება კომპანია ვერ შეძლებს ზუსტი მშენებლობის რიგითობის დადგენას (იხილეთ ესკიზის ფაილში). ყველა ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის შეთანხმება და მისი განხორციელება ერთ ბოლო ეტაპად არის განსაზღვრული.

სამშენებლო საქმიანობა გულისხმობს პირველ რიგში ტერიტორიის დაგეგმარებას, კერძოდ: ინდივიდუალური ნაკვეთების გამიჯვნას, მისასვლელი და შიდა გზების მონყობას, ასევე საზოგადოებრივი, სავაჭრო და მომსახურების ზონებისათვის ტერიტორიების გამოყოფას. შემდგომ მინის სამუშაოებს და ბოლოს სარეკულტივაციო/გამწვანებით ღონისძიებებს.

დაგეგმილი საქმიანობა მნიშვნელოვანი მოცულობის სამშენებლო სამუშაოების წარმოებას არ ითვალისწინებს, როგორც ზემოთ აღინიშნა დაგეგმილია ინდივიდუალური განაშენიანებისათვის ტერიტორიის მომზადება, ვინაიდან ნაკვეთები მომავალში იქნება კერძო საკუთრება კომპანია ვერ შეძლებს ზუსტი მშენებლობის რიგითობის დადგენას. ყველა ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის შეთანხმება და მისი განხორციელება ერთ ბოლო ეტაპად არის განსაზღვრული.

გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისათვის სამშენებლო ბანაკის მონყობა დაგეგმილი არ არის, მონყობილი იქნება მხოლოდ ტექნიკის სადგომი, სადაც განთავსდება მინის სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო ტექნიკა (ბულდოზერი, ექსკავატორი, თვითმცლელი ავტომანქანები და ამწე მექანიზმი). ტექნიკის სადგომის მონყობა დაგეგმილია ლისის საავტომობილო გზის მიმდებარედ.

საპროექტო ტერიტორიის დაგეგმარება და წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები (დაგეგმარება, შიდა გზების მონყობა, ელექტრო და გაზომომარაგების ქსელების, ასევე წყალმომარაგების და კანალიზაციის ქსელების მონყობა) შესრულდება 6-8 თვის ვადაში. რაც შეეხება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, ეს პროცესი დროში გახანგრძლივდება, რადგან დამოკიდებული იქნება კერძო პირების მიერ საცხოვრებელი ფართების ან მინის ნაკვეთების შესყიდვებზე.

მშენებლობის ეტაპი გაგრძელდება მაქსიმუმ 2 წლის განმავლობაში და სამშენებლო სამუშაოების დროს დასაქმებული იქნება დაახლოებით 300 ადამიანი, მშენებლობაზე ძირითადად დასაქმებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა, რომელთაც საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა არ დასჭირდებათ. საპროექტო ტერიტორიაზე მუშათა საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის მონყობა დაგეგმილი არ არის.

სამშენებლო მასალების შემოტანა და მათი უსაფრთხო დასაწყობება მოხდება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

სხვა ინფრასტრუქტურის განთავსება ტერიტორიაზე არ იგეგმება. სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო ბეტონის ნარევი ბეტონ-მზიდი ავტომანქანებით შემოტანილი იქნება სხვა იურიდიული პირების ბეტონის ქარხნებიდან. ელექტრომომარაგება და წყალმომარაგება მოხდება ტერიტორიაზე არსებული ქსელიდან.

საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, შესაბამისად არ იქნება საჭირო ახალი გზების სამშენებლო ან არსებულის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია იქ სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენის განადგურების საფრთხე იქნება მოიხსნას ის და დასაწყობდეს მიმდებარე ტერიტორიაზე, რათა შემდეგ გამოყენებული იქნეს სარეკულტივაციო სამუშაოებისათვის. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის სამუშაოები განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების რაოდენობა არ იქნება მნიშვნელოვანი და მათი მართვა (შეგროვება, შენახვა და განთავსების ან/და აღდგენის მიზნით შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციაზე გადაცემა) განხორციელდება კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით.

2.2.3. დაგეგმილი საქმიანობისათვის საჭირო ბუნებრივი რესურსები

დაგეგმილი საქმიანობისათვის აუცილებელ ბუნებრივ რესურსს წარმოადგენს:

1. წყალი, რისთვისაც საპროექტო ტერიტორიის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების ჩართვა მოხდება შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-ს არსებულ სისტემებში, შეთანხმებული ტექნიკური პირობის შესაბამისად;
2. ბუნებრივი აირი, რომელსაც მიიღებს შპს "ყაზტრანსგაზ-თბილისი"-ს არსებული ბუნებრივი აირის ქსელიდან, შეთანხმებული ტექნიკური პირობის შესაბამისად
3. შ.პ.ს. „ლისი ლეიქ დეველოპმენტ“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთები (მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები: №01.10.18.005.038; №01.10.18.005.050; №01.10.18.006.228), საერთო ფართობით 17,4584 ჰა და შ.პ.ს. „ფროფერტი დეველოპმენტ ჰოლდინგი“-ს (ს/კ 205244190) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთი (მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდი: №01.10.18.007.006), ფართობით 10,0082 ჰა. საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობი შეადგენს 274 666 (30000+43672+100912+100082) კვ.მ-ს.

დაგეგმილი საქმიანობისათვის სხვა ბუნებრივ რესურსის გამოყენება არ ხდება.

3. დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე შესაძლო ზემოქმედებების დახასიათება

დაგეგმილი საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშში განხილულია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შემდეგი სახეები:

- ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე;
- ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული ზემოქმედება;
- ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე - გეოლოგიური გარემოს სტაბილურობის დარღვევა, ზემოქმედება ნიადაგებზე, საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების რისკები;
- ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე;
- ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე;
- ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება;
- ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე (ფლორა, ფაუნა, დაცული ტერიტორიები);
- ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება;
- ზემოქმედება კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე;
- ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე:
 - შესაძლო დემოგრაფიული ცვლილებები;

- ზემოქმედება მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე;
- დასაქმება და მასთან დაკავშირებული ზემოქმედებები;
- ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე.
- ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები;
- კუმულაციური ზემოქმედება.

3.1. ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელება

საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ქ. თბილისის შემადგენელ ადგილს, სადაც აქ გაბატონებულ ქარები ხელსაყრელ პირობებს ქმნის ატმოსფერული ჰაერის განიავებადობისთვის. ეკოლოგიური აუდიტის დროს საპროექტო ტერიტორიაზე და მის შემოგარენში არ ფუნქციონირებს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და ხმაურის გავრცელების სტაციონალური წყაროები. ერთადერთი წყარო რაც ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ, საავტომობილო გზაზე მოძრავი ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი აირები.

შ.პ.ს. „ლისი ლეიქ დეველოპმენტ“-ის პროექტის განხორციელება, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ნეგატიური ზემოქმედების მნიშვნელოვანი რისკების შემცველი არ იქნება, რადგან საპროექტო ტერიტორიაზე თავდაპირველად დაგეგმილია მხოლოდ დაგეგმარების და შიდა გზების მოწყობის სამუშაოების შესრულება. რაც შეეხება ინდივიდუალური განაშენიანების პროექტების განხორციელებას, ეს იქნება გარკვეულ დროში განაწილებული და შესაბამისად არა ინტენსიური.

პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებულ ზემოქმედებას შესაძლებელია ადგილი ექნეს მშენებლობის ფაზაზე, კერძოდ: ტერიტორიის დაგეგმარების და შიდა გზების გაყვანის პროცესში, თუმცა ამ შემთხვევაში ზემოქმედება იქნება მოკლევადიანი და არ იქნება ინტენსიური. რაც შეეხება ექსპლუატაციის ფაზას, ხმაურის გავრცელების რისკები მინიმალურია.

3.2. ზემოქმედება ზედაპირული წყლების ხარისხზე

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას ზედაპირულ წყლებზე ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს ორი მიმართულებით:

- ზედაპირული წყლის ობიექტის ხარჯის ცვლილება;
- ზედაპირული წყლების ხარისხის გაუარესების რისკები.

დაგეგმილი საქმიანობის მიხედვით წყლის გარემოზე ზემოქმედება ძალიან დაბალია, რადგან ზედაპირული წყლის ობიექტები საკმაოდ დაშორებულია საპროექტო ტერიტორიიდან. სამშენებლო სამუშაოების შესრულების პერიოდში წყლის ობიექტის ხარჯის ცვლილება ფაქტიურად არ ხდება, შესაბამისად წყალსარგებლობა არ იცვლება, გავლენას არ ახდენს წყლის ჰაბიტატებზე /იქთიოფაუნაზე.

სამშენებლო სამუშაოების შესრულების პერიოდში ზედაპირული წყლების დაბინძურება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

- ნავთობპროდუქტების დაღვრა, მათი შენახვისა და სამშენებლო ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გამართვის წესების დარღვევის შემთხვევაში;
- მიწის სამუშაოების შესრულებისას დაბინძურებული წყლების ჩაშვებისას;
- მანქანების ან აღჭურვილობის ნარეცხი წყლების ჩაშვებისას;
- სამშენებლო ნარჩენების არასწორი მართვის შემთხვევაში.

- სამშენებლო ტერიტორიაზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების არასწორი მართვის შემთხვევაში და სხვა.

სამშენებლო სამუშაოების პროცესში ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მშენებელი კონტრაქტორის მიერ გარემოსდაცვითი მენეჯმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებაზე, ასევე ნარჩენების მართვასა და ტექნიკის გამართულობაზე დაწესებული მონიტორინგის ხარისხზე. აღნიშნული კუთხით ასევე მნიშვნელოვანია ნიადაგის დაცვა დაბინძურებისაგან.

სამშენებლო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების შეგროვება მოხდება ბიოტულეტების ან საასენიზაციო ორმოს საშუალებით, საიდანაც გატანილი იქნება ადგილობრივი წყალსადენ-კანალიზაციის სამსახურის მიერ.

მშენებლობის ეტაპზე, ზედაპირული წყლების დაბინძურების პრევენციული ღონისძიებებია:

- მანქანა/დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა;
- მანქანა/დანადგარების და პოტენციურად დამაბინძურებელი მასალების განთავსება ზედაპირული წყლის ობიექტიდან არანაკლებ 50 მ დაშორებით. მუდმივი კონტროლის და უსაფრთხოების ზომების გატარება წყლის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად;
- მდინარეთა კალაპოტების სიახლოვეს მანქანების რეცხვის აკრძალვა;
- სამშენებლო ტერიტორიაზე წარმოქმნილი, დაბინძურებული ჩამდინარე წყლების მართვა პროექტით გათვალისწინებული პირობების მიხედვით;
- სანიაღვრე წყლების პოტენციურად დამაბინძურებელი უბნების პერიმეტრზე სადრენაჟო/წყალამრიდი არხების მოწყობა;
- სანიაღვრე წყლების პოტენციურად დამაბინძურებელი უბნების შეძლებისდაგვარად გადახურვა(ფარდულის ტიპის ნაგებობების მოწყობა);
- მასალების და ნარჩენების სწორი მენეჯმენტი;
- სამუშაოს დასრულების შემდეგ ყველა პოტენციური დამაბინძურებელი მასალის გატანა;
- სანვავის/საპოხი მასალის დაღვრის შემთხვევაში დაღვრილი პროდუქტის ლოკალიზაცია/განმედი;
- ნიადაგის ხარისხის დაცვასთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებების გატარება;
- პერსონალის ინსტრუქტაჟი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მშენებლობის ფაზაზე წყლის გარემოზე ზემოქმედების რისკი არ იქნება მნიშვნელოვანი.

3.3. ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს ორი მიმართულებით:

- მიწისქვეშა/გრუნტის წყლის ობიექტის ხარჯის ცვლილება;
- მიწისქვეშა/გრუნტის წყლების ხარისხის გაუარესების რისკები.

გრუნტის წყლების დებიტზე შესაძლოა მცირე გავლენა იქონიოს შემცირებულმა ინფილტრაციამ, რასაც გამოიწვევს შენობა-ნაგებობების და სხვა წყალგაუმტარი ზედაპირის მქონე კონსტრუქციების არსებობა. ასევე გამოკვლეულ უბანზე გრუნტის წყლები არ გამოვლენილა არცერთ გაყვანილ ცხრამეტივე გამონამუშევარში 5 მეტრ სიღრმემდეც. საერთო ჯამში მიწისქვეშა/გრუნტის წყლების დებიტზე ზემოქმედების მასშტაბი იქნება ძალიან დაბალი.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში გრუნტის წყლების დაბინძურების პირდაპირი ზემოქმედების რისკები გამოიხატება სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების

დაღვრაში და ნარჩენების არასწორი მართვის შემთხვევაში. გრუნტის წყლების დაბინძურება შესაძლოა გამოიწვიოს სხვადასხვა დამაბინძურებლების (ორგანული და არაორგანული ქიმიური ნივთიერებები, ნავთობის ნახშირწყალბადები და სხვა) ღრმა ფენებში გადაადგილებამ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანმიმართული გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების პირობებში, მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელობა შეიძლება შეფასდეს როგორც დაბალი.

3.4. ზემოქმედება ნიადაგზე და გეოლოგიურ პირობებზე

ზემოქმედების შეფასება განხორციელდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ეროზია და გეოსაფრთხეები;
- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის განადგურება;
- ნიადაგის/ გრუნტის დაბინძურება.

დაგეგმილი საქმიანობა პრაქტიკულად არ უკავშირდება გეოსაფრთხეების გამომწვევ რისკებს და ნორმალური ოპერირების პირობებში ნაკლებად მოსალოდნელია როგორც ადგილობრივი გეოლოგიური გარემოს დესტაბილიზაცია, ისე გაუთვალისწინებელი შემთხვევების შედეგად ინფრასტრუქტურის დაზიანება.

საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში, მათი შესწავლის საფუძველზე თანამედროვე საშიში გეოდინამიკური პროცესების გამოვლენა, მათ მიერ დატოვებული ან საგრძნობლად შეცვლილი რელიეფის ფორმები არ დაფიქსირდა და არც მომავალშია მათი ჩასახვა- განვითარების წინაპირობა. ტერიტორია დღეისათვის გამოირჩევა მდგრადობის საკმაოდ მაღალი ხარისხით, განპირობებული როგორც რელიეფური ასევე მისი შემადგენელი გრუნტების ფიზიკური თვისებებით, რომელიც უდავოდ სოლიდური პოზიტივია სამშენებლო თვალსაზრისით.

საპროექტო ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია ტიპური ტექნოგენური ლანდშაფტი. ამასთან, სამშენებლო სამუშაოების პროცესში ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის სამუშაოები განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. გამომდინარე აღნიშნულიდან სამშენებლო სამუშაოების პროცესში, ასევე ოპერირების ეტაპზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის განადგურება-დაბინძურების რისკები ძალზედ დაბალია.

ნიადაგის ხარისხზე ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს ნარჩენების არასწორმა მართვამ (როგორც მყარი, ისე თხევადი), მასალების და ნედლეულის შენახვის წესების დარღვევამ, ასევე სატრანსპორტო საშუალებებიდან საწვავის/საპოხი მასალების შემთხვევითმა დაღვრამ.

არ დაიშვება (სასტიკად აკრძალულია):

- ტერიტორიის ჩახერგვა ლითონის ჯართით, სამშენებლო ნაგვითა და სხვა ნარჩენებით;
- სამონტაჟო-სარემონტო სამუშაოების და საწარმოო ოპერაციების განხორციელების ტერიტორიებზე ნებისმიერი სახის ნარჩენების დაღვრა, გადაყრა, ან დანვა.

მიზანმიმართული გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების პირობებში ნიადაგზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

3.5. ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება

ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებები მოსალოდნელია, მაგრამ საქმიანობის განმახორციელებლის მიერ, მოხდება ლანდშაფტური დიზაინის და ნაგებობების ფერის გონივრული შერჩევა და ასევე დროებითი კონსტრუქციების, მასალების და ნარჩენების შექმნის დაგვარად შეუმჩნეველ ადგილებში განთავსება. ამდენად, ნეგატიური ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

3.6. ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე

მშენებლობა იგეგმება უკვე ანთროპოგენური ლანდშაფტის მქონე ტერიტორიებზე, სადაც წითელ წიგნისა და წითელი ნუსხის სახეობები, ან კონსერვაციული ღირებულების ეგზემპლარები ვერ იქნა გამოვლენილი. აქედან გამომდინარე მათზე რაიმე სახის ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. სამშენებლო ტერიტორიის ფარგლებში მოხინაღრე ცხოველთა სახეობებზე ზემოქმედების რისკი მინიმალურია.

დაშორების დიდი მანძილიდან გამომდინარე დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც ძალიან დაბალი.

3.7. ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში მოსალოდნელია როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებლად სამშენებლო მოედნების ტერიტორიებზე განთავსებული უნდა იქნას სპეციალური კონტეინერები, ხოლო ტერიტორიიდან გატანის და საბოლოო განთავსებისათვის ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს შპს „თბილსერვის ჯგუფთან“.

საპროექტო ტერიტორიის გეგმარების და შიდა გზების მოწყობის სამუშაოების პროცესში, ასევე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დროს, რაოდენობრივი თვალსაზრისით აღსანიშნავია ექსკავირებული ფუჭი ქანები, რომლის გატანა დაგეგმილია ქ. თბილისის სამშენებლო ნარჩენების პოლიგონებზე.

სამშენებლო სამუშაოების პროცესში მოსალოდნელი სახიფათო ნარჩენებიდან მნიშვნელოვანია ინდუსტრიული და სატრანსპორტო ზეთები, განავთობიანებული მყარი ნარჩენები, საღებავების ნარჩენები და მათი შესაფუთი მასალა და სხვა.

სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსებისათვის ტერიტორიაზე საჭიროა მოენყოს სპეციალური სათავსები (სასურველია კონტეინერული ტიპის სათავსი), რომელიც დაცული იქნება ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისა და უცხო პირების ხელყოფისაგან. ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა და გაუვნებლობა უნდა მოხდეს ამ საქმიანობაზე სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორის საშუალებით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საპროექტო ტერიტორიის დაგეგმარების სამუშაოები, ხოლო შემდგომ ინდივიდუალური ბინათმშენებლობა განხორციელდება კონტრაქტორი კომპანიების მიერ და შესაბამისად მათი საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა მოხდება ამ კომპანიების მიერ შ.პ.ს. „ლისი ლეიქ დეველოპმენტი“ ვალდებული იქნება ზედამხედველობა და კონტროლი განახორციელოს, რომ ნარჩენების მართვა მოხდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად.

საცხოვრებელი კომპლექსის ექსპლუატაციის პროცესში მნიშვნელოვანი რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. ამ ფაზაში ძირითადად ადგილი ექნება საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაგროვებას. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა მოხდება შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს მიერ.

3.8. ზემოქმედება კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე

საპროექტო ტერიტორიების მიმდებარედ ხილული ისტორიულ-კულტურული ძეგლების არსებობა არ ფიქსირდება. ტერიტორიის მრავალწლიანი ანთროპოგენური დატვირთვიდან გამომდინარე, არქეოლოგიური ძეგლების გვიანი გამოვლენის შესაძლებლობაც მინიმალურია. აქედან გამომდინარე მათზე რაიმე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

3.9. ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე

3.9.1. შესაძლო დემოგრაფიული ცვლილებები

სამშენებლო სამუშაოების შესრულებისათვის ძირითადად დასაქმებული იქნება ქ. თბილისში მცხოვრები ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და შესაბამისი კვალიფიკაციის მუშა რესურსი. დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების მოცულობების გათვალისწინებით პროექტის განხორციელების პერიოდში დემოგრაფიული ცვლილებები არ არის მოსალოდნელი.

3.9.2. ზემოქმედება მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე

მშენებლობა იგეგმება შ.პ.ს. „ლისი ლეიქ დეველოპმენტ“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე და შ.პ.ს. „ფროფერტი დეველოპმენტ ჰოლდინგი“-ს (ს/კ 205244190) საკუთრებაში იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთებზე. შესაბამისად თემის ან მოსახლეობის კერძო საკუთრების მიწებზე ან ქონებაზე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ასევე არ არსებობს ეკონომიკური განსახლების საჭიროება.

3.9.3. დასაქმება და მასთან დაკავშირებული ზემოქმედებები

პირველ რიგში აღსანიშნავია დაგეგმილი საქმიანობის პროცესში მოსახლეობის დასაქმებით გამოწვეული დადებითი ზემოქმედება. დაგეგმილი საქმიანობის ბიზნეს-გეგმით შესაბამისად მშენებლობაზე დასაქმდება 300 ადამიანი. ამასთან, დასაქმებულთა შორის აბსოლუტური უმრავლესობა იქნება ადგილობრივი. აღნიშნული საკმაოდ მნიშვნელოვანი დადებითი ზეგავლენა იქნება მიმდებარე დასახლების მოსახლეობის დასაქმების და მათი სოციალურის მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

3.9.4. ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე

მშენებლობის პერიოდში სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელია დროებითი ნეგატიური ზემოქმედება. ძირითადი სამშენებლო მასალები და აღჭურვილობა შემოტანილი იქნება საავტომობილო ტრანსპორტით.

ექსპლუატაციის პირობებში ასევე მოსალოდნელია სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება, თუმცა საავტომობილო გზების მნიშვნელოვანი გადატვირთვა არ მოხდება, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ საავტომობილო გზებზე სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების ფონური მდგომარეობა არ არის მაღალი.

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით ტრანსპორტის მოძრაობით გამოწვეული მოსახლეობის შეწუხების და სატრანსპორტო ნაკადების გადატვირთვის რისკი მინიმალურია.

3.10. კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციურ ზემოქმედებაში იგულისხმება განსახილველი პროექტის და საკვლევე რეგიონის თარგლებში სხვა პროექტების (არსებული თუ პერსპექტიული ობიექტების) კომპლექსური ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, რაც ქმნის კუმულაციურ ეფექტს.

განსახილველი პროექტით დაგეგმილი საქმიანობის შინაარსისა და მასშტაბიდან გამომდინარე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დაგეგმილი საქმიანობას არ უკავშირდება რაიმე სახის მასშტაბური ავარიის ან კატასტროფის რისკი, საპროექტო ტერიტორია არ ესაზღვრება ჭარბტენიან ტერიტორიებს, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ არის ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორია, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო კონვენციებით დაცული ტერიტორიები განლაგებული არ არის, ტრანსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

4. დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება

შ.პ.ს. „ლისი ლეიქ დეველოპმენტ“-ის ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის ქალაქი „LISI VILAS“-ს მშენებლობისა და ექსპლუატაციას პროექტის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება შესრულებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის, მე-6 პუნქტში მოცემული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, რაც მოცემულია ქვემოთ:

	საქმიანობის მახასიათებლები	გარემოზე ზემოქმედების რისკის არსებობა		მოკლე რეზიუმე
		დიახ	არა	
1.0. საქმიანობის მასშტაბი				
1.1.	არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება		+	კუმულაციურ ზემოქმედებაში იგულისხმება განსახილველი პროექტის და საკვლევ რეგიონის ფარგლებში სხვა პროექტების (არსებული თუ პერსპექტიული ობიექტების) კომპლექსური ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, რაც ქმნის კუმულაციურ ეფექტს. განსახილველი პროექტით დაგეგმილი საქმიანობის შინაარსისა და მასშტაბიდან გამომდინარე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
1.2	ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით - წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება	+		პროექტის განხორციელების შედეგად გამოყენებული იქნება შ.პ.ს. „ლისი ლეიქ დეველოპმენტ“-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები (მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები: №01.10.18.005.038; №01.10.18.005.050; №01.10.18.006.228), საერთო ფართობით 17,4584 ჰა და შ.პ.ს. „ფროფერთი დეველოპმენტ ჰოლდინგი“-ს (ს/კ 205244190) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთი (მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდი: №01.10.18.007.006), ფართობით 10,0082 ჰა. საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობი შეადგენს 274 666 (30000+43672+100912+100082) კვ.მ-ს. ასევე გამოყენებული იქნება წყალი, რისთვისაც საპროექტო ტერიტორიის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების ჩართვა მოხდება შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-ს არსებულ სისტემებში, შეთანხმებული ტექნიკური პირობის შესაბამისად და ბუნებრივი აირი, რომელსაც მიიღებს შპს "ყაზტრანსგაზ-თბილისი"-სარსებული ბუნებრივი აირის ქსელიდან, შეთანხმებული ტექნიკური პირობის შესაბამისად. დაგეგმილი საქმიანობისათვის სხვა ბუნებრივ რესურსის გამოყენება არ ხდება.
1.3	ნარჩენების წარმოქმნა		+	როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია გარკვეული რაოდენობის როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. მათი არასწორი მართვის შემთხვევაში მოსალოდნელია გარემოს ცალკეული რეცეპტორების ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესება. როგორც მშენებლობის, ასევე

				<p>ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების რაოდენობა არ იქნება მნიშვნელოვანი და მათი მართვა (შეგროვება, შენახვა და განთავსების ან/და აღდგენის მიზნით შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციაზე გადაცემა) განხორციელდება კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით. შესაბამისად, ნარჩენების მოსალოდნელი რაოდენობებიდან და მათი მართვის პრინციპებიდან გამომდინარე შემოქმედება იქნება ძალიან დაბალი მნიშვნელობის.</p>
1.4	გარემოს დაბინძურება და ხმაური		+	<p>სამშენებლო სამუშაოების შესრულების პროცესში გარემოს (წყალი, ნიადაგი) დაბინძურების რისკები ძირითადად დაკავშირებული იქნება გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიებს და ხმაურის გავრცელებას ადგილი ექნება სამშენებლო ტექნიკის გამოყენების და ტვირთების ტრანსპორტირების პროცესში. შემოქმედების ხანგრძლივობა შემოიფარგლება მშენებლობის ფაზით. მოსალოდნელი შემოქმედება იქნება ძალიან დაბალი მნიშვნელობის. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს ხმაურის და ემისიების გავრცელების რისკი მინიმალურია.</p>
1.5	საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი		+	<p>დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი არ არსებობს.</p>
2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა				
2.1	ჭარბტენიან ტერიტორიასთან		+	<p>საპროექტო ტერიტორია არ ესაზღვრება ჭარბტენიან ტერიტორიებს. შემოქმედება მოსალოდნელი არ არის.</p>
2.2	შავი ზღვის სანაპირო ზოლთან		+	<p>დაგეგმილი საქმიანობიდან და დაცვების მანძილებიდან გამომდინარე შავ ზღვაზე შემოქმედება მოსალოდნელი არ არის.</p>
2.3	ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები		+	<p>საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ არის ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორია, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. შემოქმედება მოსალოდნელი არ არის.</p>
2.4	დაცულ ტერიტორიებთან		+	<p>საპროექტო საწარმოს ტერიტორიის სიახლოვეს საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო კონვენციებით დაცული ტერიტორიები განლაგებული არ არის. პროექტის განხორციელების შედეგად დაცულ ტერიტორიებზე პირდაპირი სახის შემოქმედება პრაქტიკულად გამორიცხულია.</p>
2.5	მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან		+	<p>საქმიანობის სპეციფიკის და დაცვების მანძილების გათვალისწინებით დასახლებული ტერიტორიების ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და აკუსტიკურ ფონზე შემოქმედების რისკი მინიმალურია.</p>
2.6	კულტურული მემკვიდრეობის		+	<p>საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლები</p>

	<p>ძველთან და სხვა ობიექტთან</p>			<p>განთავსებული არ არის. გამომდინარე აქედან სამშენებლო სამუშაოების შესრულების დროს არქეოლოგიური ძეგლების გვიანი აღმოჩენა ნაკლებად სავარაუდოა. მიუხედავად აღნიშნულისა შ.პ.ს. „ლისი ლეიქ დეველოპმენტი“ ვალდებულია მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ძეგლის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები და მოინვიოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სამსახურის სპეციალისტები, რომლებიც დაადგენენ ძეგლის მნიშვნელობას და მიიღებენ გადაწყვეტილებას სამუშაოების შემდგომი გაგრძელების მიზანშეწონილობის თაობაზე.</p>
<p>3. საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი</p>				
<p>3.1</p>	<p>ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი</p>		<p>+</p>	<p>საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობიდან, სპეციფიკიდან და მასშტაბებიდან გამომდინარე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.</p>
<p>3.2</p>	<p>ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა</p>		<p>+</p>	<p>საქმიანობის სპეციფიკიდან და მასშტაბებიდან გამომდინარე, შესაბამისი გარემოსდაცვითი ნორმების გათვალისწინების პირობებში, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება გარემოზე მაღალი მნიშვნელობისა და შეუქცევადი ზემოქმედების რისკებთან დაკავშირებული არ იქნება</p>

5. დანართები

დანართი 5.1. საჯარო რეესტრიდან ამონაწერები და საკადასტრო გეგმები



მინის (უბრალო ქონება) რეგისტრაცია N 01.10.18.005.050

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია N 882019047209 - 24/01/2019 13:04:14

მომზადების თარიღი 25/01/2019 14:13:00

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი/საკუთრება
თბილისი	საბურთალო		005/050	ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო საწევრნეთ
01	10	18	005/050	დამუსტგებული ფართობი: 100912.00 კვ.მ.
				ნაკვეთის წინა ნომერი: 01.10.18.005.040;

მისამართი: ქაღაჩი თბილისი, ლდისი ტბის მამედბარედ. სოფელ ლდისიკენ მამაბაილი გზის მარჯვენა მხარეს (ნაკვ. 01/010)

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882011039665 , თარიღი 02/02/2011 13:31:54
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/02/2011

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- წერილი N06/1348 , დასაწმების თარიღი:01/02/2011 , საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- სასაჯარო აქტი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ქონების პარლამარი შეიღების ფარმით პრაქტიკების შესახებ N100619949 , დამოწმების თარიღი:24/06/2010 ,საგარეო უსი დაპუხრისკაბე

მესაკუთრები:

საბაქოო საზოგადოება " ლდისი ლეიქ ლეველაზმენგ " , ID ნომერი:404857534

მესაკუთრე:

საბაქოო საზოგადოება " ლდისი ლეიქ ლეველაზმენგ "

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ვალდებულებები:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"უმსკური პირის მიერ 2 წაბმელ ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეადაპაციის, აგრეთვე სავალდებულო წესის განხორციელებაში 1000 ლარის აბ შეგი დარბეულების ქონების საჩუქრის მდებრის საწმისადაო გაბისაბი გაბაბას ექვემდებარება სასაჯაროო წესის მომდებრო წესი 1 აარალისადა, რის შესახებაც აღნიშნული უმსკური პირი იბადა ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს აღნიშნული ვალდებულების შესრულებლისა წარმოადგენს საგადასახადო საბართოლადირდების რაე ბეჯის ასაქმისმეგუბლის საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVII თავის მხედით."

- დოკუმენტის ნაწილობრივი გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ელ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერაციონალ სარეგისტრაციო სამსახურში, ოფისის სახდების და სააგენტოს ადგილობრივ ბარბოსის
- ამონაწერის გექმსკური სარგების აღბიბრის შესომევების დავისკონსტრუქციის 2 405405 არ პარაბიდ შეტეგოთ განაქბილი ვებ-გვერდზე
- კომსუალეკოს მადება შესაბდებელია ოფისის სახდის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის ობანიშრობილი მხრადან უკონინო ქმედების შესომევების დავისკონსტრუქციის ცხელ ხაზზე 05 009 009 09
- ოქცენოყის საბრგერბო რეგისტრირ საკოსბის დოკუმენტბოი წიავეწერბო ელ-ფოსტოთ: info@napr.gov.ge



საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული
სააგენტო

საკადასტრო კოდი: **01.10.18.005.050**

ნაკვეთის დანიშნულება:


არაბასოფლო საშენი

განცხადების ნომერი: **882019047209**

ფართობი:

100912 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)

მომზადების თარიღი: **25/01/2019**



05/25	მშენებარე ნაგებობა	05/25	შენობა/ნაგებობა		ტყის ფონდი
	ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი		ხაზობრივი ნაკვეთობა		ვალდებულება



შიქსი (კომპი. ტანგენტ) საჯარო-კომპ. N 01.10.18.006.228

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882019047124 - 24/01/2019 12:50:28

მოწმადების თარიღი
24/01/2019 14:39:30

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების გზის საკუთრება
თბილისი	საბურთალო			ნაკვეთის დანიშნულება: არასისოფლო სამეურნეო დანიშნულება
01	10	18	006/228	დამუსტრებული ფართობი: 43672.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 01.14.17.001.218;

მისამართი: ქალაქი თბილისი, ლისის ტბის მამულებარეფ., სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს (ნაკვ. 01/010)

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882011039665 , თარიღი 02/02/2011 13:31:54
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/02/2011

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- წერილი N06/1348 , დამოწმების თარიღი:01/02/2011 , საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- სანაგარი ბქის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ქონებას პარდაპირი მყიდვეს ფართით პრაეკატების შესახებ N100619949 , დამოწმების თარიღი:24/06/2010 ,ნაგაროუსი დაბუნების

მესაკუთრები:

საბჭოთა საზოგადოება "ლისი ლეიფ დეველოპმენტ" , ID ნომერი:404857534

მესაკუთრე:

საბჭოთა საზოგადოება "ლისი ლეიფ დეველოპმენტ"

აღწერა:

იპოთეკა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882017326207 თარიღი 24/04/2017 18:02:17	იპოთეკარი "NEDERLANDSE FINANCIERINGS-MAATSCHAPPIJ VOOR ONTWIKKELINGSLANDEN N.V.," (ნიდერლანდების განვითარებადი ქვეყნების დაფინანსების კომპანია)27078545; მესაკუთრე: საბჭოთა საზოგადოება "ლისი ლეიფ დეველოპმენტ" 404857534; საგანი:მწიფის ნაკვეთი დამუსტრებული ფართობით 43672.00 კვ.მ.;
--	--

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 24/04/2017
იპოთეკის ხელშეკრულება, რეგისტრის ნომერი N170425364, დამოწმების თარიღი:24/04/2017, ნოტარიუსი დ. თორნიშვილი

საგანის სახელი გირაუნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალებულება

ყალბად/აკრძალვით:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრიდან:

რეგისტრირებული არ არის

"ვინაიდან პირის მიერ 2 წლიანი ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური ბუნების რეალური საგნის მატერიალური საფუძვლისა და მატერიალური საფუძვლის 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჭურველ მდგომარეობაში შენახვის ვალდებულება განისაზღვრა საბჭოთა საზოგადოება "ლისი ლეიფ დეველოპმენტ" მიერ, რის შესახებაც აღნიშნული ვინაიდან პირი სხვა ვადით წარუდგინა დეკლარაციის საგანგებო ორგანოს, აღნიშნული ვალდებულების შესრულებაზე წარსადგენი საგანგებო საპროცედურების რაი იქცევა პასუხისმგებლობის საქართველოს საგანგებო კომისიის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნაწილობრივი გაცემის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მფლობელის შესახებ ინფორმაცია www.napr.gov.ge, ნებისმიერ გეოგრაფიულ სერვისსა და საინფორმაციო ტექნოლოგიურ პორტალზე;
- ამონაწერის გენერირების ხარისხის ადრინდელ შემოწმებაში დეველოპმენტის 2 405405 ან პირადად შეტანილი განცხადება ვებ-გვერდზე;
- კანსულაციის მფლობელის შესახებ ინფორმაციის სიხშირის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელი შრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დეველოპმენტის ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- დეველოპმენტის საინფორმაციო სერვისების დაკავშირება მუდმივად ელ-ფოსტაზე: info@napr.gov.ge



საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული
სააგენტო

საკადასტრო კოდი: **01.10.18.006.228**

ნაკვეთის დანიშნულება:


არასასოფლო საშენი

განცხადების ნომერი: **882019047124**

ფართობი:

43672 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)

მომზადების თარიღი: **24/01/2019**





საქართველოს რეესტრის საჯარო კოდეხი N 01.10.18.005.038

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია N 882017849457 - 13/09/2017 17:45:23 მომხმადებლის თარიღი 13/09/2017 19:08:39

საკუთრების განყოფილება

Table with 5 columns: მონა თბილსი, სექტორი საბურთალო, კვარტალი 18, ნაკვეთი 005/038, ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 30000.00 კვ.მ, ნაკვეთის წინა ნომერი: 01.10.18.005.034

მისამართი: ქალაქი თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ღლისსკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს (ნაკვ. 01/010)

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია: ნომერი 882011039665, თარიღი 02/02/2011 13:31:54 უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/02/2011

- უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:
• წერსი N06/1348, დამოწმების თარიღი: 01/02/2011, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
• სანაგარო აქტა სხელმწიფის საკუთრებში არსებული ქონების პირდაპირი მფლობელის ფორმით პრეცეპციის შესახებ N100619949, დამოწმების თარიღი: 24/06/2010, ნოტარიუსი ლ.ბენიციძე

მესაკუთრები:
საბჭოთა საზოგადოება "ღისი ღვთა მდევლოზენტი", ID ნომერი: 404857534

მესაკუთრე:
საბჭოთა საზოგადოება "ღისი ღვთა მდევლოზენტი" აღწერა:

აპოთეკა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882017849457 თარიღი 13/09/2017 17:45:23
იპოთეკარე საბჭოთა საზოგადოება "გრაბანი" 204546045;
მესაკუთრე: საბჭოთა საზოგადოება "ღისი ღვთა მდევლოზენტი" 404857534;
საბანკო დამატებული ფართობი: 30000.00 კვ.მ;
აპოთეკის ხელშეკრულება N12.0356774.001/01, დამოწმების თარიღი 13/09/2017, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 13/09/2017

საგადასახადო გარანტია:
რეგისტრირებული არ არის

ვაღდებულება

ვაღდა/აკრძალვა:
რეგისტრირებული არ არის
მოვალეობა რეესტრი:
რეგისტრირებული არ არის

"ფინანსური პირის მერ 2 წლამდე ვადით საკუთრებში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას აგრეთვე საგადასახადო წლის განხილვისას 1000 ლარის ინ მერი დარბულების ქონების სარეგისტრაციო საბუღალტრო განხილვა გადახდა გადახდას ექვემდებარება საბუღალტრო წლის განხილვის წესი 1 პარაგრაფის შესახებ აღნიშნული ფინანსური პირის მიერ ევალი წარუდგინდეს დეკლარაციის საგადასახადო ორგანოს აღნიშნული ვაღდებულების შესრულების წარმოადგენს საგადასახადო სამართლებრივი რისკის შექმნის შესახებ განხილვის საგადასახადო კოდექსის X VIII თავის ჩაბმული."

- დაკვეთის ნაშედეგის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.reestri.gov.ge;
• ამონაწერის მიღება შესაძლებელია ენ-გვერდზე www.reestri.gov.ge, ნებისმიერ გვერდით რეგისტრირებული საბუღალტრო, იუსტიციის სამინისტროს და სააგენტოს ავტორიზებულ პირთათვის;
• ამონაწერი გვერდით სარეგისტრაციო საბუღალტროს მიერ შეიქმნის და გადაეცემა მომხმადებელს 2 405405 ან პირადად შეესტოვება განიხილვა ენ-გვერდზე;
• კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სამინისტროს ცხელ ხაზზე 2 405405;
• საჯარო რეესტრის ონლაინ-სახელმძღვანელო მისთვის უკანასო მხედვის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად: 08 009 009 09
• ოქცენის სააგენტოს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მისაგნებლად მისაგნებლად ელ-ფოსტა: info@reestri.gov.ge



საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული
სააგენტო

საკადასტრო კოდი: **01.10.18.005.038**

ნაკვეთის დანიშნულება:


არასასოფლო საშენი

განცხადების ნომერი: **882017845944**

ფართობი:

30000 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)

შომზადების თარიღი: **13/09/2017**





მისი (კანდიდატის) საკუთრივ კოდი **N 01.10.18.007.006**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეესტრაცია
N 882019048442 - 24/01/2019 16:04:22

პიშმადების თარიღი
24/01/2019 18:02:31

საკუთრების განყოფილება

შირა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება
01	10	18	007/006	ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დამესკვებელი ფართობი: 100082.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი:01.14.17.001.196;

მისამართი: ქალაქი თბილისი , ლისის ტბის მამლებარედ ,
სოფელ ლისისკენ მამბებელი გზის მარჯვენა მხარეს,
(ნაკვეთი 1/12)

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეესტრაცია : ნომერი 882017226501 , თარიღი 24/03/2017 10:39:36
უფლების რეესტრაცია: თარიღი 29/03/2017

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N1-960, დამოწმების თარიღი19/03/2008, ნოტარიუსი ო. შიძუ
- ხელშეკრულება 2008 წლის 19 მარტს დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე N170290469 , დამოწმების თარიღი:23/03/2017 ,ნოტარიუსი თორ შიძუ
- საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა , N589-პ , გაფორმების თარიღი:21/04/2008 , საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო

მესაკუთრები:
შპს "ფროფერტი დეველოპმენტ პოლდინგი" , ID ნომერი:205244190

მესაკუთრე: **შპს "ფროფერტი დეველოპმენტ პოლდინგი"** აღწერა:

ამოთქვა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, <http://public.reestr.gov.ge>

გვერდი: 1(3)

განცხადების რეესტრაცია ნომერი **882011350188** თარიღი **20/07/2011 19:36:24**

ამოთქვარი სააქციო საზოგადოება "ლისი ლეიქ დეველოპმენტ" 404857534; შპს "ლისი ფო" 404859792; მამუკა ხაზარაძეP/N: 01030001235; ბაღრა ჯაფარიძე P/N: 01014001058; ბობ შეიერი P/N: 01008013372; GRDC 3 B.V. 32127865; მესაკუთრე: შპს "ფროფერტი დეველოპმენტ პოლდინგი" 205244190; საგანი: მისის ნაკვეთის ფართობი: 100082.00 კვ.მ. ;

უფლების რეესტრაცია: თარიღი **26/07/2011**

ამოთქვის ხელშეკრულება N863412-10, დამოწმების თარიღი20/07/2011, სსიპ საქართველოს ოკუპაციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უძრავი ქონების ნასყიდვით მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება N171336167 , დამოწმების თარიღი:15/11/2017 ,ნოტარიუსი მ. გვაზავა,

(უფლების რეესტრაცია : ნომერი 892017194926 ; თარიღი 08/12/2017) შეთანხმება უძრავი ქონების ნასყიდვით მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებაში ცვლილება-დამატების შესახებ, რეესტრის ნომერი N171424105, დამოწმების თარიღი07/12/2017, ნოტარიუსი მ.გვაზავა,

განცხადების რეესტრაცია ნომერი **882016234047** თარიღი **14/04/2016 11:27:10**

ამოთქვარი შპს "ლისი ფო" 404859792; მამუკა ხაზარაძეP/N: 01030001235; ბაღრა ჯაფარიძე P/N: 01014001058; სააქციო საზოგადოება "ლისი ლეიქ დეველოპმენტ" 404857534; „კა არ ლი სი ბ.ე.“ GRDC B.V. 32121830; ბობი შეიერი P/N: 01008013372; მესაკუთრე: შპს "ფროფერტი დეველოპმენტ პოლდინგი" 205244190; საგანი:მისის ნაკვეთი დამესკვებელი ფართობი: 100082.00 კვ.მ. ;

უფლების რეესტრაცია: თარიღი **19/04/2016**

ამოთქვის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი23/01/2009, საქართველოს ოკუპაციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეესტრაციო სამსახური (რეგ.ნომერი 882009014548; თარიღი 23/01/2009) ,

შეთანხმება, რეესტრის ნომერი N160354294, დამოწმების თარიღი08/04/2016, ნოტარიუსი მ. გვაზავა

უძრავი ქონების ნასყიდვით მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება N171336167 , დამოწმების თარიღი:15/11/2017 ,ნოტარიუსი მ. გვაზავა,

საგანდასახლო გვარაუთობა:

რეესტრირებული არ არის

ვალილებლება

განცხადების რეესტრაცია ნომერი **882014636088** თარიღი **25/11/2014 18:03:14**

გამყიდველი: სახელმწიფო ; მყიდველი: შპს "ფროფერტი დეველოპმენტ პოლდინგი" 205244190; საგანი:დამესკვებელი ფართობი: 100082.00 კვ.მ. ; მყიდველს ვალილებულია შესარქვას 5.2.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობები;

უფლების რეესტრაცია: თარიღი **28/11/2014**

უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N1-960, დამოწმების თარიღი19/03/2008, ნოტარიუსი ო. შიძუ ,

ხელშეკრულება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს "ფროფერტი დეველოპმენტ პოლდინგს" შორის 19.03.08 წელს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რეესტრის ნომერი N100619802, დამოწმების თარიღი24/06/2010, ნოტარიუსი ლ. ბუნიაიძე

ხელშეკრულება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს "ფროფერტი დეველოპმენტ პოლდინგს" შორის 19.03.08 წელს გაფორმებულ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რეესტრის ნომერი N141289620, დამოწმების თარიღი25/11/2014, ნოტარიუსი ო. შიძუ

ქვლი/პერმბლევა:

რეესტრირებული არ არის

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, <http://public.reestr.gov.ge>

გვერდი: 2(3)

მოზადლეო რეესტრო:

რეესტრორეული ბრ ბრის

"ფანიკური ბრის ბიურ 2 წლამდე ედით სიკუთრეობი ბრბეული სტატიალური ბქიყის რეილსბიყისის, ბგრუთეე სიტადისბადო წლის გიბიელობამი 1000 ლარის ბნ ბიეი დორბეულებს ქიბნის სბრეუბად ბილბისხის სბმეოსბიელო გიბისბიდი გიბიბდის ექიქმლბბბრებ სბბბბრბი წლის ბბმდენი წლის 1 ბბრბბბბბ, რის ბესბბბბბ ბდბბბბბუი ფბბბბბუი ბბრ ბბბბუ ებბბბ წბრუდბბბ დეკლბრბიბის სბბბბბბბბბბ ბბრბბბბ, ბდბბბბბუი ებბბბბბბბბბ. ბუბბრბბბბბბბბ ბბრბბბბბბბბ სბბბბბბბბბბ სბბბბბბბბბბბბბბ, რბი ბბბბბბ. ბბბბბბბბბბბბბბ სბბბბბბბბბბბბბბ სბბბბბბბბბბბბბბ ბბბბბბბბბბბბბბბ."
• დოკუმბრბის ბბბბბბბბბბ ბბბბბბბბბბ ბბბბბბბბბბბ ბბბბბ რეესტრბის ბრბბბბბ სბბბბბბბბ ბბბბბბბბ ბბბ-ბბბბბბბბ www.napr.gov.ge;
• ბბბბბბბბბის ბბბბბბ ბბბბბბბბბბბ ბბბ-ბბბბბბბბ www.napr.gov.ge, ბრბბბბბბბ ბბბბბბბბბ ბბ სბრეესტრბიბის სბბბბბბბ, ბბბბბბბბის ბბბბბბბბ;
• ბბბბბბბბბ ბბბბბბბბ ბბბბბბბბ ბბბბბბბბბ ბბბბბბბბბბბბბ ბბბბბბბბბბბბბ ბბბბბბბბ ბბბბბბბბბ ბბბ-ბბბბბბბბ;
• ბბბბბბბბბბის ბბბბბ ბბბბბბბბბბბ ბბბბბბბბბბ ბბბბბბბბბ ბბბბბბბბბ ბბბბბბბბბ ბბბბბბბბბ ბბბბბბბბბ;
• სბბბბბ რეესტრბის ბბბბბბბბბბბბ ბბბბბბ ბბბბბბბბ ბბბბბბბბბ ბბბბბბბბბ ბბბბბბბბბ ბბბბბბბბ;
• ბბბბბბბბბის ბბბბბბბბბ ბბბბბბბბბ ბბბბბბბბბ ბბბბბბბბბ ბბბბბბბბბ ბბბ-ბბბბბბბბ: info@napr.gov.ge



საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **01.10.18.007.006**


ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო საშენი**

ფართობი: **100082 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**

განცხადების ნომერი: **882019048442**

ფართობი: **100082 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**

მომზადების თარიღი: **24/01/2019**




05/25	შენიშნული ნაგებობა	05/25	შენიშნული ნაგებობა		ქვის ფონდი
	ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი		სამობრივი ნაგებობა		ბაღი/ბაღიკა




საქართველო

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების
ცენტრი შ.პ.ს "საინჯეო"



**ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, „ვილახის უბანი 2“ -ის
(საკად. კოდები: №01.10.18.005.040; №01.10.18.005.038; №01.14.17.001.218
და №01.14.17.001.196) საინჟინრო-გეოლოგიური
კვლევის შედეგები**



თბილისი
2018

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ცენტრი
შ.პ.ს. „საინჟეო“
სლც №1890

ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, „ვილების უბანი 2“-ის
(საკად. კოდები: №01.10.18.005.040; №01.10.18.005.038; №01.14.17.001.218
და №01.14.17.001.196) საინჟინრო-გეოლოგიური
კვლევის შედეგები



ნ. გოგუა
დირექტორი



თბილისი
2018 წ.

სარჩევი

	გვ.
ტექნიკური დავალება	2
I ზოგადი ნაწილი	3
I.1 შესავალი და კვლევის პროგრამა	3
I.2 ადგილმდებარეობა, საზღვრები და მისასვლელი გზები	4
I.3 ნიადაგები, მცენარეული საფარი და ზედაპირული წყლები	5
I.4 კლიმატური მახასიათებლები	6
I.5 საპროექტო გზების კომპლექსური საინჟინრო-გეოლოგიური აღწერა	8
გზა №1	8
გზა №2	9
გზა №3	10
გზა №4	11
გზა №5	12
გზა №6	13
გზა №7	15
გზა №8	16
I.6 გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები	17
II სპეციალური ნაწილი	20
II.1 საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და გამოყოფილი გრუნტების სახესხვაობები	20
II.2 გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები	20
დასკვნები და რეკომენდაციები	24-28
ფოტოილუსტრაცია	29-38

ტექსტური დანართები

	გვ.
1 გრუნტების ფიზიკური თვისებების ლაბორატორიული კვლევის შედეგები	40-41
2 ძირითადი ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ლაბორატორიული კვლევის შედეგები	42-48

გრაფიკული დანართები

	გვ.
1 უბნის ტოპოგრაფიული გეგმა საპროექტო გზების პროფილების და ჭაბურღილების განლაგებით მასშტაბი 1:1340 (ამობეჭდვის)	50-53
2 ჭაბურღილების სვეტები	54-64
3 პირობითი აღნიშვნები გრძივი პროფილების საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილებისთვის	65-79
გრძივი პროფილების საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები: გზა №1; გზა №2 (2 ფურცელზე); გზა №3; გზა №4 (2 ფურცელზე); გზა №5; გზა №6; გზა №7 (2 ფურცელზე); გზა №8 (3 ფურცელზე)	65-79

ტექნიკური დავალება

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

1. დამკვეთი: სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტ“;
2. ობიექტის დასახელება: შიდა საავტომობილო გზები – „ლისი ვერანდა“ ფაზა 2-ის ტერიტორიის ფარგლებში;
3. დაპროექტების სტადია: მუშა პროექტი;
4. ობიექტის ტექნიკური დასახელება: შიდა საავტომობილო გზები;
საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის ამოცანა:
 1. განხორციელდეს საპროექტო გასაყვანი გზის ზოგადი საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური გამოკვლევა ტექნიკურ ეკონომიური დასაბუთებისათვის;
 2. საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური კვლევა განხორციელდეს სამთო გამონამუშევართა გამოყენებით (5 მ სიღრმის 19 ჭაბურღილი);
 3. საპროექტო გასაყვანი გზის საინჟინრო-გეოლოგიური აღწერისას გამოყენებული იქნას მომიჯნავე ტერიტორიაზე ადრე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მონაცემები.

სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტ“-ის სახელით

ოქტომბერი 2018 წ

ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, „ვილების უბანი 2“-ის (საკად. კოდები: №01.10.18.005.040; №01.10.18.005.038; №01.14.17.001.218 და №01.14.17.001.196) საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები

I. ზოგადი ნაწილი

I.1 შესავალი და კვლევის პროგრამა

შპს „ლისი ლეიქ დეველოპმენტთან“ 2018 წლის ოქტომბერში დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შ.პ.ს. „საინჟეო“-მ 2018 წლის ოქტომბერში ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ „ვილების უბანი 2“-ის ტერიტორიაზე (საკად. კოდები: №01.10.18.005.040; №01.10.18.005.038; №01.14.17.001.218 და №01.14.17.001.196) ჩატარა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, რომელიც მოიცავდა ბურღვით სამუშაოებს, გზების სარეკონოსცირო-აღწერილობით გამოკვლევებს და რომელიც მიზნად ისახავდა ტერიტორიაზე გზების საინჟინრო-გეოლოგიური პირობების განსაზღვრას, გზების პროფილების ლითოლოგიური ჭრილების დადგენას და გზების გრძივი პროფილების საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილების აგებას.

ზემოაღნიშნული მიზნების გადასაწყვეტად, ჩატარებული იქნა შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები: საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიზნით მოხდა ტერიტორიის დეტალური დათვალიერება.

გზების ლითოლოგიური ჭრილების დასაზუსტებლად დასადგენად დამკვეთის მიერ მონიშნულ წერტილებში გაიბურღა 19 ჭაბურღილი; ბურღვა მიმდინარეობდა მექანიკური სვეტური მეთოდით, საბურღი დანადგარით „-1“, 127 და 108 მმ-იანი დიამეტრებით, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით.

ჭაბურღილის რაოდენობა და სიღრმეები განისაზღვრა ტექნიკური დავალების და ს. ნ. და წ. 1.02.07-87-ის (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის) პგ. პგ. 3.35 და 3.64-ის შესაბამისად და შეადგინა 5.0 მეტრი თითოეულში. ცხრამეტივე გამონამუშევრის მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 95 გრძ. მეტრი.

გავრცელებული გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესასწავლად ჭაბურღილებიდან აღებული იქნა გრუნტის დაურღვეველი სტრუქტურის 9 (3 თიხოვანი და 6 ძირითადი ქანებიდან) ნიმუში. პარალელურად ხდებოდა დაკვირვება გრუნტის წყლის შესაძლო გამოვლენებზე, ბურღვის პროცესზე, კერნის ფიზიკური მდგომარეობის შესწავლაზე.

აღებული თიხოვანი გრუნტების ნიმუშების ლაბორატორიული გამოკვლევა ჩატარდა შ.პ.ს. „საინჟეო“-ს გრუნტების და წყლის კვლევის ლაბორატორიაში ლაბორატორიის უფროსის ნ. ხმელიძის მიერ, ხოლო ძირითადი ქანების ნიმუშების – წულუკიძის სახელობის სამთო ინსტიტუტის ლაბორატორიაში ტექ. მეცნიერებათა დოქტორის გ. ბალიაშვილის მიერ.

ობიექტის ტოპოგრაფიული გეგმა 1:1340 მასშტაბში (ამობეჭდვის) დატანილი 19 საპროექტო ჭაბურღილით შ.პ.ს. „საინჟეოს“ გადმოსცა „დამკვეთმა“. ჭაბურღილების გეგმურ-სიმაღლითი მიბმა შესრულდა აღნიშნული გეგმის მიხედვით.

საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ ჭაბურღილები ამოივსო განაბურღი გრუნტით და დაიტკეპნა.

წინამდებარე დასკვნა შედგენილია საველე სამუშაოების, ლაბორატორიული კვლევის შედეგების, საარქივო მასალების და ლიტერატურული წყაროების გადამუშავების შედეგად, საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების (სავალდებულო) შესაბამისად – ს. ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო-გამოკვლევები მშენებლობისათვის), ს.ნ. და წ. პნ 02.01-08 (შენობა-ნაგებობათა ფუძეები) ს.ნ. და წ. პნ 01.01-09 (სეისმომდევნი მშენებლობა) და პნ 01.05-08 (სამშენებლო კლიმატოლოგია); სახსტანდარტი 25100-82 (გრუნტები) და თანახმად გაცემული ტექნიკური დავალებისა, დასკვნის ტექსტს თან ახლავს უბნის ტოპოგრაფიული გეგმა 1:1340 მასშტაბში (ამობეჭდვის) გზების და ჭაბურღილების განლაგებით, ჭაბურღილის სვეტები, გზების გრძივი პროფილების საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები.

საველე და საპროექტო კამერალური სამუშაოები შესრულდა საინჟინრო-გეოლოგიური სამსახურის უფროსის თ. ჩაჩავას ხელმძღვანელობით.

საველე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, მიღებული მასალების კამერალური დამუშავება და საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის შედგენა განხორციელდა 2018 წლის ოქტომბერ-ნოემბერში.

I.2 ადგილმდებარეობა, საზღვრები და მისასვლელი გზები

გზები დაპროექტებულია ლისის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ დაბლობაზე – ჩრდილო-აღმოსავლეთი ექსპოზიციის ფერდობის ზედა ნაწილში – „ვილების უბანი 1“-ის გაგრძელებაზე. სამხრეთიდან მას ემიჯნება „ვილების უბანი 1“ და „ლისი ვერანდას“ მშენებარე და აშენებული კორპუსები, ხოლო დანარჩენი მხრიდან აუთვისებელი ტერიტორიები.

უბანზე მოხვედრა შესაძლებელია წლის ყველა დროს ნებისმიერი სახის ავტოტრანსპორტით ვაშლიჯვარი-ნუცუბიდის პლატოს გაუმჯობესებული გზატკეცილის და შემოგარენის მეორეხარისხოვანი გრუნტის გზების მეშვეობით.

I.3 ნიადაგები და მცენარეული საფარი და ზედაპირული წყლები

შესწავლილი ფერდობის ნიადაგი განეკუთვნება ტყე-სტეპის ზონის ე.წ. ყავისფერ ნიადაგებს. ის ძირითადად წარმოდგენილია თიხნარი გრუნტებით ნატეხოვანი მასალის დაბალი (5-10%) შემცველობით. უფრომეტად მთლიანი გავრცელებისაა. შედარებით მაღალი სიმძლავრეები დაკავშირებულია რელიეფის ჩადაბლებასთან ფერდობების განივებზე, ხოლო ჰუმუსის ყველაზე მაღალი შემცველობით გამოირჩევა შედარებით მოვაკებული ნაწილები, სადაც ნიადაგი ფერთაც (მოშავო) და მცენარეული საფარის სიუხვითაც გამოირჩევა – აქ მათი სიმძლავრე 0.5 მეტრამდეა და პირდაპირ კავშირშია ფერდობის შედარებით დაბალ დახრილობასთან (5-10°, ზოგან 12-15°).

მცენარეული საფარი წარმოდგენილია დაბალი სიმაღლის წვრილფოთლოვანი ხის ჯიშებით (კუნელი, ნუში და სხვა) სიმაღლით $h=2-3-5$ (მ) ტანის დიამეტრით $d=0.1-0.2$ (მ) და ხეებშორისი მანძილით $L - 10-15$ (მ), ფიჭვის და ნაძვის ხელოვნური კორომიტ სიმაღლით 5-7 მ, ტანის დიამეტრით $d=0.2$ მ, ბუჩქებით – სიმაღლით 1-2 მ (მაყვალი) ,, და „წიწვოვნები“ - ბუჩქები გავრცელებული მცირენიადაგიან მონაკვეთებში და ბალახეული საფარი სიმაღლით 0.1-0.3 მ. ტერიტორიის არც ერთ მონაკვეთში არ აღინიშნება „მთვრალი“ ან წაქცეული ხეები რაც უდავოდ დადებითი ფაქტორია ტერიტორიის ფერდობების მდგრადობის თვალსაზრისით.

საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გამოკვეთილია 3 უსახელო ზრდასრული ხევის კონტურები – პირველი ჩრდილოეთ ნაწილში, დანარჩენი ორი კი სამხრეთში მოქცეული.

საპროექტო ვაკისების დამპროექტებელს ძირითადად ძალიან მაღალპროფესიულად აცილებელი აქვთ მათი ტალღეები და ფერდობები. ზოგან კი - განსაკუთრებით მათ სათავეებთან რომლებიც ზრდასრულებია და მათი ჩადაბლებები უხვი მცენარეული საფარითაა დაფარული – შეხება მაინც მოუხდათ. ამიტომაც ზოგან ისინი იძულებულნი იყვნენ ამოეცსოთ ეს ჩადაბლებები (გზა №5; გზა №8; გზა №2) ტექნოგენური – ნაყარი გრუნტით, რომელიც არანაირად არ დააზიანებს არსებულ ლანდშაფტურ გარემოს და არ იქნება ნეგატიური ეროზიული პროცესების მაპროვოცირებელი. თითოეული გზის კომპლექსურ აღწერაში ეს ყველაფერი ასახულია დეტალურად კონკრეტული შემთხვევებისთვის; ამავედროულად

მიზანშეწონილია იმ ღონისძიებების განხორციელება რომელიც რეკომენდებულია ცალკეული გზების ხეების გადაკვეთის ადგილებში გასატარებლად.

მთლიანობაში კი ეს ხეები ზრდასრულებია, გამოხატული მათი ძირების და ფერდობის უხვი მცენარეული საფარით. ნეგატიური ეროზიული ფაქტორი – რომელსაც ზედაპირული წყლები განაპირობებენ როგორც სიღრმული, ასევე გვერდული ამ მონაკვეთებზე არ შეინიშნება და არც არის მათ აქტივიზაციის წინაპირობა. ამავდროულად არ შეიძლება სახეცვლილ კლიმატურ პირობებში დენუდაციური (სიბრტყითი გადარეცხვები) პროცესების უგულვებელყოფა რომელიც არსებულ სახეცვლილ ლანდშაფტურ გარემოში მოითხოვს ზედაპირული წყლების ნეგატიური ფაქტორის გათვალისწინებას არა მარტო უწყლო ზრდასრული წყალსადინარებთან (ხეებთან), არამედ გზების ვაკისების გაყვანის შედეგად წარმოქმნილ საფეხურებთან მიმართებაშიც. ეს გულისხმობს მოხერხებულ ადგილებში მათ მოქცევას საყრდენ-დეკორატიულ კედლებში და რომლებსაც ექნება არა მარტო წარეცხვების შემკავებელი არამედ დეკორატიული ფუნქცია – დანიშნულება. ამით საბოლოოდ მოიხსენებოდა ფერდული მდგრადობის ყველაზე საჭირობოროტო საკითხი არსებული სახეცვლილი ლანდშაფტური გარემო - პირობებისთვის.

I.4 კლიმატური მახასიათებლები

გამოკვლეული უბანი მთლიანად შედის ქვემო ქართლის ბარის მშრალი სუბტროპიკული სტეპური ჰავის ზონაში, ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით (სამშენებლო კლიმატური – IIIგ ქვერაიონი). უბნის კლიმატის ცალკეული ელემენტები დახასიათებულია საბურთალოს და თბილისის ზოგიერთი სხვა გამოკვლეულ უბანთან შედარებით ახლოს განლაგებული მეტეოსადგურების მონაცემებით.

უბანზე ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 12.2°C. ყველაზე ცივი თვე იანვარია, საშუალო ტემპერატურით -0.3°C. ყინვები შესაძლებელია ნოემბრიდან მარტამდე. აბსოლუტური მინიმუმია -23°C. წლის ყველაზე თბილი თვე აგვისტოა 24°C საშუალო ტემპერატურით. დაფიქსირებული მაქსიმალური ტემპერატურაა 40°C.

ჰაერის საშუალო ტემპერატურაა, °C

ცხრილი №1

მეტეოსადგური	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
საბურთალო	-0.3	1.9	5.6	11.1	16.5	20.4	23.9	24.0	19.3	13.7	7.2	2.5

მოსული ნალექების წლიური ჯამია 560 მმ. მათი მაქსიმალური რაოდენობა მოდის მაის-ივნისში, მინიმალური აგვისტოში და დეკემბერ-იანვარში. ნალექიან დღეთა რიცხვი წელიწადში საშუალოდ 89, ხოლო ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმია 147 მმ. იშვიათია თოვლიანი

ზამთარი. თოვლი შეიძლება მოვიდეს ოქტომბრიდან აპრილის ჩათვლით. დღეთა რიცხვი თოვლის საფარით სულ 14-ს შეადგენს. თბილისის წყალსაცავთან თოვლის საშუალო სიმაღლე მხოლოდ 8 სმ-ია. ხოლო თოვლის საფარის წონა 0.50 კპა-ია.

ნალექების წლიური განაწილება, მმ

ცხრილი №2

მეტეოსადგური	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
თბილისი საბურთალო	19	27	36	57	93	78	52	39	46	40	46	40

ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობის მაჩვენებელი 67%-ია. ფარდობითი ტენიანობა 13 საათზე ყველაზე ცივი და ყველაზე ცხელი თვეებისათვის არის შესაბამისად 60 და 40%.

ქ. თბილისში (საბურთალო) გაბატონებულია ჩრდილო-დასავლეთის (28%), ჩრდილოეთის (26%) და სამხრეთ-აღმოსავლეთის (25%) ქარები, რომლებიც გამოირჩევიან სიძლიერითაც. გაცილებით ნაკლებია სამხრეთის მიმართულების ქარები (8%). დასავლეთის და აღმოსავლეთის ქარები მხოლოდ 4-4%-ია, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებები შესაბამისად 3 და 2%-ს შეადგენს. ქარზე დაკვირვებათა საერთო რიცხვის 33% შტილია. ქარები მაქსიმალურ სიჩქარეებს აღწევენ მარტსა და აპრილში, ხოლო ყველაზე მშვიდი თვეებია ნოემბერი და დეკემბერი. ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარე იანვარსა და ივლისში შესაბამისად 4.8/0.5 და 4.6/1.0 მ/წმ-ია.

ქარის ყველაზე დიდი შესაძლო სიჩქარე, მ/წმ.

ცხრილი №3

ყოველწლიურად	5 წელიწადში	10 წელიწადში	15 წელიწადში	20 წელიწადში
28	33	35	36	37

ქ. თბილისში (საბურთალო) ელჭექი შესაძლებელია თებერვლიდან ნოემბრის ჩათვლით, მაქსიმალური ინტენსივობით მაის-ივნისში. სეტყვა შედარებით იშვიათია და შესაძლებელია მოვიდეს მარტიდან ნოემბრამდე, მაქსიმუმით მაის-ივნისში. ნისლი უმეტესად დამახასიათებელია წლის ცივი პერიოდისათვის, განსაკუთრებით იანვრისათვის. თბილ პერიოდში ნისლი იშვიათია. იანვარ-თებერვალში შესაძლოა ქარბუქი და ქარახვეტი.

ატმოსფეროს განსაკუთრებული მოვლენები წლის განმავლობაში, დღე;

ცხრილი №4

მეტეო სადგური	ელჭექი		სეტყვა		ნისლი		ქარბუქი	
	საშუალო	ყველაზე დიდი	საშუალო	ყველაზე დიდი	საშუალო	ყველაზე დიდი	საშუალო	ყველაზე დიდი
თბილისი საბურთალო	35	52	1.6	7	33	62	0.3	4

გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე (საბურთალო) შეადგენს „0“ მეტრს.

I.5 საპროექტო გზების კომპლექსური საინჟინრო-გეოლოგიური აღწერა

ჩვენს მიერ თითოეული საპროექტო გზის აღწერა მოხერხებულობისთვის მოხდა ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტების თანმიმდევრული გაშუქებით, რომელიც ძირითადად განხორციელდა დამკვეთის მიერ გადმოცემული საპროექტო გზების ტოპოგეოდეზიური პროფილების, ბურღვის, აგეგმვის და ლაბორატორიული მონაცემების შესწავლით და ანალიზით.

1. სიგრძე
2. ფორმა გეგმაში
3. განფენის მიმართულება
4. ვერტიკალური (საპროექტო) ნიშნულების არეალი
5. გეომორფოლოგია გზის ვაკისისა
6. ლითოლოგია
7. ჰიდროგეოლოგია
8. ჰიდროლოგია – ზედაპირული წყლების ფაქტორი
9. საშიში გეოლინამიკური პროცესები და რეკომენდებული მიზანშეწონილი ღონისძიებები

გზა №1

საპროექტო გზის მონაკვეთის სიგრძე გეგმაში 314.16 მეტრია, არასწორხაზოვანი, სინუსოიდისმაგვარი, განფენილი სამხრეთიდან ჩრდილო-ჩრდილო-დასავლეთით, სუბპერიდიანულად. საპროექტო ნიშნულები უმნიშვნელოდ ვარიირებს ~701-704 მ-ის ფარგლებში.

გზის ვაკისი გაყვანილია 12-15°-ით დახრილ აღმოსავლეთი ექსპოზიციის ფერდობზე, რომელიც სუსტად არის დანაწევრებული ღარებით და ღარტაფებით, ხოლო -12-ის მიდამოებში უსახელო ხევის ზემო წელის განიერი სათავით. გაყვანილი ვაკისის დასავლეთ გზისპირა პერიმეტრზე წარმოქმნილია 0.5-1.0-1.5 მ სიმაღლის საფეხურები, სადაც ზემოდან ქვემოთ შიშვლდებიან თიხოვანი და ძირითადი ქანების გამოსავალები. გზის ქვედა გზისპირა ვაკისის გასწვრივ ზოგან 0.5 მეტრამდე სიმაღლის, 45° დახრილობის და 2.0-3.0 მ სიგრძის მიწაყრილებია წარმოდგენილი ნაშალი მასალით.

გაყვანილი ვაკისის ფარგლებში ლითოლოგიურად ზედაპირი შემდგარია ტექნოგენური (ნაყარი), თიხოვანი და ძირითადი ქანების გამოსავალებისაგან, სხვადასხვა პროპორციებით. იხ. №1 გზის პროფილის საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი ან ჭაბურღილის სვეტები №1 და №11.

ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით ვაკისზე და მის მიმდებარე პერიმეტრზე გავრცელებული ქანები 5 მ სიღრმემდე გაბურღული ჭაბურღილების მონაცემების მიხედვითაც უწყლოა. იშვიათად შედარებით ხანგრძლივი ნალექების ან თოვლდნობის შემდგომ შესაძლებელია მცირდებიტიანი მოკლედროიანი გამონაჟონები.

ზედაპირული წყლების ფაქტორი ძალზედ მინიმალურია – ღარები და ღარტაფები, მათი მცირე ზომებიდან (სიგრძით რამოდენიმე ათეული მეტრი) გამომდინარე სუსტი დროებითი წყალსადინარებია. რაც შეეხება -12-ის გარდიგარდმო – უსახელო ხევის ზემო წელის განიერ სათავეს, ის ზრდასრულია, მოკლეა და უვნებელია არსებული გზის ვაკისისთვის.

საშიში გეოდინამიკური პროცესები ფაქტიურად არ შეიმჩნევა, ხაზოვანი ეროზიის და ფართობული დენუდაციის ჩათვლითაც. გზისპირა ზედა საფეხურებისთვის მიზანშეწონილია მათ გაყოლებაზე მოეწყოს მსუბუქი კონსტრუქციის სამაგრი-დეკორატიული კედლები. რომელიც უზრუნველყოფს მათ მდგრადობას ატმოსფერული ნალექების შემოქმედებისაგან.

გზა №2

საპროექტო გზის მონაკვეთის სიგრძე გეგმაში 750 მეტრია, მთლიანობაში საკმაოდ არასწორხაზოვანი, განფენილი სამხრეთიდან ჩრდილო-დასავლეთით (-1 - -17), ხოლო შემდგომ პირიქით ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ (-17 - -40) საპროექტო ვერტიკალური აბსოლუტური ნიშნულები ვარირებს ~693 – 676 მ-ის ფარგლებში, რელიეფის შესაბამისად.

გზის ვაკისი გაყვანილია 10-12°-ით დახრილ აღმოსავლეთი ექსპოზიციის ფერდობზე, ოღნავ დატალღული ზედაპირით, რომელიც დანაწევრებულია ზრდასრული ხევის (-7) და მცირე ჩაჭრის ნაღვარელების მიერ. ამასთან დაკავშირებით მცენარეული საფარის ხელოვნური კორომია განაშენიანებული წარმოდგენილი ნუშით (სიმაღლით h=4-5 მ, ტანის დიამეტრით d=0.1-0.2 მ, ხეებშორისი მანძილით L=3-20 მ) და ფიჭვით (h=5-7 მ; d=0.1-0.3 მ; L=1-5-10 მ). წარმოქმნილი ზედა გზისპირა საფეხურების სიმაღლე უმნიშვნელო – 0.5-0.8 მეტრია, წარმოდგენილი უმეტესად თიხოვანი ქანების გაშიშვლებებით. ქვედა გზისპირი 0.4-0.6 მ სიმაღლის მინაყრილებითაა შემოფარგლული, დახრილი ქვემოთკენ 40-45°-ით, სიგრძით 1.5-2.0 მ.

ვაკისის ზედაპირი ლითოლოგიურად უმეტესად თიხოვანი და ნაყარი გრუნტითაა წარმოდგენილი, ალაგ-ალაგ ძირითადი კლდოვანი და ნახევრად კლდოვანი ქანების გამოსავალბია.

ჰიდროგეოლოგიური კუთხით ვაკისზე და მის მიმდებარე პერიმეტრზე გავრცელებული ქანები 5 მ სიღრმემდე გაბურღული ჭაბურღილების მონაცემების მიხედვითაც უწყლოა. იშვიათად შედარებით ხანგრძლივი ნალექების ან თოვლდნობის შემდგომ შესაძლებელია მცირდებიტიანი მოკლედროიანი გამონაჟონები.

-7-თან უსახელო ხევის გადაკვეთაზე, სადაც ასევე მისი ზემო წელია, ის განეკუთვნება ზრდასრულს, ვარცლისებრი ფორმისაა, სიგანით 30 მეტრომდე ჩაჭრილი 3-4 მეტრზე, შედარებით უხვი მცენარეული საფარით. ის გზისთვის უსაფრთხოა, თუმცა მის კვეთაზე გამავალ გრუნტის გზის განივზე მიზანშეწონილია მართკუთხა ფორმის მილის მოწყობა, თეორიულად შესაძლო ზედმეტი ზედაპირული წყლების გასატარებლად. რაც შეეხება -33-თან გზიდან ზედა ფერდობზე ხევი ძალიან სუსტად არის განივკვეთში გამოხატული (გაშლილი ვარცლის ფორმისაა, ჩაჭრილი ~1 მ-ზე, სიგანე ზედაში ~40, ქვედაში გამოუხატავი) - განირჩევა მხოლოდ შედარებით ხშირი მცენარეული საფარის მეშვეობით. რაც შეეხება გრუნტის გზის ქვემოთ - ის უდავოდ მკვეთრადაა განივად გამოხატული, თუმცა გზისთვის უსაფრთხოა. საშიში გეოლინამიკური პროცესები არ შეიმჩნევა და არც მომავალშია მოსალოდნელი მათი აქტივიზაცია.

გზა №3

საპროექტო გზის მონაკვეთის სიგრძე გეგმაში საკმაოდ უმნიშვნელო – 124.50 მეტრია, სწორხაზოვანი, განფენილი სუბმერიდიანულად – სამხრეთიდან ჩრდილოეთით, ვერტიკალური ნიშნულები ვარირებს შესაბამისად 684.05-დან 678.67 მეტრომდე.

გზის ვაკისი გაყვანილია 10-12-15°-ის დახრილ ფერდობზე, რომლის ექსპოზიცია აღმოსავლეთურია, სუსტად დანაწევრებული ნალვარევეებით და ღარტაფით, ზოგან სუსტად დატალღული ზედაპირით; ლითოლოგიურად წარმოქმნილი გზისპირა ზედა საფეხურები (0.3-0.5-0.8 მ) წარმოდგენილია უმეტესად თიხოვანი ქანებით ნატეხოვანი მასალის შემცველობით 10-15%-მდე.

ლითოლოგიური თვალსაზრისით ზედაპირი უმეტესად შემდგარია თიხოვანი ქანებისაგან ნატეხოვანი ფრაქციის ~10-15%-ის შემცველობით, ზოგან (-5 მიდამოები) - გამოფიტული ძირითადი ქანების გამოსავალებია.

ჰიდროგეოლოგიურად №3 გზის მონაკვეთი უწყლოა. აქ არანაირი ნიშნები ქანების გაწყლოვანებისა, თუნდაც ნაპრალებში გამონაჟონების სახით არ შეიმჩნევა და არც მომავალში მოსალოდნელი.

ჰიდროლოგიური პირობები დამაკმაყოფილებელია. ფერდობის ამ მონაკვეთზე არსებული ღარტაფი და ნალვარები საკმაოდ უსაფრთხოა არსებული რეალობისთვის, ამასთანავე ფართობული ეროზიის ზემოქმედებაც მინიმალურია.

საშიში გეოდინამიკური პროცესების კვალი ან ნაკვალევი არ შეიმჩნევა. გზის მონაკვეთი ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური ამ თვალსაზრისით მთელ უბანზე.

გზა №4

საპროექტო გზის ვაკისის სიგრძე გეგმაში 340 მეტრია, ოდნავ არასწორხაზოვანი და სინუსოიდალსმაგვარი, განფენილი სუბგანედურად დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ – მდ. მტკვრის ჭალის მიმართულებით. გზის საპროექტო ვერტიკალური სიმაღლეები შესაბამისად ვარირებს 677-643 მ-ის ფარგლებში.

გზის ვაკისი გაყვანილია 10-15, ზოგან 8-12°-ით დახრილ აღმოსავლეთი ექსპოზიციის ფერდობის ზედაპირზე. რომელიც ამ კვეთაზე საკმაოდ სუსტად არის დანაწევრებული დროებითი ნაკადებით – ღარებით და ნალვარეებით. ამ გზიდან იწყება დანარჩენი გზის ვაკისები და შესაბამისად მას გააჩნია ცენტრალური გზის ფუნქციაც ამ უბნისთვის.

ლითოლოგიურად ვაკისის ზედაპირი წარმოდგენილი თიხოვან-ნატეხოვანი და ნატეხოვანი დატკეპნილი ფრაქციებით (ფენა №1 და ფენა №2). ზოგან შესამჩნევია გამოფიტული ძირითადი ქანების გამოსავლებიც (ფენა №3). იხ. გზების გრძივი პროფილების საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები.

ჰიდროგეოლოგიური პირობები არსებულ მონაკვეთზე დამაკმაყოფილებელია. აქ სულ ყველგან ქანების გაშიშვლებები მშრალია და არსად არ შეიმჩნევა თუნდაც ძალიან მცირედებიტიანი ნაპრალოვანი გამონაჟონებაც კი. ასეთივე სურათია 5 მ სიღრმეზე გაბურღულ ჭაბურღილებშიც (№13; №14; №15).

ჰიდროლოგიური თვალსაზრისით გზის ზედა ნაწილში (-1 – -11) უსახელო ზრდასრული ხევის ერთ-ერთი სათავის ჩადაბლება ამოვსებულია ტექნოგენური ნაყარი ინერტული მასალით, რომელიც ხდის მას უსაფრთხოს დროებითი დატბორვების თვალსაზრისით. ამასთანავე გზა ორივე მხრიდან როგორც წესი აღიჭურვება ბეტონის წყალგაუმტარი კიუვეტებით რომელიც მოაცილებს და უსაფრთხო ზონაში გაიყვანს ზედმეტ ზედაპირულ წყლებს.

არსებულ №4 გზის ვაკის ფარგლებში და მის მიმდებარედ საშიში გეოდინამიკური პროცესები კვალი არ ფიქსირდება და არც მომავალშია მოსალოდნელი არსებული უმნიშვნელოდ სახეცვლილი ლანშაფტური გარემოსთვის მათი აქტივიზაცია.

გზა №5

საპროექტო გზის ვაკისის სიგრძე 344.62 მეტრია. არასწორხაზოვანი, ზომიერად მორკალული, განფენილი სამხრეთიდან ჩრდილო-დასავლეთით. საპროექტო ვერტიკალური ნიშნულები 669-660 მეტრის ფარგლებშია.

გზის ვაკისი გაყვანილი 10-15°-ის, ჩრდილო-აღმოსავლეთი ექსპოზიციის ფერდობზე რომლის ზედაპირი გრძივად და განივად უსწორმასწოროა სუსტად დანაწევრებული დროებითი ნაკადების მიერ. მცენარეული საფარი კი წარმოდგენილია ბუჩქებით და დაბალი ხეებით.

გზის მარცხენა ფერდისპირა ნაწილში ვაკისის გაყვანის შედეგად წარმოქმნილია საფეხურები სიმაღლით 0.8-1.0, ზოგან მეტიც. მარჯვენა ნაწილში (გზის ქვედა) მიწაყრილება სიმაღლით 0.3-0.5 მეტრი ვაკისის ზედაპირიდან, დახრილი 30-35°-ით ქვემოთკენ, სიგრძით 2.0-2.5 მეტრი.

ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ამ უბნისთვის №5 გზაზე უსახელო ხევის გადაჭრასთანაა დაკავშირებული. ის ხელოვნურად ამოვსებული იქნა ტექნოგენური გრუნტით. ახალგაყვანილი გზის ვაკისის ზემოთ ის შედარებით ნაკლებადაა განვითარებული - ჩაჭრილია 5-10 მეტრზე, ძირის სიგანით 1-1.5 მ; სიგანით ზედა ნაწილში – 25-30 მეტრომდე, ფერდობი 40-45°-მდე დახრილობისაა. ძირი შემდგარია თიხოვან-ნატეხოვანი მასალისგან უხვი მცენარეული საფარით. გზის ქვემოთ ის გაცილებით დიდი ზომისაა, ამავდროულად ის სრულიად ზრდასრულია – ძირის სიგანე 2-3 მ, ჩაჭრილი 10-15-20 მეტრზე, ფერდობი 30-40°; ძირი და ფერდობი უხვი მცენარეული საფარითაა წარმოდგენილი. ამ მონაკვეთზე გზის ვაკისის გაყვანის შედეგად ხევის გარდიგარდმო გზისპირა ზედა ფერდობთან ~60 მ-ის პერიმეტრზე წარმოქმნილია 2-3, ზოგან კი 3-5 მ-ის სიმაღლის საფეხურები; ამასთანავე გზის ვაკისის მარჯვენა ნაწილებში შეინიშნება ურთიერთპარალელური (ვაკისის პარალელურად) ნაპრალების სისტემა დამახასიათებელი ტექნოგენური ნაყარი გრუნტებისათვის მათი ასეთი ფორმის კვეთების შევსების შემდგომი პერიოდებისთვის.

ლითოლოგიურად გზის ვაკისის ზედაპირი მეტწილად შედგება გამოფიტული ძირითადი ქანებისაგან (ფენა №3) – ზოგან მთელს განივზე, უფრომეტად კი მის მარცხენა ნაწილებში – დანარჩენში ტექნოგენური-ნაყარი (ფენა №1) და თიხნარი (ფენა №2) გრუნტების შალითაა, რომელთაც - როგორც წესი – ქვენაფენად №3 ფენის გრუნტები ევლინებათ.

ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით გზა №5-ის გაყვანით წარმოქმნილ საფეხურებზე (ისევე როგორც 5 მ სიღრმემდე გაბურღულ №4; №8 და №13 ჭაბურღილებში) არსად არ

შეიმჩნევა წყაროები და გამონაჟონები. ისინი მშრალეხია და საფრთხეს არ უქმნიან გაყვანილ გზის ვაკისს.

ჰიდროლოგიური პირობები გართულებულია უსახელო ხევის გადაკვეთასთან. თეორიულად ხევის ზედმეტი ზედაპირული წყლების გასატარებლად და უხვნალექიანობის პერიოდებში მათ დასაწრეტად, მიზანშეწონილი იქნება ზომიერი, კონსტრუქციულად გათვლილი მილის მოწყობა, რომელიც ყველა სიკეთესთან ერთად მდგრადობას და სიმყარესაც შესძენდა არსებულ გზის მონაკვეთს.

საშიში გეოდინამიკური პროცესები ამჟამად არ შეიმჩნევა. მიზანშეწონილია გატარდეს ღონისძიებები ხევის გადაკვეთასთან, რომელშიც მილის დაპროექტების გარდა იგულისხმება წარმოქმნილი მაღალი საფეხურებისთვის (~60 მ-ის პერიმეტრზე გზისპირა ზედა ფერდობისთვის გარდიგარდმო ხევის კვეთასთან) საყრდენი კედლების მოწყობა, ძირის 1.5-2.0 მეტრ სიღრმეზე ძირითად ქანებში ჩაანკერებით. ამასთანავე №5 გზის ამ მონაკვეთზე უნდა აიკრძალოს მაღალტონაჟიანი სატვირთო მანქანების მოძრაობა, რისთვისაც უნდა დაიდგას შესაბამისი ხასიათის ამკრძალავი ნიშნები.

ამასთანავე გზა №5-ის პირველი 30 მეტრი (პიკეტჟორისი -1 – -2-ის მონაკვეთი) გაყვანილია გამოფიტულ ძირითადი ქანების ნათხარში, რის შედეგადაც ორივე მხარეს წარმოქმნილია 2.0 მეტრი სიმაღლის საფეხურები, რომლებიც ამ ნაწილში უმეტესად წარმოდგენილია არგილითებით და ალევროლიტებით, რომლებიც ძლიერ შლადია და საჭიროებენ მოქცევას მსუბუქი კონსტრუქციის საყრდენ კედლებში.

ასევე მიზანშეწონილი იქნებოდა გზის ვაკისების გაყვანისას წარმოქმნილი ზედა გზისპირა საფეხურების მოსახერხებელ მონაკვეთებზე მათი მოქცევა მსუბუქი კონსტრუქციის საყრდენ-დეკორატიულ კედლებში, რომელიც დაიცავს ფერდობის პერიმეტრს ზედაპირული წყლების ეროზიული და დენუდაციური ზემოქმედებისაგან და ამავდროულად ექნება დეკორატიული დანიშნულებაც.

გზა №6

საპროექტო გზის ვაკისის სიგრძე 325 მეტრია, უმნიშვნელოდ არასწორხაზოვანი და გეგმაში ოდნავ სინუსოიდასმაგვარი, განფენილია სუბმერიდიანალურად სამხრეთიდან ჩრდილო-დასავლეთით.

გზის ვაკისი გაყვანილია 15-20° და 20-25° დახრილობის ჩრდილო-აღმოსავლეთი ექსპოზიციის ფერდობზე, დანაწევრებული განიერი ღარტაფებით (-3; -9).

მომიჯნავე მარცხენა გზისპირა ფერდობი გრძივად შედარებით სწორხაზოვანი ზედაპირებით გამოირჩევა, განივად ტალღისებრია. მცენარეული საფარი შემდგარია მცირე სიმაღლის ($h=2-3$ მ) ბუჩქებისაგან და ხელოვნურად დარგული დაბალტანიანი ($h=3-5$ მ) ნუშის ხეების კორომისაგან (ფიტომელიორაციული, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები რელიეფურ ჩადაბლებებში). რელიეფის ჩადაბლებები (განიერი ღარტაფები) თვალთ განიჩევა შედარებით უხვი მცენარეული საფარის მეშვეობით. გაყვანილი ვაკისის მარცხენა გზისპირა მხარეს წარმოქმნილია საფეხურები სიმაღლით 0.5-1.5-2.0 მ წარმოდგენილია ზემოდან ქვემოთ ნიადაგის ფენის თიხნარების და დისლოცირებული ძირითადი ქანების გამოსავლებით, რომელშიც ნათლად შეიმჩნევა კლივაჟური სიბრტყეები და მოთეთრო ფერის კარბონატული მარილების ლაქები. რაც შეეხება გზის ვაკისის მარჯვენა პერიმეტრს აქ წყვეტილად წარმოქმნილია მიწაყრილები, რომელთა სიმაღლე ვაკისიდან 0.2-0.8 მეტრია, დახრილი ქვემოთა ფერდობისკენ 20-30°-ით, სიგრძით 1.0-1.5 მეტრი.

გაყვანილი ვაკისის ზედაპირი ლითოლოგიურად შემდგარია თიხოვანი (ფენა №2), ჩადაბლებებში ტექნოგენური-ნაყარი (ფენა №1) და ძირითადი ქანების (განსაკუთრებით მარცხენა ნაწილში) გამოსავალებისაგან - მთლიანობაში არიან საკმაოდ კარგად დატკეპნილები.

გაყვანილი ვაკისის ფარგლებში გრუნტის წყლის გამოსავალები არანაირი სახით არ აღინიშნება, ისევე როგორც 5 მ სიღრმემდე გაბურღულ ჭაბურღილებში (№5; №9; №14). ისინი მშრალეხია და არანაირ პრობლემას არ შეუქმნის მას საექსპლუატაციო პერიოდში.

ზედაპირული წყლების უარყოფითი ფაქტორიც მინიმალურია. განიერი ღარტაფების ჩადაბლებები, რომლებიც უხვი მცენარეული საფარით გამოირჩევა ხელს უშლის ხაზოვანი ეროზიის და ფართობული დენუდაციური პროცესების აქტივიზაცია – განვითარებას.

რაც შეეხება საშიში გეოდინამიკური პროცესებს ის ამჟამად არ შეიმჩნევა. ამავდროულად გზა №6-ის მარცხენა ფერდისპირა პერიმეტრზე -11-დან -16-ის ჩათვლით. ვაკისის გაყვანისას წარმოქმნილი განსხვავებული სიმაღლის საფეხურები უმეტესად შემდგარია დისლოცირებული გამოფიტული ძირითადი ქანებისაგან, რომელთათვის დამახასიათებელია შლადი ბუნება და მიზანშეწონილია მათი მოქცევა სამაგრ კედელში. ასევე გასათვალისწინებელია სამაგრი კედელი – გაყვანილი გზის მარჯვენა გზისპირა პერიმეტრისთვის -9 განიკვეთის გარდიგარდმო. (აქ ვაკისი გაყვანილია განიერი ღარტაფის ჩადაბლებაში, რომელიც ამოვსებულია ნატეხოვან-თიხოვანი მასალით) სადაც ტექნოგენური (ნაყარი)გრუნტის სიმძლავრე 2-2.5 მეტრია და რომ გამოირიცხოს ტანგენციური ძალების მეშვეობით ვაკისის მდგრადობის დარღვევა, ალბათ აუცილებელი იქნება გამაგრებითი ღონისძიების განხორციელება მისთვის საექსპლუატაციო მდგრადობის მისანიჭებლად.

გზა №7

საპროექტო გზის ვაკისის სიგრძე 384.92 მეტრია, უმნიშვნელოდ არასწორხაზოვანი, განფენილი სამხრეთიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით.

აგეგმვის პერიოდისთვის გაყვანილი იყო ვაკისის საწყისი პერიმეტრი. ამიტომაც ჭაბ. №10 და №6 გაბურღული იქნა კორელირებით – მათ საპროექტო ადგილმდებარეობასთან მიმართებაში.

საპროექტო ვაკისი გაყვანილი იქნება ჩრდილო-აღმოსავლეთი ექსპოზიციის 10-15 ზოგან 10-12°-ი დახრილობის მქონე ფერდობზე, დანაწევრებული საკმაოდ განიერი ღარტაფებით (-4; -6 კვეთებთან) და ნალვარეობით. გაყვანილ ვაკისზე მარცხენა გზისპირა საფეხურების სიმაღლე 0.5-1.2 მეტრია, ხოლო გზის მარჯვენაში პერიმეტრზე – წვეტილი მიწაყრილება სიმაღლით 0.5 მეტრი ვაკისის ზედაპირიდან, დახრილი ქვემოთკენ (ფერდობისკენ) 35-40°-ით, სიგრძით 1.5-2.0 მეტრი.

გაყვანილი ვაკისის ფარგლებში გზის ზედაპირი წარმოდგენილია თიხოვანი (ფენა №2), ტექნოგენური (ფენა №1) და გამოფიტული ძირითადი ქანების (ფენა №3) გამოსავალებით, ხოლო რაც შეეხება დარჩენილ გასაყვან პერიმეტრზე ლითოლოგიურ ჭრილს (იხ. ჭაბურღილის სვეტებში №10; №6) ზედა უმნიშვნელო ნაწილში ნიადაგის ფენის თიხნარებია (ფენა №2) რომელსაც ქვემოთკენ სულყველგან ენაცვლება გამოფიტული ძირითადი ქანების (ფენა №3) ლითოლოგიური სახესხვაობები.

საპროექტო ვაკისის მომიჯნავე ფერდობებზე მიწისქვეშა წყლების არანაირი (წყარო, გამონაჟონი) კვალი არ შეინიშნება; ასევე უწყლოა 5 მ სიღრმეზე გაბურღული ჭაბურღილები (№6; №10; №15). ამგები ქანები აქ მშრალეები და წყალშეუმცველებია, რაც საკმაოდ კარგი პოზიტივია მათი საექსპლუატაცია მდგრადობისთვის.

ზედაპირული წყლებით ეროზიული ზემოქმედება უმნიშვნელოა. ფერდობის ფლორა მთლიანად, განსაკუთრებით კი ღარტაფების არეალში საკმაოდ უხვია, რითაც ბრკოლდება ფერდობის ზედაპირების დენუდაცია (სიბრტყითი გადარეცხვები).

საშიში გეოდინამიკური პროცესები საპროექტო ვაკისის ფარგლებში არ შეინიშნება და არ არის რაიმე სახის გართულებების საშიშროება.

გზა №8

საპროექტო გზის ვაკისის სიგრძე 383.10 მეტრია, გეგმაში არასწორხაზოვანი – დასაწყისში თითქმის სწორხაზოვანი გარდამავალი სინუსოიდალმაგვარში, განფენილი მთლიანობაში ჩრდილოეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით.

მთლიანობაში გზის პროფილი გაყვანილია აღმოსავლეთი ექსპოზიციის 8-15°-ით დახრილობის მქონე ფერდობზე უსახელო ხევებშორის სივრცეში და ფაქტიურად ძალიან უმნიშვნელოდ არის მათთან დაკავშირებული.

დასაწყისში -3-თან გზის კვეთი გადის ზრდასრული ხევის ზემო წელის სათავესთან. რომლის ჩადაბლება ამოვსებულია ტექნოგენური გრუნტით. მას დამთავრებული აქვს ეროზიული ზემოქმედება ადგილზე და სრულიად ზრდასრული და უვნებელია გზისთვის. ქვემოთკენ – აღმოსავლეთით სადაც მას არანაირი შეხება არა აქვს გზასთან - მისი სიგანე ზედაში (ამ მონაკვეთისთვის) 100 მეტრომდეა, ძირის სიგანე 4-6 მ, ფერდობები 25-35°. ძირი და ფერდობები თიხოვანი სუბსტრატისაა, უხვი მცენარეული საფარით - ბუჩქებით და დაბალტანიანი ხეებით - წარმოდგენილი. რაც შეეხება დანარჩენ ხევებშორის ფერდობებს მათში მცენარეული საფარი ფიჭვის და ნაძვის ხელოვნური კორომისაა, სიმაღლით $h=5-7$ მ. ტანის დიამეტრით $d=0.2$ მ, ხევებშორისი მანძილით $L=6-12$ მ. გზა №8-ის ვაკისი გაყვანილია სანიშნოდ, ძალიან პროფესიონალურად, არსებულ რელიეფთან მაქსიმალური შეხამებით, დედაქალაქის ხედების ამფითეატრალური პანორამების ზომიერად დამრეცი ვაკისებიდან დათვალიერების საშუალებით. წარმოქმნილი ზედა გზისპირა საფეხურების სიმაღლე 0.5-0.7 მეტრია, ქვედა მიწაყრილების თითქმის იგივე.

გაყვანილი ვაკისის ფარგლებში მისი ზედაპირი ლითოლოგიურად შემდგარია ტექნოგენური (ფენა №1) თიხნარი (ფენა №2) და ალაგ-ალაგ ძირითადი ქანების გამოსავალებისაგან. მათ ქვემოდან - განსხვავებული უმნიშვნელო (0.1-0.2-0.5 მ) სიღრმიდან - ემიჯნებათ გამოფიტული ძირითადი ქანების (ფენა №3) ლითოლოგიური სახესხვაობები.

ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით ვაკისზე და მის მიმდებარედ წარმოდგენილი გრუნტები უწყლოა. მთლიანად პერიმეტრზე არსად არ შეიმჩნევა მიწისქვეშა წყლების გამოსავალები, ისევე როგორც 5.0 მ სიღრმემდე გაბურღულ ჭაბურღილებში.

ჰიდროლოგიური პირობები – ზედაპირული წყლების სახით სრულიად მინიმალურია. ფერდობი სრულად დრენირდება მომიჯნავე უსახელო უწყლო ხევებში. რაც შეეხება -3-თან ვაკისის ზრდასრული სათავის გადაკვეთას, ის არანაირ პრობლემას არ უქმნის და ვერც შეუქმნის არსებული გზის ვაკისის ნორმალურ ფუნქციონირებას.

საპროექტო გზის ფარგლებში საშიში გეოდინამიკური პროცესების კვალი ან წარსულში მათი ნაკვალევი არ შეინიშნება და არც მომავალშია რაიმე სახის მაპროვოცირებელი ფაქტორის წინაპირობა.

I.6 გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები



ტექტონიკური თვალსაზრისით გამოკვლეული ტერიტორია შედის მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემაში, კერძოდ მასში შემავალი აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის სამხრეთი ქვეზონის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც მთლიანად ნაოჭა სისტემა განიცდის დაძირვას. მას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება საქართველოს ბელტის აღმოსავლეთი დაძირვის ზონა, ხოლო სამხრეთიდან ართვინ-ბოლნისის ბელტის ნაწილი.

გეოლოგიური აგებულება. გამოკვლეული უბანი განლაგებულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთ დაძირვის ზონაში და ხასიათდება პალეოგენური ფლიშური-დანალექი და ვულკანოგენური ნალექების განვითარებით.

გზების გაყვანის ფარგლებში ისინი წარმოდგენილია შუა და ზედა ოლიგოცენური ასაკის (P_3^{2+3}) ფლიშური დანალექი ქანებით – შრეებრივი ქვიშაქვებით, ალევროლიტებით და არგილიტებით (ალევროლიტები და ქვიშაქვები 55%, არგილიტები 45%), რომელიც მთლიანობაში წარმოადგენს მოყავისფრო-მოცისფრო-მოშავო შრეებრივ ქანს, ზედაპირთან ახლოს ძლიერ გამოფიტულს, ძლიერ დანაპრალებულს, ბევრგან დაშლილს ღორღად და ხვინჭად. მათ ნაწილობრივ შენარჩუნებული აქვთ ამ ქანებისთვის დამახასიათებელი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები. ისინი გახსნილია ჩვენს მიერ გაბურღულ ცხრამეტევე ჭაბურღილში 0.1-2.3 მეტრიდან. მათ ქვემოდან ესაზღვრება სუსტად გამოფიტული იგივე ასაკის ძირითადი ქანები, რომელთაც მთლიანობაში შენარჩუნებული აქვთ ამ ქანებისთვის დამახასიათებელი ყველა ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებელი. ისინი განლაგებულია 2.3-4.0 მ სიღრმიდან. მათი ვარდნის აზიმუტი ჩა 20-30°, ვადრნის კუთხე 15-24° უმეტესად თანხვედრილია ფერდობის გრძივ დახრასთან. ამ ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ ქანს ზემოდან ზოგან ადევს უმნიშვნელო სიმძლავრის დელუვიურ-პროლუვიური გენეზისის ნიადაგის ფენის (dpQ_{IV}) და ტექნოგენური (tQ_{IV}) გრუნტები (იხ. ჭაბურღილების სვეტები);

გეოლოგიური რუკა

(ამონარიდი დ. პაპავას, ე. დევდარიანის და ვ. აგევეის მიერ 1971 წელს შედგენილი აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთი ნაწილის 1:25000 მასშტაბის გეოლოგიური რუკიდან)



Pg^{2+3} - შუა და ზედა ოლიგოცენი; თიხოვანი და ქვიშიან-თიხოვანი ქანები.



ქანების წოლის ელემენტები; ქვიშაქვების მარკირებული დასტები

ჰიდროგეოლოგიური აგებულება. საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით გამოკვლეული ტერიტორია შედის თბილისის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყალწნევიანი სისტემის ფარგლებში, სადაც გავრცელებულია როგორც ღრმა, ასევე არაღრმა ცირკულაციის წყლები.

აქ გრუნტის წყლების ფორმირება, მოძრაობა და გავრცელება განისაზღვრება უპირველესად ლისის ქედის გეომორფოლოგიით, აგებულებით და ფიზიკო-გეოგრაფიული პირობებით.

სუსტი წყალშემცველებია ტერიტორიის უმეტეს ნაწილში გავრცელებული ოლიგოცენური ნალექები. მათთვის დამახასიათებელი უნდა იყოს სუსტი და დროებითი მიწისქვეშა წყლების ნაკადების სპორადული გავრცელება, რომელთა მიმართულებები უნდა ემთხვეოდეს ქანების დაშრეებას. გამოკვლევის დროს მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი გამოსავალები ტერიტორიის

ფარგლებში და მის მიმდებარედ არ დაფიქსირებულა. დაღმავალი წყაროების იშვიათი გამოსავალები და განაჟონები აღინიშნება ქალაქის ფარგლებში ჰიფსომეტრიულად გაცილებით დაბლა.

მიწისქვეშა წყლების კვება ძირითადად ხორციელდება ატმოსფერული ნალექების ან ფერდის ზედა ნაწილებიდან მომდინარე სუსტი და სეზონური ნაკადების ინფილტრაციით, ნაწილობრივ ჰაერში არსებული ორთქლის კონდენსაციითაც, ხოლო განტვირთვა - ფერდობების ძირების გასწვრივ და მდ. მტკვრის კალაპოტში.

გრუნტების სუსტი წყალშემცველობა უპირველესად განპირობებულია ნალექების მცირე რაოდენობით, ფერდის ყოველმხრივი და სწრაფი დრენირებით და მათი ლითოლოგიური შემადგენლობის თავისებურებებით (საფონდო მონაცემებით წყლები 50-70 მეტრზე და უფრო ღრმად არიან განლაგებულნი). რაც შეეხება ხევ-ხრამთა სისტემებს ისინი წლის უმეტეს პერიოდში უწყლო და მშრალეხია.

მიწისქვეშა წყლები ცირკულაციის მიხედვით ნაპრალოვანი ტიპისაა, ქიმიური შემადგენლობით ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმ-კალციუმიანია, საერთო მინერალიზაციით 0.5 გ/ლ, მტკნარი და არ ავლენს აგრესიულობას არც ერთი მარკის წყალშეუღწევადი ბეტონის მიმართ.

გამოკვლევულ უბანზე გრუნტის წყლები არ გამოვლენილა არცერთ გაყვანილ ცხრამეტივე გამონამუშევარში 5 მეტრ სიღრმემდეც. საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში შესაძლებელია უმნიშვნელო რაოდენობის გრუნტის წყლების გამოვლენა, ისიც ხანგრძლივი ატმოსფერული ნალექების შემდგომ პერიოდებში.

ამრიგად ტერიტორიის ამგები ქანები ზედა ნაწილში პრაქტიკულად არ შეიცავენ მიწისქვეშა წყლებს და მშენებლობისათვის რაიმე სახის ხელისშემშლელ ფაქტორს არ წარმოადგენენ.

II სპეციალური ნაწილი

II.1 საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და გამოყოფილი გრუნტების

სახესხვაობები

საპროექტო გზების შესწავლის შედეგად საშიში გეოლოგიური პროცესების ჩასახვა-განვითარების, არც მათ მიერ წარსულში ნამოქმედი სახეცვლილი რელიეფის ფორმების კვალი არ დაფიქსირდა. ტერიტორია ამჟამად მდგრადია და დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში იმყოფება. ამავდროულად აღსანიშნავია და ყურადსაღებია ის რომ საპროექტო გზების გაყვანილი ვაკისების და მშენებლობისათვის განკუთვნილი ფართის ფარგლებში ფერდის ქანობის (8-10-20-30°-მდე) და ძირითადი ქანების ვარდნის კუთხის აზიმუტები (15-24°) უმეტესწილად თანხვედრილია, სადაც სეისმურმა რხევებმა შეიძლება გამოიწვიოს ფერდობის მდგრადობის დარღვევა. აღნიშნულის გათვალისწინებით ს. ნ. და წ. 1.02.07-87-ის მე-10 დანართის თანახმად „ვილების უბანი 2“-ის ტერიტორია საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით მიეკუთვნება III (რთულ) კატეგორიას.

ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე შედგენილია ჭაბურღილების სვეტები, აგრეთვე გამოკვლეული ტერიტორიის გზების გრძივი საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები.

როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, გამოკვლეულ ტერიტორიაზე გამოყოფილია გრუნტების ოთხი ფენა: ფენა №1 - ტექნოგენური გრუნტი (tQ_{IV}), ფენა №2 - ნიადაგის ფენა - თიხნარი (dpQ_{IV}), ფენა №3 - გამოფიტული ძირითადი ქანების - ქვიშაქვების ალევროლიტებთან და არგილიტებთან მორიგეობა (55:45) (eP_3^{2+3}), ფენა №4 - სუსტად გამოფიტული - ძირითადი ქანების - ქვიშაქვების ალევროლიტებთან და არგილიტებთან (55:45) (P_3^{2+3}).

II.2 გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

ფენა №1 - ტექნოგენური გრუნტი - ღორღის, ხვინჯის და თიხნარის ნარევი, უწყლო (tQ_{IV}) - გავრცელებულია ზოლების სახით გზების ვაკისებზე. მისი სიმძლავრე 0.2-2.8 მ-ის ფარგლებშია. ფენა არ დასინჯულა სასაძირკვლე გრუნტად მისი გამოყენებლობის და სივრცობრივად (როგორც პორიზონტალურად ასევე ვერტიკალურად) არაერთგვაროვანი შემადგენლობის გამო. სიმკვრივე (ρ) ფონდური მონაცემებით 1.80 ტ/მ³. ფენის გრუნტების პირობითი საანგარიშო წინაღობა $R_0=180$ კპა (1.8 კგ/სმ²) - აღებულია პნ 02.01-08 დანართი 3-ის ცხრ. 5-ის მიხედვით.

ფენა №2 – ნიადაგის ფენა – თიხნარი ყავისფერი, მყარი კონსისტენციის, ხვინჭით და წვრილი ღორღით 5-10%-მდე ჩანართებით, უწყლო - (**dpQ_{IV}**) – გავრცელებულია მთელს ტერიტორიაზე – გზის პროფილებზე ზედაპირიდან უმეტესად მე-2 ზოგან 1-ლ შრედ, ხოლო ბუნებრივ (ხელუხლებელ ფერდობზე) ზედაპირიდან 1-ლ შრედ. ფენის სიმძლავრე 0.2-0.9 მეტრია.

ქვემოთ №5 ცხრილში მოცემულია ფენის გრუნტების ძირითადი ფიზიკური და მექანიკური მახასიათებლები და მათი საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები:

ცხრილი №5

№№	ფიზიკური მახასიათებლები	განზომილება	მიღებულ სიდიდეთა დიაპაზონი	საშუალო არითმეტიკული (ნორმატიული) მნიშვნელობა
1	პლასტიკურობის რიცხვი	Ip	-	14-17
2	ბუნებრივი ტენიანობა	W	%	0.107-0.126
3	გრუნტის	ρ	გ/სმ ³	1.68-1.75
	მშრალი გრუნტის	ρ _d		1.52-1.57
	გრუნტის ნაწილაკების	ρ _s		2.71-2.72
4	ფორიანობა	n	%	0.42-0.44
5	ფორიანობის კოეფიციენტი	e	-	0.726-0.783
6	დენალობის მაჩვენებელი	I _L	-	<0
7	ტენიანობის ხარისხი	S _r	-	0.37-0.44
მექანიკური მახასიათებლები				
1	შიგა ხახუნის კუთხე	φ	გრად.	24
2	კუთრი შეჭიდულობა	C	კპა (კგძ/სმ ²)	24 (0.24)
3	დეფორმაციის მოდული	E	მპა (კგძ/სმ ²)	16 (160)

როგორც ცხრილიდან ჩანს პლასტიკურობის რიცხვის მიხედვით გამოკვლეული გრუნტი მიეკუთვნება თიხნარს, რადგან $I_p=0.14-0.17$ და თავსდება $0.07-0.17$ ინტერვალში.

ბუნებრივი ტენიანობის მიხედვით გრუნტი ნაკლებად ტენიანია $<20\%$.

გრუნტის სიმკვრივის (ρ) და ჩონჩხის სიმკვრივის (ρ_d) მიხედვით გრუნტი უმეტესად შემკვრიველ გრუნტს მიეკუთვნება, რადგან $\rho=1.68-1.75$ და $\rho_d=1.52-1.57$ შესაბამისად 1.70-2.20 და 1.35-1.90-ის ფარგლებშია.

ფორიანობის და ფორიანობის კოეფიციენტის მიხედვით გრუნტი საშუალო სიმკვრივისაა, რადგან $n=0.42-0.44$ და თავსდება 30-45%-ის ფარგლებში, ხოლო $e=0.726-0.783$ და თავსდება 0.40-0.80-ის ფარგლებში.

დენალობის მაჩვენებლის (I_L) მიხედვით გრუნტი მყარი ($I_L<0$) კონსისტენციისაა.

ტენიანობის ხარისხის (S_r) მიხედვით გრუნტი მცირეტენიანი ($0<S_r\leq 0.50$).

გრუნტს არ ახასიათებს ჯირჯვადობა, რადგან მაჩვენებელი $I_{ss}=0.15-0.24$ -ის ფარგლებშია და ნაკლებია 0.30-ზე. შესაბამისად თავისუფალი გაჯირჯვება E_{sw} „0“-ის ტოლია.

გრუნტის ფიზიკური მნიშვნელობების ანალიზის თანახმად ის ხასიათდება როგორც უმნიშვნელოდ ჯდომადი ასევე არაჯდომადი თვისებებით. ამავდროულად ფორიანობა მათში 40-45%-ის ფარგლებშია, რომელიც უფრომეტად არაჯდომად გრუნტებს ახასიათებს.

ფენის სიმტკიცის და დეფორმაციის ნორმატიული მახასიათებლები, საანგარიშო წინალობა აღებულია პნ 02.01-08 დანართი 2-ის ცხრ. 2, 3 და დანართი 3-ის ცხრ. 3-ის მიხედვით, რომლებიც შესაბამისად შეადგენენ: შინაგანი ხახუნის კუთხე φ° - 24° , კუთრი შეჭიდულობა $C - 24$ კპა (0.24 კგძ/სმ²), დეფორმაციის მოდული $E - 16$ მპა (160 კგძ/სმ²), საანგარიშო წინალობა $R_0 - 220$ კპა (2.2 კგძ/სმ²).

ფენა №3 - გამოფიტული ძირითადი ქანების - ქვიშაქვების ალევროლიტებთან და არგილითებთან მორიგეობა (55:45), შრეებრივი ტექსტურის, დისლოცირებული, ნაპრალოვანი, კერნი ამოდის ღორღის სახით. ქვიშაქვა საშუალო სიმტკიცის და ნაკლებად მტკიცე, ალევროლიტი და არგილითი დადაბლებული სიმტკიცის, უწყლო; დაქან. აზიმ. ჩა 20-30/15-24 (eP_3^{2+3}) - გავრცელებულია მთელ ტერიტორიაზე ფენა №1-ის (ტექნოგენური გრუნტის ქვემოთ 0.1-2.2 მ სიღრმიდან) ფენა №2-ის (ნადაგის ფენა) ქვემოთ 0.2-0.6 მ სიღრმიდან; სავსე მონიტორინგის თანახმად ისინი გამოფიტულია სხვადასხვა ფიზიკურ-ქიმიური პროცესების შედეგად. გამოფიტვის ხარისხიც არაერთგვაროვანია – ზოგიერთი მათგანი (არამარტო ალევროლიტები და არგილითები, ზოგიერთი ქვიშაქვებიც) ხელითაც იფშვნება კერნი ამოდის შესაბამისად სხვადასხვა სახით – ჩვეულებრივიდან ნატეხოვან სახესხვაობამდე, განსაკუთრებით ძლიერია გამოფიტვა არგილითების სიჭარბის ადგილებში ფენა უწყლოა, სიმძლავრე 1.6-2.9 მ.

ამ ლითოლოგიური სახესხვაობის ქანებს ნაწილობრივ (და არა მთლიანად) შენარჩუნებული აქვთ გამოუფიტავი ქანებისთვის დამახასიათებელი ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრების თვისებები.

ფენა დასინჯულია დაურღვეველი სტრუქტურის 3 ნიმუშით – 1 არგილითების და 2 ქვიშაქვის. ლაბორატორიაში მოხდა მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლა, კლასიფიცირება (იხ. ძირითადი ქანების ლაბორატორიული კვლევის შედეგები).

№6 ცხრილში მოცემულია III ს.გ.ე. – ფენა №3-ის საანგარიშო-ნორმატიული ფიზიკურ მექანიკური მნიშვნელობები.

გრუნტის მახასიათებლები	ძირითადი ქანები	საანგარიშო მნიშვნელობა
წყალგაჯერებულ მდგომარეობაში მყოფი გრუნტის ზღვრული სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე R_k (კგ/სმ ²)	ქვიშაქვები	120
	არგილითები	42
	მთლიანად ფენა №3-ისთვის	85
სიმკვრივე ρ (გ/სმ ³)	ქვიშაქვები	2.38
	არგილითები	2.34
	მთლიანად ფენა №3-ისთვის	2.36

შენიშვნა: მთლიანად ფენა №3-ისთვის (R_k და ρ) საანგარიშო-ნორმატიული მნიშვნელობები მიღებულია $0.55 R_k$ (ქვიშაქვა) + $0.45 R_k$ (არგილითი) ემპირიული ფორმულის თანახმად, რომლის სრული ვერსიაა: XR_k (ქვიშაქვა) + YR_k (არგილითი); სადაც X და Y მათი პროცენტული შემცველობაა ფენაში;

ფენა №4 – სუსტად გამოფიტული ძირითადი ქანების - ქვიშაქვების ალევროლიტებთან და არგილითებთან მორიგეობა (55:45), შრეებრივი ტექსტურის, ნაკლებად დისლოცირებული და ნაკლებად ნაპრალოვანი ქვიშაქვა მოყავისფრო და მოცისფრო წვრილმარცვლოვანი, საშუალო და სქელშრეებრივი, მკვრივი, საშუალო სიმტკიცის და ნაკლებად მტკიცე-ალევროლიტი და არგილითი მუქი ყავისფერი და მოშავო, თხელშრეებრივი, მკვრივი, ნაკლებად მტკიცე, უწყლო; დაქან. აზიმ. ჩა 20-30 \angle 15-24 (P_3^{2+3}) - გავრცელებულია მთელ ტერიტორიაზე ფენა №3-ის (გამოფიტული ძირითადი ქანების) ქვემოთ 1.6-2.9 მ სიღრმიდან, გაგრძელებაა გამოფიტული ქანებისა. საზღვარი მათ შორის ფიქსირდება ბურღვის პროცესზე დაკვირვებით, კერნის ფიზიკური მდგომარეობის შესწავლით, ლაბორატორიული მონაცემების ანალიზით.

ფენა დასინჯულია დაურღვეველი სტრუქტურის 3 ნიმუშით – 2 ქვიშაქვების და 1 არგილითის. ლაბორატორიაში მოხდა მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლა, კლასიფიცირება (იხ. ძირითადი ქანების ლაბორატორიული კვლევის შედეგები).

ქვემოთ მოცემულია ძირითადი ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მოკლე დახასიათება მიღებულ ლაბორატორიულ მონაცემებზე დაყრდნობით.

სახსტანდარტი 25100 ცხრ.№1 მიხედვით ქვიშაქვები მიეკუთვნება:

- კლდოვან გრუნტს, რადგან სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვისას R_k წყალგაჯერებულ მდგომარეობაში მეტია 50 კგ/სმ²-ზე;
- საშუალო სიმტკიცის და ნაკლებად მტკიცე გრუნტებს, შვიდრეიტინგიან კლასიფიკაციაში სიმტკიცის შემცირების მიხედვით მესამე და მეოთხე რეიტინგისა;
- წყალში დარბილების ხარისხის მიხედვით განეკუთვნება დარბილებად გრუნტს, რადგან დარბილების კოეფიციენტი $K_{sat} < 0.75$.

გრუნტის საშუალო სიმკვრივეა 2.40 გ/სმ³ და განეკუთვნება მკვრივ გრუნტებს, ოთხრეიტინგიან კლასიფიკაციაში სიმკვრივის შემცირების მიხედვით კი მეორე რეიტინგისაა.

ამავე სტანდარტის მიხედვით არგილითები მიეკუთვნება ნახევრად კლდოვან გრუნტებს, რადგან მათი სიმტკიცის ზღვარი ერთლერძა კუმშვისას R_k წყალგაჯერებულ მდგომარეობაში უმეტესად ნაკლებია 50 კგ/სმ²-ზე.

- ნაკლებად მტკიცე სიმტკიცის გრუნტებს, შვიდრეიტინგიან კლასიფიკაციაში სიმტკიცის შემცირების მიხედვით მეოთხე რეიტინგისაა;
- წყალში დარბილების ხარისხის მიხედვით განეკუთვნება დარბილებად გრუნტს, რადგან დარბილების კორფიციენტი $K_{sat} < 0.75$.
- გრუნტის საშუალო სიმკვრივეა 2.36 გ/სმ³ და განეკუთვნება მკვრივ გრუნტებს სიმკვრივის რეიტინგის მიხედვით.

№7 ცხრილში მოცემულია IV ს.გ.ე. – ფენა №4-ის საანგარიშო ფიზიკურ-მექანიკური მნიშვნელობები.

ცხრილი №7

გრუნტის მახასიათებლები	ძირითადი ქანები	საანგარიშო მნიშვნელობა
წყალგაჯერებულ მდგომარეობაში მყოფი გრუნტის ზღვრული სიმტკიცე ერთლერძა კუმშვაზე R_k (კგ/სმ ²)	ქვიშაქვები	198
	არგილითები	75
	მთლიანად ფენა №4-ისთვის	142
სიმკვრივე ρ (გ/სმ ³)	ქვიშაქვები	2.40
	არგილითები	2.36
	მთლიანად ფენა №4-ისთვის	2.38

შენიშვნა: მთლიანად ფენა №4-ისთვის (R_k და ρ) საანგარიშო-ნორმატიული მნიშვნელობები მიღებულია $0.55 R_k$ (ქვიშაქვა) + $0.60 R_k$ (არგილითი) ემპირიული ფორმულის თანახმად, რომლის სრული ვერსიაა: XR_k (ქვიშაქვა) + YR_k (არგილითი); სადაც X და Y მათი პროცენტული შემცველობაა ფენაში;

დასკვნები და რეკომენდაციები

1. საპროექტო „ვილების უბანი 2“-ის ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ: შუა და ზედა ოლიგოცენის (P_3^{2+3}) ქვიშაქვების ალევროლიტებთან და არგილითებთან მორიგეობით (55:45) წარმოდგენილი ძირითადი ქანები, რომლებიც ზემოდან დაფარულნი არიან უმნიშვნელო სიმძლავრის დელუვიურ-პროლუვიური გენეზისის ნიადაგის ფენის (dpQIV) და ტექნოგენური (tQIV) გრუნტებით;
2. გამოკვლეულ ტერიტორიაზე გამოყოფილია 4 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (ს.გ.ე.):
 - I ს.გ.ე. (ფენა №1) – ტექნოგენური გრუნტი;

- II ს.გ.ე. (ფენა №2) - ნიადაგის ფენა - თიხნარი;
- III ს.გ.ე. (ფენა №3) გამოფიტული ძირითადი ქანების - ქვიშაქვების ალევროლიტებთან და არგილიტებთან მორიგეობა (55:45);
- IV ს.გ.ე. (ფენა №4) სუსტად გამოფიტული ძირითადი ქანების - ქვიშაქვების ალევროლიტებთან და არგილიტებთან მორიგეობა (55:45);

ქვემოთ ცხრილ №8-ში მოცემულია ოთხივე ს.გ.ე.-ის გრუნტების საანგარიშო-ნორმატიული ფიზიკურ-მექანიკური მნიშვნელობები, მიღებული როგორც ჩატარებული ლაბორატორიული გამოკვლევებით, ასევე პნ 02.01-08 დანართი 2-ის და 3-ის შესაბამისი ცხრილების მიხედვით.

ცხრილი №8

№ №	გრუნტის მახასიათებლები	საანგარიშო მნიშვნელობები				
		I ს.გ.ე. ფენა №1	II ს.გ.ე. ფენა №2	III ს.გ.ე. ფენა №3	IV ს.გ.ე. ფენა №4	
1	სიმკვრივე ρ გ/სმ ³	1.80	1.72	2.36	2.38	
2	შიგა ხახუნის კუთხე φ°		21	-	-	
3	კუთრი შეჭიდულობა C კპა (კგძ/სმ ²)		16(0.16)	-	-	
4	დეფორმაციის მოდული E მპა (კგძ/სმ ²)		16(160)	-	-	
5	საანგარიშო წინაღობა R_0 კპა (კგძ/სმ ²)	180(1.8)	220(2.2)	-	-	
6	წყალგაჯერებულ მდგომარეობაში მყოფი გრუნტის ზღვრული სიმტკიცე ერთდერძა კუმშვაზე R_k (კგძ/სმ ²)	-	-	85	198	
7	დრეკადობის მოდული ერთდერძა კუმშვაზე წყალნაჯერ მდგომარეობაში, E მპა	ქვიშ.	-	-	2624	4318
		არგ.	-	-	917	1633

შენიშვნა: სიმტკიცის მახასიათებლების (C , φ) საანგარიშო მნიშვნელობები მიღებულია ს.ნ. და წ. პნ 02.01-08 მუხლი 7-ის №7 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით

3. საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გამოკვეთილია 3 უსახელო ზრდასრული ხევის კონტურები – პირველი ჩრდილოეთ ნაწილში, დანარჩენი ორი კი სამხრეთში მოქცეული.

საპროექტო ვაკისების დამპროექტებელს ძირითადში ძალიან მაღალპროფესიულად აცილებელი აქვთ მათი ტალღეები და ფერდობები. ზოგან კი - განსაკუთრებით მათ სათავეებთან რომლებიც ზრდასრულებია და მათი ჩადაბლებები უხვი მცენარეული საფარითაა დაფარული – შეხება მაინც მოუხდათ. ამიტომაც ზოგან ისინი იძულებულნი იყვნენ ამოეცხათ ეს ჩადაბლებები (გზა №5; გზა №8; გზა №2) ტექნოგენური – ნაყარი გრუნტით, რომელიც არანაირად არ დააზიანებს არსებულ ლანდშაფტურ გარემოს და არ იქნება ნეგატიური ეროზიული პროცესების მაპროვოცირებელი. თითოეული გზის კომპლექსურ აღწერაში ეს ყველაფერი ასახულია დეტალურად კონკრეტული შემთხვევებისთვის; ამავდროულად მიზანშეწონილია იმ ღონისძიებების განხორციელება

რომელიც რეკომენდებულია ცალკეული გზების ხეების გადაკვეთის ადგილებში გასატარებლად (საჭირო მიზანშეწონილი ღონისძიებების ჩამონათვალი მოცემულია თითოეული გზის კომპლექსური აღწერის ბოლო პუნქტში).

